

ლია სულაძველიძე

მუსიკა

მასწავლებლის წიგნი

IX კლასი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2021 წელს



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

მუსიკა
IX კლასი
მასწავლებლის წიგნი
ავტორი – ლია სულაქველიძე

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2021;
© ლია სულაქველიძე, 2021.

გამოცემის წელი და რეგისტრაცია 2021 წ.

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568 10 54 67; 574 40 08 57
ელ. ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com
www.saqmatsne.ge

სარჩევი

სახელმძღვანელო/სერიის კონცეფცია.....	5
ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ	6
შესავალი	7
შეფასების რუბრიკა	11
გაკვეთილების სცენარები	13
თაპი I. მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში	
თემა: მითი და რეალობა მუსიკაში – მატრიცა	14
გაკვეთილი 1 – მსგავსება მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის – მითის ფენომენი	20
გაკვეთილი 2 – რიტუალი – „გაცოცხლებული“ მითი.....	22
გაკვეთილი 3	23
გაკვეთილი 4 – მითისა და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების მსგავსება.....	24
გაკვეთილი 5	26
გაკვეთილი 6 – რიტუალური ცეკვები	28
კომპლექსური დავალება	31
გაკვეთილი 7 კომპლექსური დავალება	31
გაკვეთილი 8 – მითი მსხვილ ფოკალურ-ინსტრუმენტულ ჟანრებში – მითი ოპერაში – თქმულება ზიგფრიდზე, რიჰარდ ვაგნერის ტეტრალოგია „ნიბელუნგის ბეჭედი“ ...	32
გაკვეთილი 9	39
გაკვეთილი 10	39
გაკვეთილი 11	42
გაკვეთილი 12	42
გაკვეთილი 13	44
გაკვეთილები 14-16	45
გაკვეთილი 17	49
გაკვეთილი 18 კომპლექსური დავალება – რიჰარდ ვაგნერი – „ნიბელუნგის ბეჭედი“, ხმლის ჭედვის სცენა	51
გაკვეთილი 19 – მითოლოგია XX-XXI საუკუნეების მუსიკაში	52
გაკვეთილი 20	57
გაკვეთილი 21	58
გაკვეთილი 22	59
გაკვეთილი 23	61
გაკვეთილი 24 – კომპლექსური დავალება	61
გაკვეთილები 25-26 პროგრესული როკი	62
გაკვეთილები 27-29	65
გაკვეთილები 30-31	67
გაკვეთილი 32	69
გაკვეთილი 33	70
გაკვეთილები 34-35	71
კომპლექსური დავალება	74
გაკვეთილი 36 – კომპლექსური დავალება	74
გაკვეთილი 37 – მითოლოგიური აზროვნება კინომუსიკაში	75
გაკვეთილები 38-39	77
გაკვეთილი 40 – კომპლექსური დავალება	79
თაპი II. მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში	
თემა: სოციალური კატაკლიზმები მუსიკაში – მატრიცა	80
გაკვეთილები 41-42 – ჟანრის მახასიათებლები მუსიკაში კატაკლიზმების გადმოცემის დროს	83
გაკვეთილები 43-44 – სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, როგორც კატაკლიზმის სიმბოლური მუსიკალური სახე.....	85
გაკვეთილი 45 – კომპლექსური დავალება	88
თაპი III. მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში	
თემა: გმირი და ანტიგმირი მუსიკაში – მატრიცა	90
გაკვეთილი 46 – გმირისა და ანტიგმირის სახე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში	94
გაკვეთილი 47 ლ. ვან ბეთჰოვენი – „ეგმონტი“	97
გაკვეთილი 48 – ჰ. ბერლიოზი – „ფაუსტის გაკიცხვა“	99
გაკვეთილები 49-50 – ა. მაჭავარიანი – ბალეტი „ოტელო“	100
გაკვეთილი 51 – კომპლექსური დავალებები 1, 2	102
გამოყენებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი	104
გამოყენებული ლიტერატურა	106

სახელმძღვანელოში გამოყენებული გზამკვლევი სიმბოლოები



მოისმინეთ



ნახეთ ვიდეოკადრები



უპასუხეთ კითხვებს



დანერეთ



იმუშავეთ LMSS პროგრამაში



აქტივობები

სახელმძღვანელო/სერიის კონცეფცია

ჩვენი სახელმძღვანელოს კონცეფცია მოიაზრებს მოსწავლეზე ორიენტირებული მუსიკის სწავლების პროცესის ორგანიზებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით: როგორ გავხადოთ საგაკვეთილო პროცესი საინტერესო და მრავალფეროვანი, როგორი მიდგომები და პრაქტიკული სტრატეგიები გამოვიყენოთ, რა რესურსებით გავამდიდროთ მუსიკის გაკვეთილი და სხვ.

ჩვენი მიზანია, მუსიკის გაკვეთილზე მოზარდს ჩამოუყალიბდეს და განუვითარდეს სხვადასხვა უნარ-ჩვევა: დიალოგის, მსჯელობის, მუსიკის მოსმენისა და გაანალიზების, მღერის, რიტმის გრძნობის, ინდივიდუალურად, წყვილებში და ჯგუფურად მუშაობისა და სხვ.

შევეცადეთ თემები წარმოგვედგინა მრავალფეროვნად, ჩავრთეთ სხვადასხვა დონის შემეცნებითი და ინტერაქტიული აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს განსხვავებული ინტერესისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს:

- მეტად დაინტერესდნენ მუსიკით;
- აუმაღლდეთ მოტივაცია;
- აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში;
- მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია მოცემული თემების ირგვლივ.

მოზარდები მოისმენენ მუსიკას, ისაუბრებენ ნაწარმოების მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებზე, ფორმასა და ჟანრზე. მრავალფეროვანი აუდიო- და ვიდეორესურსები აკადემიური და თანამედროვე მუსიკის სხვადასხვა ჟანრისა და მიმდინარეობის ნიმუშებიდან საშუალებას მისცემს მათ, უკეთ ჩასწვდნენ მუსიკის შინაარსს, ხასიათს, ისაუბრონ მოსმენილის ირგვლივ; ამოიცნონ და განსაზღვრონ ურთიერთკავშირი მუსიკის მახასიათებლებსა და ტექსტის შინაარსობრივ აღწერებს შორის; მარტო ან წყვილებში გააკეთონ პროექტი, შეადარონ და შეაფასონ სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებები, გაიცნონ გამოჩენილი კომპოზიტორების შემოქმედება. სახელმძღვანელოში განხილული აქტივობების განხილვის შემდეგ მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ სტანდარტით გათვალისწინებულ საკვანძო შეკითხვებზე პასუხების გაცემა.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი სახელმძღვანელო გააფართოებს მოზარდის მუსიკალურ შთაბეჭდილებებსა და ინფორმაციულ ცოდნას, ჩამოუყალიბებს და განუვითარებს სხვადასხვა უნარ-ჩვევას.

ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

წინამდებარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის IX კლასის მოსწავლეებისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები შეისწავლიან შემდეგ თემებს:

თემატური ბლოკი: მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

თემა: მითი და რეალობა მუსიკაში

თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

თემა: სოციალური კატაკლიზმები მუსიკაში

თემატური ბლოკი: მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში

თემა: გმირი და ანტიგმირი მუსიკაში

ეს თემები ორი მიმართულებით იშლება:

1. შემოქმედებითობა და პრაქტიკა;
2. მუსიკის აღქმა კონტექსტში.

შემოქმედებითობა და პრაქტიკა გულისხმობს საკუთარი შთაბეჭდილებებისა და გამოცდილების საფუძველზე შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებას; მუსიკის საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას.

მუსიკის აღქმა კონტექსტში გულისხმობს სხვადასხვა ეპოქის, ჟანრისა და სტილის მუსიკალური ხელოვნების ნიმუშების, ავტორისეული ჩანაფიქრის ანალიზსა და შეფასებას.

სასწავლო პროცესში პერიოდულად ხდება წინა წლებში განხილული მასალიდან ცოდნის გამეორება/გააქტიურება გაკვეთილის თემის შესაბამის კონტექსტში.

თემებისა და ქვეთემების განხილვა მიმდინარეობს რამდენიმე გაკვეთილზე, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია აქტივობების მრავალფეროვნებასა და მასალის სირთულეზე.

მუსიკის საგნის სასწავლო კომპლექტი შეიცავს: მოსწავლის, მასწავლებლის წიგნებსა და ელექტრონულ რესურსს – აუდიო- და ვიდეოჩანაწერებს, რომლებიც მოთავსებულია ცალ-ცალკე საქალაქო დონეებში თითოეული გაკვეთილისა და აქტივობების მიხედვით, რაც, ვფიქრობთ, საგრძნობლად გაუადვილებს მასწავლებლებს გაკვეთილისთვის საჭირო აუდიო-ვიდეომასალის სწრაფად მოძიებას.

მასწავლებლის წიგნი მოიცავს:

- კომენტარებს მოსწავლის წიგნის საგაკვეთილო პარაგრაფებზე;
- ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამის თემატურ რუკებს (მატრიცებს);
- საერთო რეკომენდაციებს საგაკვეთილო სცენარებისთვის;
- გაკვეთილის სცენარებს (ნიმუშებს);
- შეფასების რუბრიკების ნიმუშებს;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშებს;
- დამატებით ტექსტურ და სანოტო მასალას;
- აუდიო- და ვიდეორესურსებს.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული სასწავლო კომპლექტის თითოეული კომპონენტის ამომწურავად და სრულყოფილად გამოყენება საუკეთესო შედეგის მიღწევის საწინდარია.

შესავალი

IX კლასში მუსიკის საგნის ფარგლებში მოსწავლე შეისწავლის მუსიკას, როგორც თვითგამოხატვისა და კომუნიკაციის საშუალებას; გაეცნობა, როგორ შეიძლება გადმოიცეს მუსიკალური ელემენტების საშუალებით ადამიანის შინაგანი მდგომარეობა, ასევე, როგორ განასხვავოს სოციალური და ეპოქალური ცვლილებები მუსიკალური გამომსახველობითი ხერხებით. მოსწავლეები გააცნობიერებენ სამყაროს, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყაროს, რაც კომპოზიტორს შეუძლია შემოქმედებითად ასახოს მუსიკაში.

მუსიკალური ხელოვნებისადმი მოსწავლეთა ინტერესების ფორმირებას განაპირობებს მათი სრულყოფილად ჩართვა სასწავლო პროცესში; ესაა გაკვეთილის მსვლელობისას ტექსტური მასალისა თუ აუდიო/ვიდეოჩანაწერებით მოსმენილი რესურსის ანალიზის, საკუთარი შთაბეჭდილების, მოსაზრების ნათლად გამოთქმის უნარი, არგუმენტირებულად მსჯელობა, საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება და დასკვნის გამოტანა (მკვიდრი წარმოდგენები); მღერა, ინტონირება, იმპროვიზაცია, კომუნიკაცია და პასუხისმგებლობის უნარების გამოვლენა ინდივიდუალურად, ჯგუფებში თუ წყვილებში მუშაობისას, მონაწილეობა საკლასო თუ კლასგარეშე ღონისძიებებში.

სადღეისოდ ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუსიკის გაკვეთილი აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო სისტემის ქმედით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლად იქცა და მოზარდების ზნეობრივ, ინტელექტუალურ და კულტურულ განვითარებაში თვალსაჩინო როლი იკისრა.

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ნათლად გამოიკვეთა ახალი მოთხოვნები საგაკვეთილო პროცესის მიმართ. პირველ რიგში, ეს გულისხმობს გაკვეთილზე აქტიური მოსწავლისა და მასწავლებლის კონსტრუქციულ, შემოქმედებითობისა და თანამშრომლობის პრინციპით აგებულ ურთიერთობებს.

მასწავლებლების მიმართ დაისახა ამოცანა, გაააქტიურონ მოსწავლეები, მაქსიმალურად ჩართონ ისინი საგაკვეთილო პროცესში, აუმაღლონ მოტივაცია და ინტერესი საგნის მიმართ, სახალისო და საინტერესო გაკვეთილების საშუალებით განუვითარონ სააზროვნო და სოციალური უნარები; ასევე, ნასწავლი თეორიული ცოდნის სიტუაციისა და ამოცანის შესაბამისად პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

თანამედროვე მუსიკის გაკვეთილებს უწყვეტი ჯაჭვის სახე მიეცა. ამ ჯაჭვის შემადგენელი რგოლებია მუსიკა – მასწავლებელი – ბავშვები. შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას განსაზღვრავს ლოგიკურად აწყობილი მიზანმიმართული და გეგმაზომიერი გაკვეთილი. ამდენად, მუსიკის მასწავლებელს გაკვეთილის ეფექტურად წარმართვისათვის ვთავაზობთ არა დირექტივებს, არამედ მეცნიერულად გამართულ, ახალი ტექნოლოგიებით გამდიდრებულ მეთოდურ რეკომენდაციებს კონკრეტული მაგალითებით.

ვფიქრობთ, მეცხრე სასწავლო წლის მუსიკის სახელმძღვანელოს შინაარსი შეესაბამება სტანდარტში ჩამოყალიბებულ ზოგადსა და საფეხურებრივ მიზნებს, თანამედროვე კონცეფციებს, მოსწავლეთათვის ნაცნობ სამყაროს. ხოლო ამ შინაარსის მრავალფეროვანი მეთოდებით განხორციელება მასწავლებლის მეგზურის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მივიჩნიეთ.

სწავლების ამ საფეხურზე ჩვენი მიზანია, მოზარდს მუსიკის გაკვეთილზე განუვითაროს: დიალოგის, მსჯელობის, მუსიკის მოსმენისა და გაანალიზების, მოსმენილი ნაწარმოებების ფრაგმენტებიდან მუსიკალური მახასიათებლების ამოცნობის უნარი; ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ასაკსა და გარემომცველი სამყაროს შესაბამის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, კლასგარეშე ზეგავლენებს, საგანთაშორის კავშირებს.

მოსწავლის წიგნი „მუსიკა“ (IX კლასი) სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებთან. მასში გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის მუსიკის საგნის სტანდარტის მოთხოვნები.

ვფიქრობთ, საგაკვეთილო პროცესების დაგეგმვისა და სცენარების შედგენის დროს მაქსიმალურად გავითვალისწინეთ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები და მიზნები.

რას გვასწავლის საგანი „მუსიკა“?

- მუსიკა შეიძლება გახდეს ნებისმიერი პიროვნების (იქნება ის პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი) ცხოვრების ნაწილი;
- მუსიკა თითოეულ ადამიანს ეხმარება სამყაროს შეცნობაში;
- მუსიკა ზრდის სწავლის მოტივაციას;
- მუსიკა ავითარებს წარმოსახვით უნარ-ჩვევებს;
- მუსიკა ადამიანს ეხმარება საკუთარი ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებასა და ნებისმიერ კულტურულ გარემოცვაში ადაპტირებაში;
- მუსიკა გვცხმარება ცხოვრების ნებისმიერი გამოწვევის დაძლევაში;
- მუსიკა ავითარებს აზროვნების უნარ-ჩვევებს.

საგანმანათლებლო პრინციპები:

1. მოსწავლის ემოციის კონსტრუირება მის წინარე ცოდნასა და მოლოდინებზე დაყრდნობით.

სწავლის პროცესში სრულად ჩართვა მოტივატორია მოსწავლისთვის; ეს უპირველესი ფაქტორია – როცა მოსწავლეს ეზრდება მოტივაცია, ის თავს გრძნობს სწავლა-სწავლების პროცესის მონაწილედ. თუ ის ამ პროცესის მიღმა დარჩება, დაეუფლება განცდა, რომ ვერაფერს ისწავლის და არა აქვს არავითარი უნარი, რომ რაიმეს მიაღწიოს ამ ცხოვრებაში; ანუ მოზარდს უვითარდება ძალიან დაბალი თვითშეფასება. ასე რომ, თუ გავითვალისწინებთ ემოციის კონსტრუირების პრინციპს და სწავლების პროცესს დავალაგებთ ისე, რომ მოსწავლე თავს იგრძნობს პროცესის აქტიურ, მნიშვნელოვან მონაწილედ და, რაც მთავარია, შეეძლება საკუთარი ემოციების გამოხატვა, თავისი შეხედულებების, აზრის არგუმენტირებულად დაცვა, ეს მოსწავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოტივატორი იქნება და გააქტიურდება მისი შინაგანი ძალები.

2. მოსწავლის აზრზე, დამოკიდებულებებზე აპელირება; მოსწავლე უნდა გრძნობდეს, რომ მთავარი ფასეულობა მუსიკის საგანში არის მისი პირადი დამოკიდებულება, მუსიკის მისეული ინტერპრეტაციის უნიკალურობა.

ძალიან ხშირ შემთხვევაში მუსიკაში არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხი. ეს რაღაც დოზით კარგიცაა, რადგან მოსწავლის შიში, რომ მისი მოსაზრება „არასწორი“ იქნება, თრგუნავს მოზარდს და მას უჩნდება ერთგვარი არასრულფასოვნების კომპლექსი, რაც ხელს უშლის თავისუფლად გამოთქვას თავისი მოსაზრებები; შეცდომის დაშვების შიშისა და არასრულფასოვნების კომპლექსის გამო მოსწავლე შეეცდება შემდგომში თავი შეიკავოს „მცდარი“ მოსაზრების გამოთქმისგან, მისი პასუხი რომ არ იყოს მიუღებელი და ამით თავიდან აიცილოს მასწავლებლის მითითება ან შეფასებისას ქულის დაკლება.

მუსიკის საგნის სწავლებისას ეს ყველაფერი ძალიან ადვილად შეიძლება გადაილახოს. მუსიკა არაა ზუსტი მეცნიერება, გაკვეთილზე შეიძლება ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოზარდს არ ეშინია „შეცდომის დაშვების“. როცა მოსწავლეს ვაძლევთ მოსმენილ აუდიოფრაგმენტში რაღაცის ამოცნობის დავალებას, თუკი მოზარდის განწყობა, შეხედულება არ დაემთხვა კომპოზიტორის ჩანაფიქრს, თუკი მოსწავლეს მოჰყავს არგუმენტები, ასაბუთებს თავის აზრს, არ შეიძლება პასუხი შეცდომად ან მცდარ მოსაზრებად ჩათვალოს, რადგან ეს მოზარდის საკუთარი ხედვაა და ამ პროცესში ის თანამონაწილე, ასე ვთქვათ, თანაშემოქმედიც ხდება. საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დამთრგუნველი – „აა, თურმე არ დაემთხვა ჩემი აზრი კომპოზიტორის ჩანაფიქრს“, „ვაი, ვერ გამოვიცანი, შემეშალა და აღარაფერს აღარ ვიტყვი“. გაკვეთილზე ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაშვებული, პირიქით, მოსწავლეს უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მისი აზრი, არგუმენტი ღირებულია.

როგორ აიგება სასწავლო თემა

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები – გაგების, გააზრების, განმტკიცებისა და შეჯამებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი I. მკვიდრი წარმოდგენების დადგენა	
ნაბიჯი II. თემატური საკვანძო კითხვების დასმა	
ნაბიჯი III. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა	
ნაბიჯი IV. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა	
ნაბიჯი V. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება	

გაკვეთილზე თემის განხილვა სამ ეტაპად მიმდინარეობს:

I ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემებისა და მიზნების გაცნობა;

II ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემის/პრობლემების გადასაჭრელად და მიზნის მისაღწევად საჭირო სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება;

III ეტაპი. საკითხში წამოყენებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის ხერხების კომპლექსურ დავალებაში წარმოჩენა.

თითოეულ გაკვეთილში თანამიმდევრობით მოცემულია ყველა აქტივობა სარეკომენდაციო ინსტრუქციებითა და კითხვებით.

ვფიქრობთ, წინამდებარე სახელმძღვანელო კომპლექტი პედაგოგებს დაეხმარება მუსიკის საგნის სწავლების ძირითადი კონცეფციის განხორციელებაში, სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვაში.

თემის დამუშავება

სასწავლო თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.

მკვიდრი წარმოდგენები – თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც განსაზღვრავენ ცნების მოცულობას და აზუსტებენ, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს. მკვიდრი წარმოდგენები ეხმარება მასწავლებელს საკვანძო კითხვების ფორმირებაში;

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ფუნქციაა მოსწავლეს წარმოდგენა შეუქმნას შესასწავლი თემის კონტურებზე (თემატური მკვიდრი წარმოდგენები თვისობრივად განსხვავდება სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენებისგან).

სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები – წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. მათი საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ რაზე უნდა იმუშაოს კონკრეტულად მოსწავლემ თემის ფარგლებში. საკითხებზე დაყრდნობით ხდება ასევე კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.

საკვანძო შეკითხვები – პასუხობს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე თემის შესწავლისას. ესაა კითხვის ფორმით ფორმულირებული თემის ფარგლებში მიმდინარე სასწავლო პროცესის გრძელვადიანი მიზნები. ეს ის კითხვებია, რომლებზეც მოსწავლეს შეეძლება პასუხის გაცემა მხოლოდ თემის სწავლების დასრულებისას, იმის შემდეგ, როცა აითვისებს ყველა ცნებას თემის ფარგლებში, განიხილავს მათ ყველა ასპექტში, რაც თემაშია ჩაშლილი.

თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები გამოკვეთს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მათი ფუნქციაა:

- მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;
 - სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა;
 - თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა.
- საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მათგან იმეორებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში გაკვეთილ(ებ)ის სამიზნე როლს ასრულებს.

კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებთან, ესენია: საკითხი, საკვანძო შეკითხვა, სამიზნე ცნება, შედეგები, მკვიდრი წარმოდგენები, შეფასების კრიტერიუმი). მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებების მიხედვით ჯამდება მოსწავლეთა ცოდნა – როგორ აითვისეს შესწავლილი მასალა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, ყველა შემაჯამებელი დავალება კომპლექსური ტიპისაა. არ შეიძლება შემაჯამებლის სტატუსი მიენიჭოს მხოლოდ პროცედურულ და დეკლარატიულ ცოდნაზე ორიენტირებულ სავარჯიშოებს.

კომპლექსური დავალება არის დავალების ტიპი. ტერმინით „შემაჯამებელი“ კი განისაზღვრება სტატუსი/ფუნქცია, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესში ზოგიერთ დავალებას ენიჭება. მაგალითად, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელმა შესაძლოა მოსწავლეებთან 10 კომპლექსური დავალება განახორციელოს, აქედან სამს კი შემაჯამე-

ბელი დავალების სტატუსი მიანიჭოს (იმის მიხედვით, თუ რამდენი შემაჯამებელია სავალდებულო საგანში ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. IX კლასის მოსწავლის ნიგნში ყოველი თემის დასრულებისას მოცემული გვაქვს 9 კომპლექსური დავალების ნიმუშები პირობისა და კონკრეტული ინსტრუქციების დართვით.

შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში; სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.

თემის დამუშავებისას ვხელმძღვანელობთ **მატრიცებით**, რომლებიც მასწავლებლის ნიგნში წარმოდგენილია თითოეული თავის დასაწყისში.

მატრიცა არის ერთგვარი რუკა, რომელშიც თავმოყრილია ყველა ის კომპონენტი, რომლებზედაც უნდა ვიმუშაოთ. მისი დახმარებით ადვილად ვადგენთ კომპონენტებს შორის კავშირს (როგორ გამომდინარეობს თითოეული კომპონენტი ერთიმეორისგან და როგორ შეიძლება მათი ორგანულად ჩართვა საგაკვეთილო პროცესში).

შეფასების რუბრიკა:

- ცოდნა და უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**
- მუსიკის მოსმენა და მასთან დაკავშირებული დავალებების შესრულება;
 - მასალის მოძიება;
 - გამართული სამეცყველო უნარები;
 - შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა: სიმღერა, იმპროვიზაცია, კომპიუტერულ პროგრამაში მუშაობა;
 - პროექტის მომზადება;
 - საკუთარი და სხვისი შესრულების/შემოქმედების განხილვაში მონაწილეობა;
 - მუსიკალური ნაწარმოების კონტექსტის განხილვა;
 - სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და მომზადება;
 - საკუთარი ნაშრომის, შემოქმედებითი საქმიანობის წარდგენა;
 - სხვადასხვა დავალების შესრულებისას მუსიკალური დამწერლობისა და ტერმინების ადეკვატურად გამოყენება და სხვ.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში მოწმდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თავი, თემა, ქვეთემა, აქტივობა) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა შეძლოს მუსიკის სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

ჯგუფური ნამუშევრის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები				მაქსიმალური ქულა
დროის ლიმიტის დაცვა, ორგანიზებულობა	ელ.რესურსებისა და კომპიუტერის ფლობა და პრაქტიკაში გამოყენება	შემოქმედებითობა და პრაქტიკა (რამდენად კარგად შეძლებს საკუთარი შთაბეჭდილებისა და გამოცდილების საფუძველზე შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებას)	კომუნიკაბელურობა ჯგუფში მუშაობისას	10
2	1	4	3	

ინდივიდუალური პრაქტიკული სამუშაოს შეფასება

შეფასების კრიტერიუმები				მაქსიმალური ქულა
დროის ლიმიტის დაცვა, ორგანიზებულობა	ელ.რესურსების, ინტერნეტპროგრამების ფლობა და პრაქტიკაში გამოყენება	შემოქმედებითობა და პრაქტიკა (რამდენად კარგად შეძლებს მუსიკის საშუალებით საკუთარი იდეების, ემოციებისა და განწყობების გამოხატვას)	შესრულებული ნამუშევრის პრეზენტაცია	10
2	1	4	3	

განმავითარებელი შეფასება (მაქსიმალური ქულა – 5)

რას ვაფასებთ	ქულა
განაზოგადებს, რა ინფორმაციას აწვდით მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტებით; როგორ დაეხმარა მუსიკა ამ ინფორმაციის ამოკითხვაში.	1
განსაზღვრავს, რა ურთიერთკავშირია მუსიკასა და ტექსტს შორის; რომელი გამომსახველობითი ხერხები დაეხმარა მოსწავლეს მუსიკალური მახასიათებლების ამოცნობაში; განსაზღვრავს მუსიკის როლს ფრაგმენტის შინაარსობრივი დატვირთვის ინტერპრეტირებაში.	1
ამოიცნობს მუსიკის ფუნქციას განხილული აუდიოფრაგმენტების მიხედვით და წარადგენს სათანადო არგუმენტებს.	2

განმსაზღვრელი შეფასება (მაქსიმალური ქულა – 5)

რას ვაფასებთ	ქულა
ამოიცნობს მსგავსებას მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის; სწორად განსაზღვრავს მითის მახასიათებლებისა და მუსიკის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირს.	1
საუბრობს მუსიკის სხვადასხვა გამომსახველობით ხერხზე; ამოიცნობს და ადარებს ერთმანეთს მოსმენილ ნაწარმოებებს რიტმის, ჰარმონიის, მელოდიის, სხვა მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით; განსაზღვრავს ჟანრს.	1
მონაწილეობს დიალოგში, მსჯელობს, დამოუკიდებლად გამოაქვს დასკვნა.	1
განმარტავს, რატომ არის რიტუალი მითის გადმოცემის საუკეთესო ხერხი; როგორ ემსგავსება ერთმანეთს მუსიკისა და მითის მახასიათებლები.	1
შემოთავაზებული მითებისა და მუსიკალური ფრაგმენტების ნიმუშებისგან LMMS პროგრამის მეშვეობით ქმნის ერთიან კომპოზიციას.	1

თითოეული თავის ბოლოს მოცემულია კომპლექსური დავალებები (ესე ან კომპიუტერულ პროგრამაში კომპოზიციების შექმნა მოცემული ინსტრუქციის საფუძველზე), რომელთა მიხედვითაც ყოველი თემის დასრულებისას ჯამდება მოსწავლეთა ცოდნა.

გაკვეთილების სცენარები

თავი I

მითი და რეალობა მუსიკაში

მატრიცა

თემატური ბლოკი: მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში
თემა: მითი და რეალობა მუსიკაში
საათების რაოდენობა – 40

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- მითი არის აზროვნების ფორმა და არა ლიტერატურული ჟანრი;
- მითის სრულყოფილად გადმოცემა შეიძლება რიტუალით, რომელიც მოიცავს ხელოვნების ყველა დარგში არსებულ გამომსახველობით ხერხებს;
- მუსიკაში, ისევე როგორც მითში, გარესამყაროს აღქმა სააზროვნო და ემოციური სფეროების განუყრელობით ხასიათდება;
- მუსიკაში, ისევე როგორც მითში, ადამიანის წარმოდგენები გარესამყაროზე გადმოიცემა არა იმდენად სიუჟეტით, რამდენადაც სხვადასხვა სახის ნიშნებით;
- მუსიკაში მითოლოგიური ნიშნებისა და სიმბოლოების ანალოგები რიტორიკულ ფიგურებში, ლაიტმოტივებში შეგვიძლია ვეძიოთ;
- მუსიკაში მითის სტრუქტურული ანალოგები მუსიკალურ თემაში, მუსიკალურ ფორმაში შეგვიძლია ვეძიოთ;
- მუსიკაში მითოლოგიური სიუჟეტები ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია მსხვილ ინსტრუმენტულ თუ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ჟანრებში, როგორებიცაა კანტატა, ორატორია, ოპერა, ბალეტი, სიმფონია;
- XX საუკუნის მუსიკაში მითმა ახალი ჟღერადობა შეიძინა.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:

1. მსგავსება მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის;
2. მითი მსხვილ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ჟანრებში;
3. მითოლოგია XX-XXI საუკუნეების მუსიკაში;
4. მითოლოგიური აზროვნება როკმუსიკაში;
5. მითოლოგიური აზროვნება კინომუსიკაში.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები:

რიტმი – რიტმის სახეობები რიტმულ ფიგურაციებში;

მელოდია – ინტონაციური ფორმულები, ლაიტმოტივები;

ჰარმონია – ჰარმონიული ფორმულები, ჰარმონიული სვლები, ლაიტჰარმონია;

ფორმა – მუსიკალური თემები;

ჟანრები – ოპერა, მიუზიკლი, ორატორია, მცირე ვოკალური ჟანრები, პროგრამული მუსიკა: სიმფონიური პოემები, ინსტრუმენტული ციკლები; პროგრესული როკი; ახალი ნეოკლასიციზმი.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
რიტმი • რიტმი გრძლიობის მიხედვით ხმებს, ბგერებს გარკვეული თანმიმდევრობით ალაგებს და მუსიკაში ერთგვარ წესრიგს ამყარებს; • ხმები და ბგერები ლაგდება უსაზღვრო რაოდენობის რიტმულ ფიგურაციებში; • მუსიკაში მელოდია ვერ არსებობს რიტმის გარეშე, თუმცა რიტმს მუსიკაში დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია; • რიტმი მელოდიას და ზოგადად მთლიან მუსიკალურ ნაწარმოებს სხვადასხვა ხასიათს სძენს; • რიტმი მუსიკას სძენს დინამიკას; • რიტმი მუსიკას ემოციის, ემოციური ცვალებადობის გადმოცემაში ეხმარება. მელოდია • მელოდია არის ერთ ხმაში გადმოცემული მუსიკალური აზრი; • მელოდიაში მუსიკალური აზრი დროში ხმის სიმაღლეების ცვლით გადმოიცემა;	მსგავსება მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის რიტმი – რიტმული ფიგურაციები, როგორც მუსიკალური ნიშანი; მელოდია – ინტონაცია, ინტონაციური ფორმულა, როგორც ნიშანი; ჰარმონია – ინტერვალები ფორმა – მოტივი, ფრაზა; ჟანრი – რიტუალური ცეკვა.	1. როგორ გადმოიცემა მითი? 2. რატომაა რიტმული მითის გადმოცემის საუკეთესო ხერხი? 3. როგორ ემსგავსება ერთმანეთს მუსიკისა და მითის მახასიათებლები?	• შეთავაზებულ რიტუალურ ტექსტში მითოლოგიური აზროვნების ნიშნების ამოცნობა მუსიკის მახასიათებლების საშუალებით; • LMMS პროგრამაში მითოლოგიური სიუჟეტის გადმოსაცემად რიტუალური მუსიკალური კომპოზიციის შექმნა; • შეთავაზებული რიტუალური ცეკვების სიმბოლიკის განსაზღვრა და მათი დაკავშირება მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებთან; • LMMS პროგრამის დახმარებით კომპოზიციის შექმნა სკანდინავიური მითის საკვანძო დეტალების მიხედვით.
	ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრაქტიკაცია) • როგორ ამოვიცნო მითის სიუჟეტი რიტუალში? • როგორ ამოვიცნო ნიშნების სტატუსი რიტუალურ მუსიკაში? • როგორ ავხსნა მითისა და მუსიკის მახასიათებლების მსგავსება? ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა; სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება • რა მახასიათებლებით გამოირჩევა მითი? • რა მსგავსებებია მუსიკისა და მითის მახასიათებლებში? • რა სტატუსები ენიჭება სხვადასხვა ნიშანს მითში და მუსიკაში? • როგორ ამოვიცნო თითოეული ნიშნის სტატუსი? • რა როლს ასრულებს მუსიკა რიტუალში? • როგორ უკავშირდება რიტუალისა და მუსიკის მახასიათებლები ერთმანეთს? • როგორ ამოვიცნო სხვადასხვა ნიშნის შინაარსობრივი დატვირთვა? • როგორ იჩენს თავს ეს მახასიათებლები რიტუალურ მუსიკაში? • როგორ ავხსნა ყოველივე ეს სიტყვებით? • როგორ გამოვიყენო სხვადასხვა ტრადიციული მუსიკის ელემენტები რიტუალური მუსიკის შექმნის დროს?	რესურსები: მოსწავლის წიგნი, აუდიო-ვიდეო ფრაგმენტები.	შეფასების კრიტერიუმები: განმავითარებელი/ განმსაზღვრელი • განაზოგადებს, რა ინფორმაციას აწვდით მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტებით; როგორ დაეხმარა მუსიკა ამ ინფორმაციის ამოკითხვაში. • ამოიცნობს მსგავსებას მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის; სწორად განსაზღვრავს მითის მახასიათებლებისა და მუსიკის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირს.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
• ინტონაცია მელოდის ის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც მას შინაარსს სძენს და სიმაღლის მიხედვით უბრალო ბგერათმცოდნისგან განასხვავებს; • ინტონაცია ხშირ შემთხვევაში ბუნებაში არსებულ ინტონაციებს ემსგავსება, რითაც იგი განსაკუთრებულ ემოციურ გამოხატულებას უძლიერებს მსმენელში; • არსებობს მელოდიური ინტონაციები, რომლებსაც კონკრეტული მდგარი შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია და სხვადასხვა ეპოქის მუსიკაში ამავე შინაარსობრივი მნიშვნელობით გამოიყენება; • მელოდია ვერ არსებობს რიტმის გარეშე. ჰარმონია • ჰარმონია ცალკეულ ბგერებს თანახმანობებში აერთიანებს; • ჰარმონიაში სხვადასხვა ბგერების თანახმანობა არსებობს: ინტერვალთა, აკორდი, კილო, ბგერათწყობა და ა. შ.	მათი მსხვილ ფოკალურ-ინსტრუმენტულ ჟანრებში ქვეცნებები: რიტმი – რიტმული ფიგურაციები, როგორც მუსიკალური ნიშანი; მელოდია – ინტონაცია, ინტონაციური ფორმულა, როგორც ნიშანი; ჰარმონია – ინტერვალები; ფორმა – ლაიტმოტივი; ჟანრი – ოპერა.	1. როგორ გადმოიცემა მითი ოპერაში? 2. რატომ არის რიტუალი მითის გადმოცემის საუკეთესო ხერხი? 3. როგორ ემსგავსება ერთმანეთს მუსიკისა და მითის მახასიათებლები?	ოპერა „ნიბელუნგის ბეჭდის“ ხმლის ჟღერის სცენიდან ტექსტებისა და მოსმენილი ლაიტმოტივების მუსიკალურ ხერხებზე დაყრდნობით, სქემის შედგენა, კომპოზიტორის ჩანაფიქრის სიმბოლური დატვირთვის განსაზღვრა.
ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია) • როგორ გადმოიცემა მსხვილ ფოკალურ-ინსტრუმენტულ მუსიკაში მითის არსი? • როგორ ავხსნა მსხვილ ფოკალურ-ინსტრუმენტულ მუსიკაში გადმოცემული მითის არსი? ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება. • რა ნიშნებით გადმოიცემა მსხვილ ფოკალურ-ინსტრუმენტულ მუსიკაში მითის არსი? • რა მსგავსებებია მუსიკისა და მითის მახასიათებლებს შორის? • რა სტატუსები ენიჭება სხვადასხვა ნიშნის მსხვილ ფოკალურ-ინსტრუმენტულ მუსიკაში? • როგორ ამოვიცნო თითოეული ნიშნის სტატუსი? • როგორ ამოვიცნო სხვადასხვა ნიშნის შინაარსობრივი დატვირთვა? • როგორ ავხსნა ყოველივე ეს სიტყვებით? • როგორ გამოვიყენო ეს ნიშნები მსხვილ ფოკალურ-ინსტრუმენტულ მუსიკაში გადმოცემული მითის არსის წარმოსაჩენად?		რესურსები: მოსწავლის ნიგნი, აუდიო-ვიდეო ფრაგმენტები.	შეფასების კრიტერიუმები: განმავით/ განმსაზღვრელი: • განსაზღვრავს მუსიკის როლის ფრაგმენტის შინაარსობრივი დატვირთვის ინტერპრეტირებაში. • ამოიცნობს მსგავსებას მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის; სწორად განსაზღვრავს მითის მახასიათებლებისა და მუსიკის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირს.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
• ჰარმონიაში აკორდების თანმიმდევრობების მქაძრი კანონები არსებობს, რასაც ჰარმონიულ სფერებს ან ფორმულებს უწოდებენ; • ჰარმონიული სფერების საშუალებით ვითარდება მუსიკალური აზრი; • ჰარმონიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუსიკით განწყობის შექმნაში; • ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოვლენის, ადამიანის, საგნის დახასიათებაში; • ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსიკით გარემოს შექმნის დროს; • მელოდიაც ჰარმონიის ნაწილია. ფორმა • ფორმა გვიჩვენებს, თუ როგორ არის აგებული მუსიკალური ნაწარმოები; • მუსიკალური ფორმა ეხმარება კომპოზიტორს სხვადასხვა მუსიკალური ელემენტი გააერთიანოს ერთ სრულყოფილ მუსიკალურ ნაწარმოებში;	საკითხი და ქვეცნებები მითოლოგია XX-XXI საუკუნეების მუსიკაში ქვეცნებები: რიტმი – რიტმული პატერნი; მელოდია ინტონაცია, ინტონაციური პატერნი; ფორმა – რიტმო-ინტონაციური პატერნების დაჯგუფება; ჟანრი – კამერული მუსიკა.	1. როგორ გადმოიცემა მითოლოგიური სიუჟეტი თანამედროვე მუსიკაში? 2. როგორ ამოვიცნო თანამედროვე მუსიკის გამომსახველობით ხერხებში მითოლოგიური ნიშნის სტატუსი? 3. როგორ გამოვიყენო თანამედროვე მუსიკის გამომსახველობითი ხერხები მითოლოგიური ნიშნების გადმოსაცემად?	• შემოთავაზებული ინსტრუქციის მიხედვით წერითი დავალება ესეს სახით თემაზე – “მითოლოგიური აზროვნება XX-XXI საუკუნეების მუსიკაში”. • LMMS პროგრამაში შექმნილ კომპოზიციაში მითოლოგიური პერსონაჟის მახასიათებლების წარმოჩენა მუსიკალური მოტივების მიხედვით.
		ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია) • როგორ გადმოიცემა თანამედროვე მუსიკაში მითის არსი? • როგორ ავხსნა თანამედროვე მუსიკაში გადმოცემული მითის არსი? ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება. • რა ნიშნებით გადმოიცემა თანამედროვე მუსიკაში მითის არსი? • რა სტატუსები ენიჭება სხვადასხვა ნიშანს თანამედროვე მუსიკაში? • როგორ ამოვიცნო თითოეული ნიშნის სტატუსი? • როგორ ამოვიცნო სხვადასხვა ნიშნის შინაარსობრივი დატვირთვა? • როგორ ავხსნა ყოველივე ეს სიტყვებით? • როგორ გამოვიყენო ეს ნიშნები თანამედროვე მუსიკაში გადმოცემული მითის არსის წარმოსაჩენად?	შეფასების კრიტერიუმები): განმავით.\ განმსაზღვრელი: • განსაზღვრავს, რა ურთიერთკავშირია მუსიკასა და ტექსტს შორის; რა გამომსახველობითი ხერხები დაეხმარა მოსწავლეს მუსიკალური მახასიათებლების ამოცნობაში. განსაზღვრავს მუსიკის როლს ფრაგმენტის შინაარსობრივი დატვირთვის ინტერპრეტირებაში; • ამოიცნობს მსგავსებას მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
• ფორმის საშუალებით გადმოიცემა მთლიანი მუსიკალური ნაწარ-მოების მხატვრული შინაარსი; • მუსიკალური ფორმის საშუალებით გად-მოიცემა მუსიკალური ნაწარმოების მთავარი იდეა; • მუსიკალური ფორ-მის მეშვეობით იქმნება მხატვრული სახე; • მუსიკალური ფორმის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური აზრის განვრცობა; ჟანრი • მუსიკალური ნაწარ-მოების სახეობა, რომელსაც გარკვეული სტილისტური, სიუ-ჟეტური, კომპოზიცი-ური მახასიათებლები გააჩნია; • მუსიკალური ჟანრის წარმოქმნას ხშირ შემ-თხვევაში ისტორიული მოვლენები განაპირო-ბებს;	მითოლოგიური აზროვნება როკმუსიკაში ქვეცნებები: რიტმი – რიტმი-ფორმულები მელიდია – ინტონაციური ბათონი; მუსიკალური ციტატა; ფორმა – რიფი; ჟანრი – პროგრესული როკი.	1. როგორ გადმოიცემა მითოლოგიური სიუჟეტი პროგრესულ როკში? 2. როგორ ამოვიცნო პროგრესული როკის გამომსახველ ხერხებში მითოლოგიური ნიშნის სტატუსი? 3. როგორ გამოვიყენო პროგრესული როკის გამომსახველი ხერხები მითოლოგიური ნიშნების გადმოსაცემად?	ვგუფ „სიმფონი X“-ის ალბომიდან – „ახალი მითოლოგიური სიუჟეტა“ – შემოთავაზებული კომპოზიციიდან მუსიკალური ფრაგმენტის სქემის აგება მოცემული პირობისა და ინსტრუქციის მიხედვით.
ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია) • როგორ გადმოიცემა პროგრესულ როკში მითის არსი? • როგორ ავხსნა პროგრესულ როკში გადმოცემული მითის არსი? ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება. • რა ნიშნებით გადმოიცემა პროგრესულ როკში მითის არსი? • რა სტატუსები ენიჭება სხვადასხვა ნიშანს პროგრესულ როკში? • როგორ ამოვიცნო თითოეული ნიშნის სტატუსი? • როგორ ამოვიცნო სხვადასხვა ნიშნის შინაარსობრივი დატვირთვა? • როგორ ავხსნა ყოველივე ეს სიტყვებით? • როგორ გამოვიყენო ეს ნიშნები პროგრესულ როკში გადმოცემული მითის არსის წარმოსაჩენად? რესურსები: მოსწავლის წიგნი, აუდიო-ვიდეო ფრაგმენტები. შეფასების კრიტერიუმები: განმავითარ./ განმსაზღვრელი: • ამოიცნობს როგორ გადმოიცემა პროგრესულ როკში მითის არსი; • სქემაში ამოიცნობს პროგრესულის კომპოზიციებში რიფის, როგორც ერთგვარი მუსიკალური ნიშნის მახასიათებლებს; არგუ-მენტირებულად განმარტავს თავის მოსაზრებებს.			

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
- მუსიკაში ჟანრი ნაწარმოების ფორმას განაპირობებს (ხშირ შემთხვევაში ჟანრის და ფორმის სახელწოდება ემთხვევა) - კიდევაც და განსაზღვრავს მის შინაარსს და ხასიათს; - ხშირად ჟანრის წარმოქმნას გარკვეული ეპოქის ესთეტიკური შეხედულებები უწყობს ხელს.	მითოლოგიური აზროვნება კინომუსიკაში ქვეცნებები: რიტმი – რიტმული ფიგურაციები, როგორც მუსიკალური ნიშანი; მელოდია – ინტონაციური ფორმულა, როგორც ნიშანი; ფორმა – ლაიტმოტივი; ჟანრი – კინომუსიკა.	1. როგორ გადმოიცემა მითოლოგიური სიუჟეტი კინომუსიკაში? 2. როგორ ამოვიცნო კინომუსიკის გამომსახველობით ხერხებში მითოლოგიური ნიშნის სტატუსი? 3. როგორ გამოვიყენო კინომუსიკის გამომსახველობითი ხერხები მითოლოგიური ნიშნების გადმოსაცემად?	- შემოთავაზებული/ან თავის მიერ მოძიებული მუსიკალური ფრაგმენტების მიხედვით შესრულებული წერითი სამუშაო – ესე თემაზე: „რატომმა მითოლოგიური თემა ჩვენს დროშიც ასე აქტუალური“. - კომპოზიციის შექმნა LMMS პროგრამაში მითოლოგიურ თემაზე გადაღებული ფენტეზის ჟანრის ფილმიდან შემოთავაზებული (ან საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოადგინონ) მუსიკალური ლაიტმოტივების გამოყენებით.
	ეტაპი 1. კომპლექსური დავალებების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია) - როგორ გადმოიცემა კინომუსიკაში მითის არსი? - როგორ ავხსნა კინომუსიკაში გადმოცემული მითის არსი? ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა; სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება. - რა ნიშნებით გადმოიცემა კინომუსიკაში მითის არსი? - რა სტატუსები ენიჭება სხვადასხვა ნიშანს კინომუსიკაში? - როგორ ამოვიცნო თითოეული ნიშნის სტატუსი? - როგორ ამოვიცნო სხვადასხვა ნიშნის შინაარსობრივი დატვირთვა? - როგორ ავხსნა ყოველივე ეს სიტყვებით? - როგორ გამოვიყენო ეს ნიშნები კინომუსიკაში გადმოცემული მითის არსის წარმოსაჩენად?		
	რესურსები: მოსწავლის წიგნი, აუდიო-ვიდეო ფრაგმენტები.		

მითის ფენომენი

პირველი გაკვეთილი ე. წ. მოთელვა – მითის ფენომენის განსაზღვრა.

მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, ჯერ თავად განმარტონ, რა არის მითი, ისაუბრონ, რა ინფორმაციას ფლობენ მითების შესახებ, რა წაუკითხავთ, მითოლოგიურ თემაზე შექმნილი რომელი ფილმები უნახავთ, რა თემაზეა ისინი შექმნილი, რა ემოციებს აღუძრავთ, რა აქცენტებია წინ წამოწეული და რა ღირებულებების მატარებელია. შემდეგ მოსწავლეები ილუსტრაციებში ამოიცნობენ მითებს, შეძლებისდაგვარად ისაუბრებენ მათზე.

მასწავლებლის შესავალი ტექსტი:

მითები უძველესი დროიდან გვხვდება ნებისმიერ საზოგადოებაში. ჩვეულებრივ საუბარში „მითს“ დაუჯერებელ ამბავზე იტყვიან. ამ მნიშვნელობით მითს ზღაპართან აიგივებენ – „ეს ხომ მითია, ზღაპარია“, – ვიტყვით ხოლმე, მაგრამ დიდი განსხვავებაა მითსა და ზღაპარს შორის. მათი ერთმანეთში აღრევა არასწორია. ვიდრე ამ განსხვავებებზე ვიტყოდეთ რამეს, გავარკვიოთ მითის მნიშვნელობა. რას ნიშნავს ეს სიტყვა – „მითი“? მითი, უფრო ზუსტად – მ ი თ ო ს – ბერძნული სიტყვაა და მას ბევრი მნიშვნელობა აქვს. **მითოს** ნიშნავს სიტყვას, ნათქვამს, გამონათქვამს, ამბავს. მითოსი ისეთი ამბავია, რომელიც მოგვითხრობს ღმერთების საქმიანობის შესახებ კაცობრიობის წინაისტორიულ ხანაში – როგორ შექმნეს ღმერთებმა ეს სამყარო, როგორ შეიქმნა ან გაჩნდა ესა თუ ის საგანი თუ მოვლენა სამყაროში, როგორ და რატომ შექმნეს ღმერთებმა ადამიანი – ეს ყველაფერი მითოსის თემაა. ღმერთების შექმნილია ეს სამყარო თავისი კანონებით, მაგრამ ღმერთები ადამიანებს უტოვებენ სამოქმედო ასპარეზს – გამორჩეული ადამიანები ქმნიან აუცილებელ საგნებს ადამიანური ცხოვრებისთვის და ადგენენ აუცილებელ წესებს ურთიერთობებისთვის. ესეც მითოსის საგანია. მითოსი მოგვითხრობს საგნებისა თუ მოვლენების პირველად შექმნის, მოპოვებისა თუ შემოღება-გამოყენების შესახებ.

როგორც ვთქვით, ხშირად ერთმანეთთან აიგივებენ მითოსსა და ზღაპარს. რა არის ზღაპარი? თითოეულ თქვენგანს წაუკითხავს ზღაპრები და ალბათ დღესაც კითხულობს. თუ დაკვირვებისხარ, არც ზღაპრის მთქმელი და არც მსმენელი არ თვლიან ზღაპარს ნამდვილად მომხდარ ამბად. „იყო და არა იყო რა“ – ასე იწყება მსოფლიოს ბევრი ხალხის ზღაპარი. ესე იგი, ზღაპარში მოთხრობილი ამბავი არასოდეს მომხდარა, ეს იცის ყველამ – მოთხრობელმაც და მსმენელმაც. თუ დაკვირვებისხარ, ზღაპრის ამბავი არასოდეს ხდება ერთ რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში და რომელიმე კონკრეტულ დროში. „დიდი ხნის წინათ, ოდესღაც, ერთ ქვეყანაში იყო ერთი ხელმწიფე...“ – ასე იწყება ძალიან ბევრი ზღაპარი. ზღაპარში არც ქვეყანა და არც დროა განსაზღვრული, ამბავი არცერთ საუკუნეში არ ხდება, – არც უძველეს დროში, არც ძველად, არც ახლა, არამედ განუსაზღვრელ დროში. ხოლო მითოსის ამბავი ხდება განსაზღვრულ ქვეყანაში – თუ მითოსი ბერძნულია, მოქმედების ასპარეზიც საბერძნეთია და მოქმედი პირებიც ბერძნები არიან. ასეა ყველა სხვა ხალხის მითოლოგიაშიც. ქართულ მითოლოგიაში „ამირანიანის“ ეპოსის მთავარი გმირის, ამირანის, შესახებ თქმულებები დაფიქსირებულია საქართველოს ყველა კუთხეში, ქართული ენის ყველა დიალექტზე, რაც მიუთითებს მათი ეთნოგენეზის ადრეულ სტადიაზე. ქართული მითოლოგია ძველი ქართული მითებისა და ისტორიების ნაკრებია, რომლებიც ძველ ქართულ ღმერთებს – ღვთისშვილებსა და გმირებს, ასევე სამყაროს მოწყობას ეხება. მათში ახსნილია სამყაროს დასაბამი და მრავალრიცხოვანი ღმერთების, ქალღმერთების, გმირებისა თუ მითიური ქმნილებების ცხოვრებისა და თავგადასავლების დეტალები. ეს ამბები თავდაპირველად ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა ზეპირ-პოეტური ტრადიციით, დღეისათვის ქართულ მითოლოგიას ჩვენი ხალხური ზღაპრებიდან და სხვა ლიტერატურიდან ვეცნობით.

რა დროში ხდება მითოსის ამბავი? ეს დრო კაცობრიობის ისტორიამდელი დროა, ჩვენი თანამედროვეობის წინარენარსულია.

კიდევ ერთი ნიშანი – ზღაპარში მოთხრობილი ამბის კვალს ჩვენ ვერ ვხედავთ და ვერც დავინახავთ ჩვენს სინამდვილეში, ჩვენ გარშემო. მითოსში კი, უმეტესად, ისეთი ამბებია მოთხრობილი, რომლის შედეგს თვალსაჩინოდ ხედავს ადამიანი; მითოსის კვალი ჩვენს ყოველდღიურობაშია.

თუ მითოსში მოთხრობილია, თუ როგორ აღმოაჩინა ადამიანმა ცეცხლი და როგორ ისწავლა მისი გამოყენება, ამის შედეგიც აქვეა – ჩვენს ყოფაში, ჩვენ კვლავ და კვლავ ვანთებთ ცეცხლს; თუ მითოსი მოგვითხრობს პირველი წყვილის, ქალ-ვაჟის, დაქორწინების ამბავს, ეს ამბავი სარწმუნოა, რადგან ეს პირველი ქორწინება გრძელდება დღესაც – ჩვენს დროშიც ქორწინდებიან ქალ-ვაჟნი; თუ მითოსი მოგვითხრობს რომელიმე მდინარისა თუ ტბის გაჩენის ამბავს, მსმენელისთვის ის დამაჯერებელია, რაც უნდა ფანტასტიკური იყოს. მდინარისა თუ ტბის მითოსის დამაჯერებლობას ადასტურებს თავად მდინარე თუ ტბა, რომელიც ჩვენ თვალწინაა. ამგვარად, მათი არსებობა დამაჯერებელს ხდის მითოსში მოთხრობილ ამბავს. ადამიანებს სჯეროდათ მითის მისტიკური შესაძლებლობების, მისი ჯადოსნური ძალის, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სასწაულები მოახდინოს. აი, ალბათ, ამ აზრით, მითოსის შინაარსი უტყუარი და სარწმუნო იყო ძველ საზოგადოებაში. შეგვიძლია გავისხენოთ ძმები გრიმების ზღაპრები, რომლებშიც მთავარი გმირები დახმარებას ხშირად ანგელოზებსაც კი სთხოვდნენ და, რაც ყველაზე აღსანიშნავია, რთული სიტუაციიდან გამოსავალს ხშირად მითების წიგნებიდან ხანგრძლივი ძიების შედეგად ღებულობდნენ.

მითი – ეს არის ისტორია, რომელიც შეიცავს ხალხის კულტურის წიაღში არსებულ საერთო ემოციებისა და იდეალების გამომხატველ სიმბოლურ ელემენტებს და წარმოადგენს მსოფლმხედველობის უძველეს გამოხატულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მითი ადამიანს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს საკუთარი თავი, ეროვნული ღირებულებები და მის გარშემო არსებული სამყარო. ამის გათვალისწინებით, მითი აერთიანებს მეცნიერებას, რელიგიასა და ხელოვნებას.

მითი გარკვეული გზამკვლევაა ამ მითის შემქმნელი ხალხის სამყაროსა და, საერთოდ, გარესამყაროს შემეცნების, მისი წარმოშობის კანონზომიერების შესწავლის გზაზე. მითები სხვადასხვა ქვეყნის ხალხების კულტურაში განსხვავებული ასპექტითაა წარმოდგენილი და სხვადასხვა სახის აქცენტებით ხასიათდება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფასეულობებია წინა პლანზე წამოწეული ამა თუ იმ ეროვნების ხალხთა კულტურაში – რელიგიური, ფილოსოფიური, ღვთაებების, ჰეროიკული, საყოფაცხოვრებო თუ სხვ. მითიური ისტორია შეიძლება ეხებოდეს დაპირისპირებული მხარეების კონფლიქტს, რომლის დასასრულიც მორალური მითითებაა ამ საზოგადოების წევრებისათვის. ასე რომ, შეიძლება ითქვას: მითი წარმოადგენს ხალხთა ცხოვრების წესსა და მსოფლმხედველობას.

როცა მითებსა და მითოლოგიას ვახსენებთ, ჩვეულებრივ, ელინური ანუ ბერძნული სამყარო გაგვახსენდება ხოლმე. ვის არ გაუგია ძველი ბერძენი გმირის, ჰერაკლეს საგმირო თავგადასავალი, მისი თორმეტი გმირობა – თორმეტი მითოსი, ან ტიტან პრომეთეს ღვაწლი – კაცობრიობის სასიკეთოდ ცეცხლის მოპოვება, ან ოიდიპოს მეფის ტრაგიკული ამბავი... ორფევსი და ევრიდიკე, თეზევსი, პერსევსი, ჰეფესტო, აფროდიტე, არესი, დიონისე და კიდევ მრავალი სხვა მითოლოგიის პერსონაჟი, რომლებიც დიდი ხანია, რაც მშობლიური სახელებია ყოველი განათლებული ადამიანისთვის. მათ გარეშე ძალზე ღარიბად გამოჩნდებოდა ის კულტურა და ცივილიზაცია, რომელსაც ჩვენ, ქართველები, ვეკუთვნით. ეს სახელები ყოველთვის იყო და არის შთამაგონებელი პოეტებისა და მხატვრების, მოქანდაკეებისა და მუსიკოსთათვის.

აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ მითი არ არის ჟანრი, იგი აზროვნების ფორმაა, საკრალური ტექსტი (მაგალითად, რელიგიური), რომლის მიხედვითაც ტარდება რიტუალები. როგორც აზროვნების ნებისმიერი ფორმა, მითიც ქმნის გარკვეულ კულტურულ გარემოს, ესთეტიკურ და სულიერ ფასეულობათა სისტემებს. ყოველივე ეს კი თავს იჩენს ცხოვრების წესში, საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ხელოვნებაში და ა. შ. მითოლოგიური აზროვნება ქმნის სამყაროს მოდელს, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული რაციონალური* და ემოციური საწყისები. სწორედ ამით მითი ძალიან ემსგავსება მუსიკას.

მეორე მნიშვნელოვანი მსგავსებაა ის, რომ მითის სრულყოფილი გაგებისთვის მისი შინაარსის მხოლოდ სიტყვიერად გადმოცემა არ არის საკმარისი. ამგვარად მოწოდებული მითი მას ზღაპრად ან ლეგენდად აქცევს. ეს განასხვავებს მითებს ლეგენდებისა და ზღაპრებისგან.

რა ხერხებით გადმოიცემა მითში არსებული აზრი, შინაარსი, რით ემსგავსება გადმოცემის ეს ხერხები მუსიკის მხატვრულ ხერხებს, ამის გარკვევაში პირველი თავის მომდევნო გაკვეთილებზე განხილული აქტივობები დაგვეხმარება.

* **რაციონალიზმი:** 1. ფილოსოფიური რწმენა იმისა, რომ შემეცნებისათვის ყველაფერი მისაწვდომია; დარწმუნებულობა ადამიანის გონების უსაზღვრო ძალაში. 2. შემეცნების თეორიის მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთ წყაროდ გონებას მიიჩნევს.

საკვანძო სიტყვები:	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
მითი; რიტუალი; მუსიკის გამომსახვე- ლობითი ხერხები: რიტმი, ბგერა, ჰარმონია, დინა- მიკა, ტემპი.	მსგავსება მითისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის რიტმი – რიტმული ფიგურაციები, როგორც მუსიკალური ნიშანი; მელოდია – ინტონაცია, ინტონაციური ფორმულა, როგორც ნიშანი; ჰარმონია – ინტერვალები, ჰარმონიული სვლები, როგორც ნიშანი; ფორმა – მოტივი, ფრაზა.	1. როგორ გადმოიცემა მითი? 2. რატომ არის რიტუალი მითის გადმოცემის საუკეთესო ხერხი? 3. როგორ ემსგავსება ერთმანეთს მუსიკისა და მითის მახასიათებლები?	- შეთავაზებულ რიტუალურ ტექსტში მითოლოგიური აზროვნების ნიშნების ამოცნობა მუსიკის მახასიათებლების საშუალებით; - პროგრამა LMMS- ის მეშვეობით მითოლოგიური სიუჟეტის გადმოსაცემად რიტუალური მუსიკალური კომპოზიციის შექმნა.

ელექტრონული რესურსი: ვიდეოფაილი – კეჩაკი.

შენიშვნა: სამივე თავის თემები დაყოფილია აქტივობებად და თანხვედრაშია მოსწავლის ნიგნის აქტივობებთან, რომელთა ნუმერაცია გრძელდება რამდენიმე გაკვეთილზე. ამ აქტივობების ნუმერაციის მიხედვითაა მოწოდებული ელექტრონული მასალაც – აუდიო- და ვიდეოფაილები, რომლებიც ცალ-ცალკე საქალაქო დონეებში მოთავსებული და დანომრილი.

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები უყურებენ ვიდეოფაილს, აკვირდებიან მონაწილეთა განლაგებას, მოძრაობებს, ბგერათა წარმოთქმას და გამოთქვამენ ვარაუდებს, რას შეიძლება მოგვითხრობდეს ამ რიტუალთა გადმოცემული მითი; საუბრობენ თავიანთ შეგრძნებებზე – რა ემოცია გამოიწვია რიტუალმა მათში, რა მახასიათებლების მიხედვით ივარაუდეს მითის თემატიკა, შინაარსი.

შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლეთა პასუხები დამყარებულია მხოლოდ მათ შეგრძნებებზე, ემოციაზე, რომელიც დაეუფლათ რიტუალის ნახვისას. აქ სწორი და არასწორი პასუხი არ არსებობს, ყველა პასუხი მისაღებია. მოსწავლეები საუბრობენ, კერძოდ, რა მახასიათებლებზე დააფუძნეს თავიანთი ვარაუდები – ესაა მოძრაობები, სახის გამომეტყველება, მონაწილეთა განლაგება, ხმოვანი შეძახილები თუ კიდეც სხვა რამ. ისინი უპასუხებენ მოსწავლის ნიგნში დასმულ შეკითხვებს და ახსნიან თავიანთ პასუხებს.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, მოიძიონ ინფორმაცია სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში რიტუალების შესრულების წესების შესახებ და ჩამოაყალიბონ წერილობით. გზამკვლევად მასწავლებელმა შეიძლება მოკლედ მოუთხროს მოსწავლეებს თანამედროვეობაში არსებული ზოგიერთი ტრადიციისა და რიტუალის შესახებ, რომელთა ფესვები ღრმა წარსულიდან მოდის. მაგალითად:

თანამედროვეობამდე მოღწეულ სხვადასხვა ტიპის რიტუალს სხვადასხვა პირველადი ქცევითი წყარო აქვს, რომელიც შემდგომ განამტკიცებს საერთო კულტურულ ან რელიგიურ ღირებულებებს.

ყველა რიტუალს თავისი ისტორია და ასაკი აქვს. ჩინეთში, მაგალითად, ჩაის სმის ტრადიცია დაახლოებით ხუთი ათას წელს ითვლის; ინგლისში კი ჩაის სმის პოპულარიზაციას (ჩინეთისა და ინდოეთისგან განსხვავებით) მოგვიანებით, კარლ II-ის მეუღლის, პორტუგალიელი ინფანტის კატერინა დე ბრაგანსას მიერ ჩაეყარა საფუძველი მე-17 საუკუნის 60-იან წლებში და დღემდე „შუადღის ჩაი“ ან „ჩაი 5 საათზე“ ინგლისის საზოგადოების ყველაზე სახასიათო ტრადიციაა.

აღსანიშნავია საქორწილო და სხვადასხვა ღირსშესანიშნავი მოვლენის ამსახველი რიტუალები, მაგალითად, საყოფაცხოვრებო – ბრინჯის მოსავლის აღება ფილიპინებში, სიმინდის ტეხა ამერიკელ ინდიელთა ტომებში; არსებობს აგრეთვე კოსტიუმირებული რიტუალური ცეკვები ცხოველებისა და ფრინველების მოძრაობების, შესტიკულაციის, ხმოვანების იმიტაციით.

ქართულ ხალხურ მუსიკალურ ფოლკლორსა და ყოფაშიც მრავლად მოგვეპოვება მსგავსი რიტუალები. გაიხსენეთ და დაასახელეთ ისინი.

3

1 მესამე გაკვეთილზე გრძელდება რიტუალის თემა. მოსწავლეები ყურადღებით გაეცნობიან „კეჩაკის“ შინაარსს და მეორე გვერდზე მოთავსებულ ილუსტრაციებში ამოიცნობენ ტექსტიდან სიუჟეტურ დეტალებს. მაგალითად, პირველ ფოტოზე გამოსახულია მაგიური წრე, მეორეზე – სიტას მოტაცება, მესამეზე – კუდზე ცეცხლმოკიდებული მაიმუნის – ჰანუმანის – მიერ რავანას სამფლობელოში ხანძრის გაჩენა, მეოთხეზე – რამასა და რავანას ორთაბრძოლა.

შემდეგ მასწავლებელი კვლავ აჩვენებს „კეჩაკის“ რიტუალის ვიდეოფრაგმენტს და სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ მასში ილუსტრაციებზე გამოსახული რომელიმე მომენტი (ერთი ან რამდენიმე) და ახსნან, რა შესტების, მოძრაობების ან სხვა მახასიათებლების მიხედვით ივარაუდეს ასე.

შეიძლება მოსწავლეებმა ილუსტრაციებში უცებ ვერ ამოიცნონ ოთხივე სიუჟეტური დეტალი. ამ შემთხვევაში, შევთავაზოთ მათ, კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხონ მითის შინაარსი.

კითხვა: შეგიძლიათ თუ არა გამოთქვათ თქვენი აზრი, რა იგულისხმება მითის სრულყოფილად გადმოცემაში (რის საშუალებით შეიძლება მითის სრულყოფილად გადმოცემა)?

პასუხი: მითის სრულყოფილი გადმოცემა შეიძლება რიტუალით, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენილია თეატრალიზებული სახით და მოიცავს ხელოვნების ყველა დარგის გამომსახველობით ხერხებს – ცეკვას, სიმღერას, მუსიკას, მეტყველებას, პანტომიმას.

მითისა და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების მსგავსება

1 მასწავლებელი: უნდა ვიცოდეთ, მითის თვისებაა ის, რომ ისინი რაღაც ნიშნებით, სიმბოლოებითაა გადმოცემული, რომლებიც გარესამყაროს შეცნობაში, მისი კანონების გარკვევაში გვეხმარება. ეს ნიშნები სხვადასხვა ფუნქციის შეიძლება იყოს, რაც კარგად იკითხება რიტუალებში – მოძრაობაში, ჟესტებში, რიტმულობაში, ბგერათწარმოქმანაში და სხვა.

იგივე შეიძლება ითქვას რიტუალთა გაცოცხლებულ მითებში გამოყენებულ მუსიკალურ ენაზეც, რომლის გამომსახველობითი ხერხები გვეხმარება ჩვენდღე ამ მითის შინაარსს; ესაა მელოდია, რიტმი, დინამიკა, რეგისტრი და სხვ. ტექსტსა და მუსიკალურ-გამომსახველობით ხერხებს შორის ასეთი ურთიერთკავშირი გვიქმნის მკაფიო სურათს, რაც საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად ჩვენდღე ამა თუ იმ მითის აზრობრივ ფუნქციას. გვებადება კითხვა: რატომაა ეს სიმბოლოები მნიშვნელოვანი? პასუხი ცალსახაა: თუ ვერ მოვახერხებთ ამ სიმბოლოების ამოკითხვას, ვერ გავიგებთ მითის არსსაც. ამიტომაც უნდა შევეცადოთ, ამოვიკითხოთ ეს ნიშნები.

ყველა რიტუალი დაფუძნებულია რაღაც ისტორიაზე, მითზე. სხვადასხვა მოქმედებით, გამომსახველობითი ხერხებით მითის შინაარსი გადმოცემულია რაღაც ნიშნებით, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია ამოვიცნოთ მისი არსი.

რიტუალის ვიდუფრამენტის განმეორებით ნახვის წინ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღება გაამახვილონ რიტუალში გამოყენებულ ისეთ მახასიათებლებზე, როგორებიცაა: მოძრაობა, ჟესტები, ბგერათწარმოქმნა, რიტმი, მონაწილეთა განლაგება. ეს გაუადვილებს მათ ცხრილზე მუშაობას.

მოსწავლეებს ეძლევათ მითითება, გადახედონ მოცემულ ცხრილს, რომელშიც ჩამოთვლილია საკვანძო მომენტები და განსაზღვრონ, რომელ სიუჟეტურ სვლაში რომელი გამომსახველობითი ხერხებითაა წარმოდგენილი ისინი. შევსებული ცხრილი ამგვარ სახეს მიიღებს:

	მოძრაობა	ჟესტი	ბგერები/ხმა	რიტმი	განლაგება
მაგიური წრე	3	1	2	✓ 4	✓ 5
მებრძოლი მაიმუნი	✓	✓	✓	✓	
ორთაბრძოლა	✓	✓	✓	✓	✓
დემონის განდევნა	✓	✓	✓	✓	

შევსებულ ცხრილში ციფრები და მონიშვნები პირობითადაა ჩანერგილი ნიმუშისთვის. მოსწავლეთა პასუხები ინდივიდუალურია. ყველა მოსაზრება მისაღებია, აუცილებელია მოსწავლეებმა ახსნან, რატომ დაახარისხეს ასე.

მოსწავლის წიგნში მოცემულია კითხვები, რომლებზეც მოსწავლეებმა უნდა უპასუხოთ:

- ცხრილში წარმოდგენილი დეტალებიდან რომელი დაემთხვა თქვენ მიერ ამოცნობილ ეპიზოდს? შეგიძლიათ ახსნათ, რატომ?

მოსწავლეებმა უნდა თქვან, მითის რომელი ეპიზოდი ამოიცნეს ფოტოებზე, მაგალითად, მაგიური წრე, ორთაბრძოლა თუ სხვა;

- როგორ შეიძლება აზრობრივად დავაკავშიროთ ეს ეპიზოდები ერთმანეთთან? მოსწავლეები აღნიშნავენ, მაგალითად, რა კავშირშია ერთმანეთთან მაგიური წრე და ორთაბრძოლა;

- თქვენი აზრით, რიტუალში ყველა ეს ეპიზოდი გადმოცემული?

მოსწავლეების პასუხები ინდივიდუალურია. შეიძლება ზოგმა თქვას, რომ ამოიცნეს დემონის

განდევნა (ამ შემთხვევაში, აკეთებენ ამ ჟესტს), ან ორთაბრძოლა (ორი მხარის დაპირისპირება), ან სხვა დეტალი, ან არცერთი). ყველა პასუხი მისაღებია. მთავარია, მოზარდებმა ახსნან თავიანთი ვარაუდი, რის მიხედვით ამოიცნეს.

- შეეცადეთ ცარიელ უჯრებში ✓ სიმბოლოთი აღნიშნოთ, თუ რა საშუალებებით იყო გადმოცემული ეს დეტალები (თუკი რომელიმე დეტალი ვერ აღმოაჩინეთ რიტუალში, ამ დეტალის უჯრა ცარიელი დატოვეთ). „საშუალებებში“ იგულისხმება მახასიათებლები: მოძრაობა, ჟესტი, ბგერები/ხმა, რიტმი, განლაგება.

- ცხრილში გამომსახველობითი ხერხები წარმოჩენილია თავისუფალი თანმიმდევრობით. შეგიძლიათ დანომროთ ეს გამომსახველობითი ხერხები მათი მნიშვნელობის ხარისხის მიხედვით?

მოსწავლეები ცხრილში დანომრავენ მახასიათებლებს: მოძრაობა, ჟესტი, ბგერები/ხმა, რიტმი, განლაგება – იმის მიხედვით, თავად რომელს ანიჭებენ უპირატეს მნიშვნელობას (იხ. ცხრილის ნიმუში).

შენიშვნა: ამ შემთხვევაში არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხი. ყველა ასაბუთებს თავის მოსაზრებას.

თუ მოსწავლემ პირველ ნომრად მიიჩნია რიტმი, უნდა ახსნას, რატომ. სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს: რიტმი ჩავთვალე უმთავრესად იმიტომ, რომ ის ყველაფრის მაორგანიზებელია – მოძრაობის, ხმის, ჟესტის.

თუ რომელიმე მოსწავლე უპირატესობას მიანიჭებს ჟესტს (მიუწერს ციფრ 1-ს), შეიძლება ეს ასე ახსნას: ჟესტების ენით უკეთ შეიძლება ვივარაუდოთ, რა შინაარსის შეიძლება იყოს ესა თუ ის რიტუალი, რა მოქმედების, სიუჟეტური სვლის მიმანიშნებელია ის და ა. შ.

2 ამ აქტივობაში მასწავლებელი მოსწავლეებს დაყოფს ორ ჯგუფად და სთხოვს მათ, მოცემული რიტმული ჩანაწერის მიხედვით ტაშით, მოძრაობებით შეიძლებისდაგვარად წარმოადგინონ „კეჩაკის“ რიტუალი.

კითხვა: შეგიძლიათ თუ არა სინკრეტიზმი დაუკავშიროთ მითის რიტუალს? ჩამოთვალეთ, ხელოვნების რა დარგებია ჩართული ამ რიტუალში (ცეკვა, სიმღერა, რიტმიკა, ბგერათ-წარმოთქმა, მუსიკა...).

3 მოსწავლეები ისმენენ ოთხ აუდიოფრაგმენტს: I. სადგურის ან აეროპორტის საინფორმაციოს სიგნალი, II. გამაფრთხილებელი სიგნალი, III. კომპიუტერის ვინდოუსის „შეცდომის“ (ერორის) მიმანიშნებელი მოკლე სიგნალი (რინგტონი), IV. ქუჩაში საცალფეხო გადასასვლელის შუენიშნის ხმა.

მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, სად მოუსმენიათ ეს ხმები, რისი მიმანიშნებელი შეიძლება იყოს ისინი. პასუხებს ჩაწერენ (ან უპასუხებენ ზეპირად).

კითხვა: რა მახასიათებლის მიხედვით შეიძლება მიხვდეთ, რისი ხმებია?

მოსწავლეთა აზრთა მსვლელობა შეიძლება დაახლოებით ამგვარად წარიმართოს: I აუდიოფრაგმენტი – ზარი აღმავალი და დაღმავალია, სადგურის ან აეროპორტის საინფორმაციოს სიგნალს ჰგავს; II აუდიოფრაგმენტი – თანაბარი, რიტმული პულსაცია, რაიმეს შეხსენების, მოხმობის, სიგნალიზაციის ჩართვის ან რაიმე საშიშროების ან ევაკუაციის გამაფრთხილებელ სიგნალს ჰგავს; III – სიგნალი მოკლეა, ერთ ბგერაზე, კომპიუტერულ სისტემას უნდა ეხებოდეს რაიმეზე (შეცდომის, ინფორმაციის მიღების შეტყობინების ან სხვა რამეზე ყურადღების მისაქცევად); IV – პულსაციაა (წყვეტილი და სწრაფი), რალაცის მოლოდინის, მოცდისკენ მოწოდების გრძნობას ტოვებს.

შემდეგ მოზარდები მოისმენენ თანაკლასელების ვარაუდებს, ერთად იმსჯელებენ, რა მახასიათებლით შეიძლება მიხვდეს ადამიანი, რისი ხმებია. შემდეგ მასწავლებელი გაამჟღავნებს სწორ პასუხებს და მოსწავლეები შეამოწმებენ, მათი ვარაუდებიდან რომელი დაეთხვა და რომელი – არა.

აუდიოფრაგმენტები იხილეთ ფაილში: გაკვეთილი 5 – აქტივობები 3, 4, 5.

აქტივობების ნუმერაცია გრძელდება, ვინაიდან მასალა წინა გაკვეთილის გაგრძელებაა.

1 შესვებული ტექსტი:

ა) ნიშანი არის სხვადასხვა ხერხით გადმოცემული ჩვენი ზოგადი **წარმოდგენა** საგანზე ან მსგავსი საგნების **ერთობლიობაზე**.

ბ) ნიშანი შეიძლება **ჰგავდეს** ან არ **ჰგავდეს** საგანს, რომელზეც იგი **მიანიშნებს**.

2 შესაძლებელია მითისა და მუსიკის გამომსახველობითი ხერხების მსგავსების დადგენა რაღაც ნიშნების, მახასიათებლების მიხედვით. მუსიკაში ყველა გამომსახველობითი ხერხი არის რაღაც ფუნქციის მატარებელი — წყლის ხმა, ფოთლების შრიალი, საათის წიკნიკი, ცხენის ფლოქვების ხმა, სირბილი, სახედრის ყროყინი, ხმლის ჭედვა, ჭექა-ქუხილი და სხვ. ლაიტმოტივით* შეიძლება მიხვდე, რომ ეს არის, მაგალითად, ბედისწერის თემა.

ზოგადად, ნიშნები გარკვეული მახასიათებლებით კლასიფიცირდება და მათ კონკრეტული სახელწოდებაც აქვთ – აიკონი, ინდექსი, სიმბოლო.

ნიშანი 1 – **აიკონი** პირდაპირ ასახავს იმას, რასაც აღნიშნავს (ან ინტონაციურად ბაძავს მის ხმას, ან გადმოსცემს დამახასიათებელ მოძრაობას და ა.შ.);

ნიშანი 2 – **ინდექსი** – არის ის ნიშანი, რომელიც ასოციაციურად, ემოციურად უკავშირდება რაიმეს;

ნიშანი 3 – **სიმბოლო** – არის ნიშანი, რომელიც არანაირი მახასიათებლით არ უკავშირდება იმას, რასაც უნდა მიუხადავო; თუ ზუსტად არ იცი, რა არის, ვერაფრით ვერ ამოიცნობ.

მივუბრუნდეთ მუსიკას და გავარკვიოთ, როგორ ამოვიცნოთ აიკონი, ინდექსი და სიმბოლო მუსიკაში.

მოსწავლის წიგნში განთავსებულია რაღაცის აღმნიშვნელი ნიშნები. მათგან ზოგიერთი პირდაპირ მიანიშნებს იმას, რასაც ვხედავთ; არის ნიშნები, რომლებსაც რაიმეს ასოციაციურად დაუუკავშირებთ ან რაიმე ნიშნით მივხვდებით, რას უნდა ნიშნავდეს, მივამსგავსებთ იმ საგანს, რომელსაც ასახავს, ზოგიერთ ნიშანს კი, თუ ზუსტად არ ვიცით მისი მნიშვნელობა, ვერაფერს დაუუკავშირებთ, ვერაფრით მივხვდებით, რას ასახავს.

მაგალითად, I და III ნიშანი იეროგლიფებია, რომელთა მნიშვნელობა თუ არ იცი, ისე ვერ გამოიცნობ (ვერც ერთი მახასიათებლით ვერ ამოვიცნობთ მათ მნიშვნელობას), ამიტომ მოსწავლეები მათ სიმბოლოს სტატუსს მიანიჭებენ და მიუწერენ ნიშანს – 3 (სიმბოლო); მეორეზე და მეხუთეზე ზღვის ტალღები და ციხესიმაგრეა გამოსახული, ანუ პირდაპირ აღნიშნავს იმას, რასაც ვხედავთ, მათ მიუწერენ ნიშანს – 1 (აიკონი), IV და VI ნიშნებზე შეიძლება სტატუსი ასოციაციის დონეზე მიენიჭოს – ანუ რა წარმოიდგინეს, რას მიამსგავსეს და მიუწერენ ნიშანს – 2 (ინდექსი). თუმცა მოსწავლეებმა შეიძლება სხვაგვარად გაანალიზონ

* **ლაიტმოტივი**: 1. ძირითადი მოტივი (თემა), რომელიც დროდადრო მეორდება მუსიკალურ ნაწარმოებში (მაგ., ოპერაში);

2. ნათლად ჩამოყალიბებული, გამომსახველი მელოდია, თემა, რომელიც გამოიყენება რომელიმე პერსონაჟის, იდეის, მოვლენის, თუნდაც გრძნობის დასახასიათებლად და არაერთგზის მეორდება მუსიკალურ ნაწარმოებში.

აიკონი, ინდექსი და სიმბოლო. მათ უნდა ახსნან, რატომ მიანიჭეს ესა თუ ის ნიშანი გამოსახულებას.

3 მივუბრუნდეთ მუსიკას და გავარკვიოთ, შეიძლება თუ არა მუსიკაში ამოვიცნოთ აიკონი, ინდექსი და სიმბოლო. ამას ჩვენ შემდგომი აქტივობებიდან შევითვალთ.

მოსწავლეები ისმენენ ფრაგმენტებს სამი ნაწარმოებიდან: 1. ფრანც შუბერტი – სიმფონია N3 რე მაჟორი, 2. ენიო მორიკონე – „გაბრიელის ჰობოი“, 3. „პატრონუსის ნათება“ (The Patronus Light კ/ფ.-დან „ჰარი პოტერი“).



1)

2)

3)

4 მოსმენა: 1. ლილი ბულანჟე – „სევდიანი საღამო“ (ჩელოს სოლო), ოტორინო რესპიგი – „ჩიტები“, ვოგან უილიამსი – „ტოროლა“.

მოსწავლეები თითოეული ფრაგმენტს მიანიჭებენ რომელიმე ნიშანს – აიკონს, ინდექსს ან სიმბოლოს.

მაგალითად, ჩელოს სოლო — ინდექსი, ასოციაციურად შეიძლება დაუკავშირდეს ბუნების სურათს, წყლის ლივლივს ან სხვა რამეს, მაგალითად, ზღაპრულ-ფანტასტიკურ სამყაროს); რესპიგის – „ჩიტები“ (აიკონი) მუსიკალური ინტონაციით გამოიხატება და პირდაპირ ქმნის ჩიტის (გუგულის) ხმოვანების ასოციაციას; „ტოროლა“ – მოსწავლეებმა შეიძლება ვერ დაუკავშირონ მუსიკა ტოროლას ხმოვანებას ვერც პირდაპირ და ვერც ასოციაციურად. ამ შემთხვევაში გამოიყენებენ ნიშანს – სიმბოლო. პასუხები ასეთი იქნება:

1)

2)

3)

5 მასწავლებლის ტექსტი:

ვინაიდან მუსიკალური სიმბოლოს დანიშნულება ისაა, რომ უკვე არსებულ შინაარსს ახალი მნიშვნელობა მიანიჭოს, მისი ამოცნობა შეუძლებელია იმ უკვე არსებული შინაარსის გარეშე. ესე იგი, საჭიროა რაღაც უკვე არსებული შინაარსი, ამ შემთხვევაში, სიტყვა, ტექსტი, კონკრეტული შინაარსის სათაური, ციფრი ან სხვა რამ, რასაც მუსიკა ახალ მნიშვნელობას მიანიჭებს.

მუსიკალურ სიმბოლოდ ასევე შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული მუსიკალური ჟანრის მახასიათებლები, რომლებიც სხვა ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებშია გამოყენებული. მაგალითად, შუბერტის სიმფონიაში გამოყენებულია მარშის ჟანრობრივი მახასიათებლები; ამ შემთხვევაში მარშის მახასიათებლები იძენს რაღაც სიმბოლურ დატვირთვას ანუ იძენს ახალ შინაარსს. და კიდევ, მუსიკალური გამონათქვამი შეიძლება მუსიკალურ სიმბოლოდ ჩაითვალოს, თუკი იგი გამოყენებულია, როგორც მუსიკალური ციტატა* სხვა მუსიკალურ ნაწარმოებში. მაგალითად, როდესაც ორატორიაში გამოყენებულია რაიმე ცნობილი ხალხური სიმღერა (გაიხსენეთ „ტრიმაზო“ ა. ონეგერის ორატორიიდან „ჟანა დ' არკი კოცონზე“), ამ შემთხვევაში ეს უბრალო სიმღერა სიმბოლურ დატვირთვას იძენს.

მოსმენა: პ. ჩაიკოვსკი – ოქტომბერი.

***ციტატა** – მუსიკალური ნაწარმოებიდან ფრაზის, წინადადების, მოტივის პირდაპირი ციტირება (გამეორება); კომპოზიტორმა ციტირება შეიძლება მოახდინოს თავისივე ან სხვა კომპოზიტორის ნაწარმოებიდან.

1

განვიხილოთ სხვადასხვა ხალხის რიტუალური ცეკვები:

ინდიელები რიტუალების სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ისინი ოდითგანვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ცხოველებთან და ფრინველებთან დაკავშირებულ რიტუალებს. ძველი ინდიელი ტომების უმრავლესობისთვის ეს რიტუალები მნიშვნელოვანი იყო მრავალი მიზეზის გამო. თუ რიტუალური ცეკვის დროს ინდიელს ამშვენებდა ოჯახისთვის წმინდანად მიჩნეული ფრინველის ან ცხოველის ბუმბული ან ბენვი, ის თვლიდა, რომ ამით წმინდა არსებასთან სულიერი კონტაქტით გააძლიერებდა თავის შინაგან ძალას. ასე შემორჩა დღემდე ნიანგის ცეკვა, წეროს ცეკვა, ბიზონის ცეკვა (რომელსაც 24 საათის განმავლობაში ასრულებენ), არწივის ცეკვა და სხვა. ამერიკელი ინდიელები თვლიდნენ, რომ არწივი აკავშირებს ცასა და დედამიწას.

ცხოველებსა და ფრინველებთან დაკავშირებული რიტუალების გარდა, ინდიელებს (და არა მარტო მათ) აქვთ რიტუალები, რომლებიც ასოცირდება სოფლის მეურნეობასა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურასთან, ვინაიდან, მათი აზრით, მცენარეული სამყაროც ბუნების ისეთივე ნაწილია, როგორც ცხოველთა სამყარო – ადამიანების მსგავსად, მცენარეებიც იზადებიან, ყვავიან, უფერულდებიან და კვდებიან; ეს ფაზები შეესატყვისება წელიწადის დროებს: გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას, ზამთარს. თითოეული მათგანი აღინიშნება რიტუალებით. რადგანაც ინდიელები თვლიან, რომ მცენარეული სამყარო ისეთივე უხილავი, მისტიკური კავშირითაა დაკავშირებული ადამიანებთან, როგორც ცხოველთა სამყარო, ამის გამო ისინი ქმნიან ერთ მთლიანობას და დაძმები არიან ერთმანეთისთვის.

ინდიელების რწმენით, ღმერთების დახმარება საჭიროა სოფლის მეურნეობის პროცესის ყველა ეტაპზე. სპეციალური რიტუალები ეძღვნება მიწის ხვნას, თესვას, ხილისა და ბოსტნეულის დამწიფებასა და უხვი მოსავლის აღებას. ტარდებოდა რიტუალები გახანგრძლივებული წვიმების ან გვალვის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე, იმისთვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზარალი ენახათ და უხვი მოსავალი მოენიათ; თითოეულ მნიშვნელოვან კულტურას ჰქონდა საკუთარი სადღესასწაულო რიტუალი – გოგრის, ლობიოს, ყურძნის, კენკრის, სიმინდის ზეიმები, ტარდებოდა ფესტივალები. ინდიელებს მიაჩნდათ, რომ ადამიანებსა და ღმერთებს შორის მტკიცე კავშირი არსებობს; რომ ადამიანები არიან ღმერთების თანაშემწეები – უმცროსი პარტნიორები; რომ ადამიანებს პატივი ეძლევათ, დაეხმარონ ღმერთებს სამყაროში ადამიანთა ცხოვრების ბორბლის სასიკეთოდ შემობრუნებაში.

კომპლექსური დავალება 1

(მიმართულება – „მუსიკის გაგება კონტექსტში და ინტერპრეტაცია“)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა ქვეყნის ხალხების რიტუალური ცეკვების ვიდეოკადრებს: წეროსა და არწივის, შავქუდიანების, თეთრი დემონის ცეკვებს და, აგრეთვე, მითოლოგიური ღვთაების პატივსაცემად შექმნილ ცეკვას – „გუანიის ათასი ხელი“.

ამ ფრაგმენტებზე დაყრდნობით მოსწავლეები შეასრულებენ კომპლექსურ დავალებას – დაწერენ ესეს.

შენიშვნა: ნებისმიერი კომპლექსური დავალების შესრულებისას აუცილებელია მიეთითოს: რა სახის დავალებას ასრულებენ მოსწავლეები (თუ ესეს წერენ, მიეთითოს თემის შინაარსი, მოკლე აღწერილობა; თუ კომპიუტერულ კომპოზიციას ქმნიან – სათანადო განმარტება); მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული ინსტრუქცია – მიმართულება, რაზე გაამახვილოს მოსწავლემ ყურადღება.

მოსწავლის წიგნში მოცემული კომპლექსური დავალებების შესრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია დამატებითი კითხვები დასვას ზეპირი გამოკითხვისას. მაგალითად, შავქუდიანების ცეკვაზე: ტიპეტში ამ ცეკვას ასრულებენ ნეგატიური აზრებისგან გასათავისუფლებლად და გარესამყაროდან ბოროტი სულის განსაღვნად.

- თქვენი აზრით, უკავშირდება თუ არა ამგვარ შინაარსს მუსიკალურ თანხლებად გამოყენებული ერთ-ერთი საკრავის, დუნგჩენის, საკმაოდ უსიამოვნო ჟღერადობა? დადებითი პასუხის შემთხვევაში აღნიშნეთ, რა მახასიათებლებით დაუკავშირებდით (ტიმბრი, რიტმი...);
- როგორ ფიქრობთ, რატომ ჰქვია ამ რიტუალურ ცეკვას „შავი ქუდი?“ რატომაა გამახვილებული ყურადღება მაინცდამაინც ქუდზე?
- თქვენი აზრით, რის მიმანიშნებელი უნდა იყოს მოცეკვავის ხელში შავი ქსოვილი და ხანჯალი?
- რას უნდა ნიშნავდეს შემსრულებლის ხელის მკვეთრი მოძრაობები?
- ჩაცმულობის, ჟესტიკულის, მოძრაობების, სახის გამომეტყველების მიხედვით, როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ ამ პერსონაჟზე – სასტიკი ადამიანია ის თუ არა?

გადახედეთ თქვენ მიერ შესრულებულ დავალებას. შეცვლით თუ არა რაიმეს თქვენს პასუხებში, თუ გეტყვით, რომ შავქუდიანების ცეკვა რელიგიური რიტუალია და იმის დემონსტრირებაა, თუ როგორ ცდილობს ბუდისტი მოძღვარი (ოსტატი), სამყაროში დაგროვილი უარყოფითი ენერგია პოზიტიურად გარდაქმნას, დაიმორჩილოს დემონი და სამყარო ბოროტებისგან გაათავისუფლოს, თუნდაც ამისთვის უკიდურესი ზომების გამოყენება – მკვლელობაც კი – დასჭირდეს?

ამრიგად, „შავი ქუდი“ წარმოადგენს უკონტროლო დემონური ძალების განადგურების რიტუალს.

- შეცვლიდით თუ არა დავალებაში თქვენ მიერ დაფიქსირებულ მოსაზრებებს ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ? დაასახელეთ, რას შეცვლიდით.

კითხვები და სავარაუდო პასუხები „თეთრი დემონის“ რიტუალური ცეკვის ირგვლივ:

- რომ არ იცოდეთ, რომ პერსონაჟი დემონია, ნანახი კადრების მიხედვით, როგორ დაახასიათებდით მას – კეთილი, მხიარული, მზაკვარი, ეშმაკი, ფლიდი თუ სხვა? რაზე უნდა მიანიშნებდეს მისი მოძრაობები?
 - რა ემოციას გიქმნით თეთრი დემონის ცეკვა?
- სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს: დემონი ნერვიულობის, შფოთვის ან მოუსვენრობის შეგრძნებას ტოვებს, თითქოს რაღაც ხრიკებს აწყობსო.
- თქვენი აზრით, რატომ ჰქვია დემონს „თეთრი“?
- ალბათ იმიტომ დაარქვეს დემონს „თეთრი“, რომ ბოროტის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.
- რა გრძნობას გიტოვებთ მუსიკა? დაახასიათეთ მუსიკალური თანხლება. როგორ აღწერთ მუსიკის მახასიათებლებს? როგორ კავშირშია ის შინაარსთან?

პასუხები ინდივიდუალურია.

მოსწავლეებისგან შეიძლება სრულიად განსხვავებული პასუხები მიიღოთ, არა აქვს მნიშვნელობა, როგორი იქნება. მთავარია, მათ გამოხატონ თავიანთი მოსაზრება და ახსნან, რატომ ფიქრობენ ასე. ამ შემთხვევაში სწორი პასუხები არ არსებობს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში არსებობს ლეგენდები, რომლებიც, ამ ქვეყნის ხალხთა მიერ მათთვის საკრალური მნიშვნელობის მინიჭების გამო, მითებადაა ქცეული. ერთ-ერთი ასეთია ლეგენდა ქალღმერთ გუანინზეც.

მასწავლებლის სავარაუდო კითხვები:

- თუ გინახავთ ცეკვა „გუანინის ათასი ხელი“ ან გსმენიათ რაიმე მის შესახებ, ისაუბრეთ, რა ფასეულობებზეა ამ მითში ყურადღება გამახვილებული, რას გვასწავლის გუანინის ისტორია;
- რა აზრი ამოიკითხეთ შემსრულებელთა მოძრაობებში?

- რას უნდა ნიშნავდეს „ათასი ხელი“?
- ივარაუდეთ, რას უნდა ნიშნავდეს ხელისგულებზე დახატული თვალები;
- რა განცდას გიტოვებთ „გუანინის ათასი ხელის“ რიტუალური ცეკვის მუსიკალური მხარე? დაასახელეთ მუსიკალურ-გამომსახველობითი მახასიათებლები.

მითითება: გაკვეთილზე შეთავაზებულ მითზე, რიტუალზე მოსწავლეებს სრულ ინფორმაციას ვანვდით მხოლოდ მას შემდეგ, როცა მათ დავალებაში უკვე დაფიქსირებული აქვთ თავიანთი პოზიცია. დამატებითი ინფორმაციის მიღების შემდეგ მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, შეამოწმონ თავიანთი მოსაზრებები, გამოთქვან აზრი (შეცვლიდნენ თუ არა რაიმეს თავიანთ პასუხებში) და გაამყარონ არგუმენტებით.

*

ჩინურ, ვიეტნამურ, კორეულ და იაპონურ მითოლოგიებში გუანინი ცნობილია, როგორც „ყველაზე მეტად საყვარელი ბუდისტური ღვთაება“, მას ქალის გამოსახულება აქვს და მიჩნეულია სასწაულმოქმედ ქალღმერთად.

(სხვათა შორის, ქალღმერთი-ღვთაება შეიძლება არა მხოლოდ ქალის სახით არსებობდეს. მას მრავალი სახე აქვს და ადამიანების წინაშე შეუძლია იმ იერით გამოჩნდეს, რომელშიც ადამიანს სურს, რომ იხილოს).

ბუდისტური ლეგენდა „გუანინისა და სამხრეთის ზღვების ისტორიიდან“ მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ დადო გუანინმა ფიცი, რომ ყველა ცოცხალ არსებაზე იზრუნებდა და არ მოისვენებდა მანამ, სანამ ყველას არ დაეხმარებოდა, ვინც იტანჯება.

ქალღმერთი ბევრს დაეხმარა, მაგრამ დაინახა, რომ ათასობით ტანჯული არსება კვლავ ვერ პოულობდა ხსნას. მითის მიხედვით, გუანინის თავი, მრავალგზის დახმარების განცვის შემდეგ, თერთმეტ ნაწილად გაიყო. ამის დანახვაზე ბუდა ამიტაბჰამ ის თერთმეტი თავით დააჯილდოვა, რათა გუანინს კვლავაც შესძლებოდა ტანჯულთა გოდების მოსმენა და გუანინმაც გააგრძელა იმათი დახმარება, ვისაც ეს სჭირდებოდა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ ხელები ნაწილ-ნაწილ ემსხვრეოდა. ისევ ამიტაბჰამ მოეცლინა მხსნელად და გუანინს ათასი ხელი უბოძა.

ვიდეოკადრებით ნახეთ ამ მითის მიხედვით დადგმული შესანიშნავი ცეკვა – „გუანინის ათასი ხელი“.

ეს ცეკვა, უპირველეს ყოვლისა, განმანათლებლობისა და თანაგრძნობის სიმბოლოა, ათასი ხელის ცეკვა არ არის მხოლოდ ცეკვა – ის სიკეთისა და უანგარობის განსახიერებაა.

ვიდეოფრაგმენტის ნახვისას შეამჩნევდით, რომ მოცეკვავეებს ხელისგულებზე დახატული აქვთ თვალები. ეს სიმბოლიკა მიგვანიშნებს, რომ ქალღმერთი მათი საშუალებით ხედავს ყველაფერს, რაც ხდება მსოფლიოში და ეხმარება ყველას, ვისაც ეს სჭირდება. ეს არის მისი დიდი ძალა. ვუყურებთ ამ შესანიშნავ, თანამედროვე ქორეოგრაფიული ინტერპრეტაციით გაცოცხლებულ მითს და თითქოს ჩვენც ვგრძნობთ, რომ ქალღმერთი თითოეულ ჩვენგანს გვინილადებს თავის სიტბოსა და სათნოებას.

ეს საოცარი ცეკვაა! შემსრულებლების გრაციოზულ მოძრაობებში კარგად იკითხება ეროვნული ტრადიციები და კეთილშობილება. მრავალტანჯულთა ქალღმერთის პატივსაცემად და სადიდებლად შექმნილი ცეკვა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს თავისი სინატიფითა და სინქრონულობით. მოცეკვავეები განახორციელებენ წარმოუდგენელ საცეკვაო იდეებსა და ქორეოგრაფიულ კომპოზიციებს, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. აღნიშნულ ცეკვას ასრულებენ ჩინეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ქორეოგრაფიული დასის წევრები (სოლისტი ტაი ლიჰუა).

ვიდეოფაილის ნახვისას იმასაც მიაქცევდით ყურადღებას, რომ სცენის კუთხეებში ოთხი თარჯიმანი დგას, რომლებიც სპეციალური ჟესტების ენით კარნახობენ გოგონებს მოძრაობებს. ეს აუცილებელია აბსოლუტური სიზუსტის მისაღწევად, რათა მოცეკვავეებმა შეინარჩუნონ ცეკვის რიტმი.

- ახლა, როცა მითის შინაარსს გაეცანით, შეცვლიდით თუ არა თქვენს პასუხებს დავალებაში? დაასახელეთ, კერძოდ, რომელს.

შენიშვნა: მუსიკალურ-გამომსახველობით მახასიათებლებზე მსჯელობისას მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ ყველა იმ მუსიკალურ მახასიათებელზე, რაც უკვე შესწავლილი აქვთ წინა წლებში: როგორი სვლები ჭარბობს მელოდიაში (აღმავალი, დაღმავალი, მდოვრე თუ ნახტომისებური, გამოყენებულია თუ არა ინტერვალები – დიდი ან პატარა), ჰარმონია კონსონანსურია თუ დისონანსური, როგორია რიტმი, ტემპი; რა შეგრძნებას ტოვებს მუსიკა მათზე და ა. შ.).

კომპლექსური დავალება

ესეს წერისას მოსწავლე ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: რამდენად კარგად გამოხატავს თავის ემოციას. როგორ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნანახი ცეკვებისადმი. როგორ უკავშირებს თითოეულ მუსიკალურ მახასიათებელს (რიტმს, მელოდიას, ჰარმონიას) რაიმე მხატვრულ სახეს.

შეფასების კრიტერიუმები (ესე):

მოსწავლე ფასდება			
ვერ ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს, ვერ ამოიცნობს მუსიკის ემოციურ მუხტს; ვერ ამ-ყარებს ადეკვა-ტურ ასოციაციურ კავშირს.	გამოხატავს თავის ემოციებს, ვერ ამოიცნობს ნაწარ-მოებში მუსიკალურ მახასიათებლებს, ამ ელემენტებით მიღწეულ ემოციურ მუხტს და ვერ უკავშირებს ვერცერთ შემოთავაზებულ ინ-ტერპრეტაციას.	გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნანახი ცეკვებისადმი; განსაზღვრავს მუსიკის თითოეული მახასია-თებლის როლს, თუმცა უჭირს დაკავშირება შინაარსთან; პასუხობს კითხვებს, მაგრამ ვერ ასაბუთებს.	პასუხები დამაჯერებელია, ასაბუთებს, მოჰყავს არ-გუმენტები; ამოიცნობს შემოთავაზებული ინტერ-პრეტაციებიდან მუსიკალურ მახასიათებლებს (რიტმი, მელოდია, ჰარმონია), აკავ-შირებს მათ მხატვრულ სახესთან და განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობ-რივ კონტექსტში.
ქულა 0-1	2-4	5-7	8-10

7

კომპლექსური დავალება

LMMS პროგრამაში მოსწავლეები შექმნიან კომპოზიციას მოსწავლის ნიგნში მოცემული ინსტრუქციის მიხედვით (სკანდინავიური მითის რიტუალური კომპოზიცია – „თორისა და მიდგარდის ორთაბრძოლა“).

LMMS პროგრამაში კომპოზიციის შექმნის შემთხვევაში, მოსწავლე ნაშრომს დაურთავს ანოტაციას – რა შინაარსია, მუსიკის რა მახასიათებლები ამოიცნო, როგორ დაუკავშირა ისინი შინაარსს, რა რესურსი გამოიყენა, რისთვის დასჭირდა ეს – რა ეფექტს მიაღწია. ეს შეიძლება ცხრილის სახითაც გადმოიცეს.

თავისი ნაშრომის პრეზენტაციისას მოსწავლე ისაუბრებს, რატომ აირჩია დაწყებისას ან დამთავრებისას ესა თუ ის მოტივი, რომელი მოტივი გამოიყენა ლაიტმოტივად კომპოზიციის შესაკრავად და რატომ, როგორ იმუშავა კულმინაციაზე.

შენიშვნა: LMMS-ში შესასრულებელი დავალებები სავალდებულო არ არის მათთვის, ვისაც ამის ტექნიკური შესაძლებლობა არ გააჩნია; ზოგი მოსწავლე შეასრულებს წერით დავალებას ესეს სახით, ზოგი – კომპიუტერულ პროგრამაში გააკეთებს კომპოზიციას.

მითი ოპერაში – თქმულება ზიგფრიდზე

რიჰარდ ვაგნერის ტეტრალოგია* „ნიბელუნგის ბეჭედი“

მოსმენა: აუდიოფაილები | თავის ელ.რესურსებიდან: მე-8 გაკვეთილი – ვაგნერი – „ნიბელუნგის ბეჭედი“.

მოკლე ინფორმაცია მასწავლებელს:

რიჰარდ ვაგნერი (1813-1883) გერმანელი კომპოზიტორია. ის უნივერსალური ხელოვანი იყო – კომპოზიტორი, დირიჟორი, პოეტი, ლიბრეტისტი, პუბლიცისტი. იგი მე-19 საუკუნის მუსიკის ისტორიის უდიდესი ფიგურაა, ოპერის რეფორმატორი, რომლის შემოქმედებამაც ძირითადად შეცვალა ადამიანების დამოკიდებულება საპერო ჟანრისა და, ზოგადად, მუსიკისადმი.

ვაგნერის შემოქმედება ჩამოყალიბდა გერმანული მუსიკის მდიდარი ტრადიციების საფუძველზე. ბეთჰოვენის მსგავსად, ვაგნერმა ხოტბა შეასხა ადამიანის გმირულ მისწრაფებებს, ბახის მსგავსად გამოხატა ადამიანის სულიერი სიმდიდრე და სიღრმე, და ვებერივით გააცოცხლა გერმანული ლეგენდებისა და თქმულებების სამყარო. ვაგნერი რომანტიკოსი კომპოზიტორია და, შესაბამისად, მისი შემოქმედება რომანტიზმის ესთეტიკას ეყრდნობა.

ვაგნერის საოპერო რეფორმის პრინციპები დაუპირისპირდა ყველა საოპერო პირობითობას. კომპოზიტორმა მიზნად დაისახა ოპერის დაახლოება დრამასთან და მის კანონზომიერებებთან.

ვაგნერის თეორიას სამი ძირითადი პრინციპი უდევს საფუძვლად:

1. ხელოვნება არ არის გასართობი, ის ხალხის ეთიკურ-მორალური აღზრდის საშუალებაა.

2. მხატვრულმა ნაწარმოებმა უნდა ასახოს დიდი იდეები, ხელოვანმა უნდა შექმნას მონუმენტური ხელოვნება.

3. ამგვარი იდეების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნებათა სინთეზის საშუალებით.

სწორედ მითებიდან მომდინარეობს ვაგნერის ოპერების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი – წინასწარ განწირულობის მოტივი.

თავისებურია ვაგნერის ოპერების ვოკალური ენა, რომელსაც საფუძვლად დაედო არიოზული მღერადობისა და რეჩიტატიულ-დეკლამაციური საწყისების სინთეზი. ვაგნერთან ისეთ მომენტებსაც შევხვდებით, როდესაც სასიმღერო საწყისი ემორჩილება სიმფონიური განვითარების პრინციპს და ვოკალი ორკესტრის ერთგვარი დანამატი ხდება.

ვაგნერი, გერმანული ოპერის ტრადიციებზე დაყრდნობით, საკუთარი გზით წავიდა. უწყვეტი განვითარების პროცესს დაუქვემდებარა ცალკეული საოპერო ეპიზოდები, სცენები, სურათები.

ვაგნერის რეფორმის ერთ-ერთი მონაპოვარია ლაიტმოტივური სისტემა. ზოგიერთი მისი მუსიკალური დრამა 25-30 ლაიტმოტივს მოიცავს. ვაგნერის საოპერო ლაიტმოტივები ახასიათებენ კონკრეტულ გმირს, მოვლენას ან განზოგადებულ ცნებას. ლაიტმოტივების ჯაჭვი ქმნის რთულ მელოდიურ შრეებს, რის საფუძველზეც იქმნება ვაგნერის მუსიკისთვის დამახასიათებელი უწყვეტი მელოდია.

ვაგნერმა მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობა დატოვა. ის არის 13 ოპერის ავტორი. მისი ოპერებიდან აღსანიშნავია: „მფრინავი ჰოლანდიელი“, „ტანჰოიზერი“, „ლოენგრინი“, „ტრისტანი და იზოლდა“, „ნიურნბერგელი მაისტერზინგერები“, ტეტრალოგია* „ნიბელუნგის ბეჭედი“, რომელიც ოთხი დამოუკიდებელი ოპერისაგან შედგება: „რაინის ოქრო“, „ვალკირია“, „ზიგფრიდი“, „ღმერთების დაისი“. ვაგნერის უკანასკნელი ოპერაა „პარსიფალი“.

* ტეტრალოგია – ოთხი ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომლებსაც ერთი დედააზრი აერთიანებს.

გაითვალისწინეთ: მოსწავლეებს სიუჟეტს, მთლიან შინაარსს წინასწარ არ ვაპნობთ. ეს ხდება ფრაგმენტებად, მუშაობის დროს შესაბამისი სიუჟეტური სვლების განხილვისას და დავალებების შესრულების შემდეგ, როდესაც მოსწავლეები შეამოწმებენ თავიანთი მოსაზრებების სისწორეს, ისაუბრებენ, შეცვლიდნენ თუ არა რაიმეს თავიანთ პასუხებში ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ.

ტეტრალოგიის მოკლე მიმოხილვა

„ნიბელუნგის ბეჭედი“ (გერმ. Der Ring des Nibelungen) რიჰარდ ვაგნერის ოთხნაწილიანი საოპერო ციკლია მისივე ლიბრეტოთი და დეტალური სცენური მითითებებით; კომპოზიტორი მასზე ინტერვალებით, 26 წლის განმავლობაში, 1848 წლიდან 1874 წლამდე მუშაობდა. მასში შემავალი მუსიკალური დრამების სიუჟეტი გარკვეულწილად დაფუძნებულია სკანდინავიურ საგაზე „სიმღერა ნიბელუნგებზე“ (გერმ. Nibelungenlied).

ტეტრალოგია „ნიბელუნგის ბეჭედი“ შემდეგი ოპერებისგან შედგება:

„რაინის ოქრო“ (Das Rheingold)

„ვალკირია“ (Die Walküre)

„ზიგფრიდი“ (Siegfried)

„ღმერთების დაისი“ (Götterdämmerung)

გზამკვლევი

ვალჰალა – სკანდინავიურ მითოლოგიაში დიდებული დარბაზი, ღმერთების სასახლე, რომელიც მდებარეობდა ასგარდში და იმართებოდა ოდინის მიერ (ოდინი, ვოდანი (ძვ. სკანდ. Odhinn, Odinn; გერმ. Wodan, Woutan) – ძველ გერმანელთა მითური სისტემის უზენაესი ღმერთი, ქვეყნიერების მომწესრიგებელი, აზების ოქროსბეჭდიანი მბრძანებელი, ღმერთების სკანდინავიური პანთეონის მამამთავარი, „ვალფარეტად“ წოდებული). ოდინის რჩეული ხალხის ნახევარი, ვინც ბრძოლაში იღუპებოდა, ვალკირიებს სასახლეში მიჰყავდათ, ხოლო მეორე ნახევარი – ქალღმერთ ფრეიასთან ფოლკვანგრში;

ნიბელჰაიმი – მიწისქვეშეთი;

ვალკირიები – სკანდინავიურ მითოლოგიაში მეომარი ქალწულები;

ფრეია (სოპრანო) – მარადიული ახალგაზრდობის ქალღმერთი, პატრონობს ვაშლის ხეს, რომლის ნაყოფიც ღმერთებს დაბერებისგან იცავს;

ფაფნერი (ბანი) – გოლიათი, რომელმაც, ძმასთან, ფაზოლტთან ერთად, ღმერთებს ვალჰალა აუშენა. ფაფნერი დრაკონად გადაიქცა და ნიბელუნგების განძს დარაჯობს;

მიმე (ტენორი) – ალბერის ძმა, ბრძენი ქონდრისკაცი, მჭედელი, რომელმაც ზიგფრიდი გაზარდა;

ზიგფრიდი – (ტენორი) – ტყუპი და-ძმის – ზიგმუნდისა და ზიგლინდეს ვაჟი, ვოტანის შვილიშვილი. ხელახლა გამოჭედავს ხმალს – ნოტუნგს, მოკლავს გიგანტ ფაფნერს, დაეუფლება ნიბელუნგების განძს, იპოვის მძინარე ბრუნჭილდეს და ცოლად შეირთავს;

ზიგმუნდი (ტენორი) – ვოტანის მოკვდავი ვაჟი, ველსუნგების (ტყის ხალხის) მოდგმიდან; დაეუფლება ხმალს – ნოტუნგს;

ვოტანი (ბანი ან ბას-ბარიტონი) – ღმერთი, ძალაუფლების მფლობელი და სამყაროს მმართველი; შექმნა კანონები, რომლებიც მის შუბზეა ამოტვიფრული. თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად ააშენებინა ღმერთების სასახლე – ვალჰალა. ხანდახან ის მოხეტიალე მოხუცის სახითაც გვევლინება. ვოტანის პოლიტიკა, რომელიც თავისივე კანონების საწინააღმდეგოა, ღმერთებისა და სამყაროში არსებული წესრიგის რღვევას გამოიწვევს;

ალბერისი (ბარიტონი) – ნიბელუნგების საგანძურის მცველი ქონდრისკაცი, მიმეს ძმა;

ჰაგენი (ბარიტონი) – ალბერისის შვილი, რომელმაც ზიგფრიდი მოკლა.

ვაგნერმა ამ ციკლის ლიბრეტოები Stabreim-ის, ძველგერმანულ პოეზიაში გავრცელებული ალიტერაციული* ლექსის საკუთარი ინტერპრეტაციის გამოყენებით შექმნა.

***ალიტერაცია** (ლათ. alliteratio) – ერთი და იმავე თანხმოვანი ბგერების გამეორება სალექსო სტრიქონში. გამოსახვის პოეტური ხერხი, ემოციური ზეგავლენის საშუალება, ბგერების მუსიკალური ორგანიზაციის ფორმა. ქმნის ლექსის კეთილხმოვანებას, სიტყვის შინაარსის აკუსტიკურ თვალსაჩინოებას. ბგერების გამეორება მაშინაა პოეტური, ესთეტიკური, როდესაც მას თან ახლავს გამომსახველობითი ემოციური ძალა. ბგერების უაზრო, ფორმალისტური თამაში მოკლებულია მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას.

„ბეჭდის“ (ციკლის პირველი კომპონენტები იყო „რაინის ოქრო“ (Das Rheingold) (დასრულდა 1854 წელს) და „ვალკირია“ (Die Walküre) (დასრულდა 1856 წელს). „რაინის ოქრო“ სავსეა სასაუბრო „რეალიზმით“ და არ გააჩნია ლირიკული მუსიკალური ნომრები.

„ვალკირია“ შეიცავს მეტ-ნაკლებად ტრადიციულ საოპერო არიებს, უფრო ამჟღავნებს „საოპერო“ თვისებებს.

მოკლე შინაარსი

„რაინის ოქრო“

პირველი ოპერა – „პროლოგი“ (გერმ. Vorspiel), რომელიც უწყვეტად შესრულებული ოთხი სცენისგან შედგება, გვიყვება დრამის წინაისტორიას: რაინის ფსკერზე ძევს ოქრო, რომელსაც სამი ქალწული იცავს. ნიბელუნგი ალბერიხი მათ შეცდენას ცდილობს, თუმცა მათგან მხოლოდ დაცინვას იღებს. იმედგაცრუებული ალბერიხი წყევლის სიყვარულს და იპარავს რაინის ოქროს, რათა მისგან გამოჰედოს ბეჭედი, რომელიც მფლობელს განუსაზღვრელ ძალაუფლებას მიანიჭებს. ამ ბეჭედსა და ალბერიხის სხვა სიმდიდრეს იპარავს ვოტანი, რათა გიგანტებს, ფაზოლტს და ფაფნერს, ვალჰალას აშენების საფასური გადაუხადოს. ბრაზითა და მწუხარებით გაგიჟებული ალბერიხი წყევლის ბეჭედს, რომელიც მის მფლობელს ამიერიდან მხოლოდ მარცხსა და მწუხარებას მოუტანს. ვოტანს მაინც სურს ბეჭედი თავისთვის დაიტოვოს. წყევლას შედეგი მოაქვს: ვოტანი საგანძურს გიგანტებს აძლევს, თუმცა მისი განაწილების დროს ფაფნერი ბეჭდის გამო კლავს ძმას, ფაზოლტს. ვოტანი შეშინებულია, მაგრამ მაინც სჯერა, რომ შემდგომ მოვლენებზე გავლენის მოხდენას შეძლებს და ღმერთებს ვალჰალაში ეპატიჟება. რაინის ქალწულები დაკარგულ ოქროს მისტირიან.

„ვალკირია“

ოპერა „ვალკირია“ ზიგმუნდისა და ზიგლინდეს, ტყუპი და-ძმის, ვოტანის შვილების, სასიყვარულო ურთიერთობაზე მოგვითხრობს; ასევე, ვოტანის ფუჟ მცდელობებზე, თავი დაცვას ბეჭდის წყევლისგან. ფრეია, მარადიული ახალგაზრდობის მფარველი ქალღმერთი, აიძულებს ვოტანს, შვილი – ზიგმუნდი – მიატოვოს და მხარი ჰუნიდინგს დაუჭიროს. ვოტანი ამ დავალებას თავის ქალიშვილს, ვალკირია ბრუნჰილდეს მიაწოდებს; თუმცა, ბრუნჰილდე მას არ ემორჩილება და ზიგმუნდს იცავს. ვოტანი იძულებულია, ბრძოლის ბედის გადანყვეტაში ისევ თავად ჩაერიოს და თავისი შუბით ამსხვრევს ზიგმუნდის ხმალს – ნოტუნგს, შემდეგ კი ქალიშვილის დასჯას გადანყვეტს. ბრუნჰილდეს მიუსჯიან ძილს კლდეზე, რომელიც გარშემორტყმულია მარადიული ცეცხლის რკალით. ამ ცეცხლის რკალის გადალახვას, ქალწულის გაღვიძებას და მისი ხელის თხოვნას მხოლოდ ის შეძლებს, ვინაც არ იცის, რა არის შიში.

„ზიგფრიდი“

ოპერა ეხება ზიგფრიდს – ზიგმუნდისა და ზიგლინდეს ვაჟს, ასევე, ვოტანისა და ალბერიხის ბრძოლას ბეჭდის გამო. ქონდრისკაცმა, ალბერიხის ძმამ, სახელად მიმემ, აღზარდა ზიგფრიდი, რათა მისი ხელით მოეკლა დრაკონად ქცეული გიგანტი ფაფნერი და მოეპოვებინა ბეჭედი და განძი, რომელსაც ის დარაჯობდა. მოზარდმა ზიგფრიდმა არ იცის, რა არის შიში, ამიტომ მიმე გზავნის მას ფაფნერთან, რომლისგანაც „შიში უნდა ისწავლოს“. თავისი მამის ხმლით – ნოტუნგით, რომელიც თავადვე ხელახლა გამოჰედა, ზიგფრიდი კლავს ფაფნერს და მის განძსა და ბეჭედს ისე დაეუფლება, რომ მათი მნიშვნელობა არ იცის და არც შიში განუცდია. იგი თავიდან იშორებს მიმეს, რადგან შეიტყობს, რომ მიმე მის მოწამლვას ცდილობს, შემდეგ კი ტყის ფრინველის მიერ ნასწავლი გზით მიდის მძინარე ქალწულის

საძებნელად, რომელიც სხვა არავინაა, თუ არა ბრუნჭილდე. მისკენ მიმავალ გზას გადაუღობავს ბაბუამისი – ღმერთი ვოტანი, მოხეტიალე მოხუცის იერსახით, რომელიც ვერ ეგუება, რომ შვილიშვილი მასზე ძლიერია. ზიგფრიდი ნოტუნგით ამსხვრევს ღმერთის შუბს – მისი ძალაუფლების სიმბოლოს. ვოტანი განადგურებულია, რადგან მისი კანონები უბრალო მოკვდავმა დაამსხვრია. ზიგფრიდი პოულობს ბრუნჭილდეს, რა დროსაც პირველად განიცდის შიშს. იგი აღვიძებს ქალს და მოგვიანებით მისი ქმარი ხდება.

„ღმერთების დაისი“

ციკლის ბოლო ოპერა მიმოიხილავს დრამას, რომელიც ზიგფრიდისა და ბრუნჭილდეს გარშემო, გიბიხუნგების სამეფოში ვითარდება. ალბერხის ვაჟის, ჰაგენის წყალობით, რომელსაც ბეჭდის მოპოვება განუზრახავს, ზიგფრიდს მეხსიერება აქვს დაკარგული. ახლა ის მეფე გუნთერის დაზე, გუტრუნეზეა შეყვარებული. მწუხარებით გაგიჟებული ბრუნჭილდე საჯაროდ სდებს ბრალს ზიგფრიდს ლალატში. პასუხად, ზიგფრიდი თავს იცავს და იფიცებს, რომ ტყუილის შემთხვევაში მზადაა, ჰაგენის შუბით მოკვდეს. ნადირობის დროს ჰაგენი მას მეხსიერებას უბრუნებს. შედეგად, გმირი აღიარებს, რომ ბრუნჭილდეს იცნობდა და უყვარდა, შესაბამისად, მისი ფიცი ცრუა. დადებული ფიცის თანახმად, ჰაგენი მას კლავს. ბრუნჭილდე, რომელმაც რაინის ქაღალდებს მოუსმინა, ყველაფერში ერკვევა. იგი იაზრებს თავის შეცდომას, ბეჭდის ნამდვილ მნიშვნელობას და ვოტანის საიდუმლო გულისწადილს: ვოტანს სინამდვილეში ღმერთების დაღუპვა უნდა. ბრუნჭილდე ზიგფრიდის სხეულს კოცონზე ათავსებს და თავადაც ქმართან ერთად იწვავს თავს, რითიც ბეჭედს წყევლისგან განწმენდს. რაინი აღიდგება და ცეცხლს ჩააქრობს. ჰაგენს, რომელიც ბეჭდის ხელში ჩაგდებას ცდილობს, რაინის ქაღალდები მდინარის სიღრმეში ჩაითრევენ და დაახრჩობენ. ცეცხლი ცას სწვდება. რაინის ქაღალდები ბეჭდის უკან დაბრუნებას ზეიმით უმღერიან, ამ დროს კი ვალჰალა იწვის. ღმერთები ილუპებიან, დედამიწაზე კი ახალი სამყარო იბადება.

„რაინის ოქრო“ ვაგნერის პირველი მცდელობა იყო, შეექმნა დრამატულ-მუსიკალური ნაწარმოები იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც გააცხადა თავის ესეში „ოპერა და დრამა“. აქედან გამომდინარეობს პარტიტურაში ტრადიციული საოპერო „ნომრების“ არარსებობა არიების, ანსამბლებისა და გუნდების სახით. ორკესტრი სოლისტების უბრალო თანმხლებად კი არ გამოიყენება, არამედ დრამატული სიუჟეტის განვითარებაში მათ თანასწორ როლს ასრულებს.

„არ არის ერთი ნოტიც კი, რომელსაც სხვა დანიშნულება აქვს, გარდა იმისა, რომ დრამას მუსიკალური გამომსახველობა მიაწოდოს“, – ამბობდა ოპერის შესახებ ბერნარდ შოუ.

„რაინის ოქროს“ მსგავსად, „ვალკირიაც“, პირველ რიგში, სოლო შემსრულებლებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა ვოკალური პარტიები მთლიან მუსიკალურ სტრუქტურაში აქ უფრო კარგადაა ინტეგრირებული.

„ღმერთების დაისი“ უფრო „ტრადიციული“ სტილითაა შექმნილი, ვიდრე „რაინის ოქრო“.

ტეტრალოგიის ბოლომდე განხილვა რამდენიმე გაკვეთილზე გრძელდება და მოიცავს ბევრ აქტივობას. მასალა იმდენად დიდ კონცენტრაციასა და ყურადღებას მოითხოვს, რომ აუცილებელია თითოეული აუდიოფაილის რამდენჯერმე მოსმენა. მოსწავლის წიგნში განთავსებული მასალის სტრუქტურიდან გამომდინარე, ერთი და იმავე აუდიოფაილის მოსმენის შემდეგ დასმულია განსხვავებული დატვირთვის მქონე სააზროვნო კითხვები, რაც მოითხოვს მუსიკალური ფრაგმენტების კვლავ და კვლავ მოსმენას, რადგან მხოლოდ ერთი მოსმენით შეუძლებელია მოსწავლეებს დაამახსოვრდეთ 4, 6 ან 8 სიუჟეტური სვლის მოტივები. ამის გამო ერთ გაკვეთილზე მხოლოდ ერთი ან ორი აქტივობის განხილვა თუ მოესწრება.

1 პირველ აქტივობაში მოცემულია ცხრილი. მოსწავლეები ჯერ ისმენენ ექვს აუდიოფაილს ტეტრალოგიის პირველი ოპერიდან – „რაინის ოქრო“, პარალელურად თვალს მიადევნებენ ცხრილში მოცემულ საკვანძო დეტალების ჩამონათვალს და შეეცდებიან ამოიცნონ მუსიკაში სიუჟეტური სვლების დეტალები (ბეჭედი, ალთქმის შუბები, ნიბელჰაიმი, ვალჰალა, ზოგფრიდი, ხმალი) და ფურცელზე დანერგონ, მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტებიდან რომელი მათგანი ამოიცნეს I, II, III, IV, V, VI ნომრებად.

ჩვენ მიერ ცხრილში ჩანერილი ციფრების ნუმერაცია ემთხვევა აუდიოფაილების ნუმერაციას:

ტეტრალოგია „ნიბელუნგის ბეჭდის“ საკვანძო დეტალები						
	ბეჭედი	ალთქმის შუბები	ნიბელჰაიმი, მინისქვე-შეთი, სადაც ჯუჯა ნიბელუნგებმა გამოჭედეს ბეჭედი	ვალჰალა, ღმერთებისა და გმირების სამყოფელი	ზოგფრიდი	ხმალი
	2	4	1	3	6	5
მუს. აიკონი						
მუს. ინდექსი						
მუს. სიმბოლო						

ცხრილის შევსებამდე მოსწავლეებს შევახსენოთ მუსიკალური ნიშან-სიმბოლოების მნიშვნელობა:

აიკონი – მუსიკა პირდაპირ ასახავს იმას, რასაც აღნიშნავს;

ინდექსი ასოციაციურად უკავშირდება იმას, რასაც ასახავს (რის ასოციაციას ქმნის, რის წარმოდგენას გიქმნის მუსიკა);

სიმბოლო არანაირი მახასიათებლით არ უკავშირდება იმას, რასაც აღნიშნავს.; თუ ზუსტად არ იცი, რა არის, ვერ ამოიცნობ.

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ამოიცნობენ სიუჟეტურ დეტალებს, განსაზღვრავენ სიმბოლო-ნიშნებს, რომელთა მიკუთვნება ამა თუ იმ დეტალზე ინდივიდუალურია. მთავარია, მოსწავლემ გამოთქვას საკუთარი აზრი, რის მიხედვით მიაკუთვნა მუსიკალური აიკონი, ინდექსი ან სიმბოლო ამ კონკრეტულ ფრაგმენტს. შევსებული ცხრილი დაეხმარება მოსწავლეებს ორიენტირებაში, რათა ადვილად უპასუხონ შემდგომ დასმულ შეკითხვებს.

სახელმძღვანელოში ცხრილს მოსდევს მეტაკოგნიტური კითხვები („სწავლა-სწავლება“), რომლებზეც პასუხის გასაცემად მოსწავლეები კვლავ ისმინენ იმავე მუსიკალურ ფრაგმენტებს და ახლა უკვე აქცენტს გააკეთებენ მოსწავლის წიგნში შემდგომ დასმული კითხვების მოცემულობებზე.

მოსწავლეები კვლავ ისმენენ ექვსივე მუსიკალურ ფრაგმენტს და ვთხოვთ მათ, სანოტო ჩანაწერში ამოიცნონ ისინი.

კითხვა გ). ...განსაზღვრეთ, ქვემოთ მოცემული რომელი სანოტო ჩანაწერები ესადაგება მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებს. დაასახელეთ ამ სანოტო გამოსახულებების რიგითი ნომერი.



სწორი პასუხი ასეთი იქნება: (მოსასმენი ფაილის ნუმერაციის მიხედვით) №6 (ზიგფრიდი) მიესადაგება სანოტო ჩანანერს – II; მოსმენა №5 (ხმალი) მიესადაგება სანოტო ჩანანერს – III. კითხვა ე) – ამ მუსიკალური ფრაგმენტებიდან, რომელი ჰგავს ერთმანეთს და რა მახასიათებლებით? დაასახელეთ ამ ფრაგმენტი-ნიშნების ნომრები.

მოსწავლეთა მსჯელობა შეიძლება ასე წარიმართოს: მუსიკალური ფრაგმენტები ერთმანეთს ჰგავს ხასიათით, გამოკვეთილი მელოდიური ხაზით – ბგერების მოძრაობა ნახტომებზე – ინტერვალ კვარტაზე, მოწოდებით ხასიათს ქმნის, ჰარმონია – მოძრაობა კონსონანსურ ინტერვალზე, ერთნაირი ინტონაციით იწყება – ორივეში პუნქტირული რიტმია, რაც ფრაგმენტს ამაღლებულ განწყობას უქმნის.

შენიშვნა: მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ ექვსი ფრაგმენტიდან ამოცნობა. ამიტომ საჭირო იქნება მათ მრავალჯერადად მოისმინონ ექვსივე ფრაგმენტი ერთად, რათა დაიმახსოვრონ ლაიტმოტივები, შეადარონ ერთმანეთს მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით.

დიდი ალბათობით, მოსწავლეები სხვა ვარიანტებსაც დაასახელებენ. იმ შემთხვევაში, თუ მაინც ვერ დაიმახსოვრებენ ექვსივე ლაიტმოტივს, მასწავლებელი მოასმენინებს მხოლოდ იმ ორ აუდიოფრაგმენტს, რომლებიც უნდა შეადარონ ერთმანეთს და სთხოვს მოზარდებს, აღწერონ მათ მიერ ერთმანეთის მსგავსად მიჩნეული ფრაგმენტების მუსიკალური მახასიათებლები; მოზარდები დაასახელებენ, რომელ დეტალებს დაუკავშირეს ეს ფრაგმენტები – აიკონს, ინდექსს თუ სიმბოლოს (თვალს გადაავლებენ მათ მიერ შევსებულ ცხრილს და ახსნიან, რის მიხედვით მიანიჭეს ეს სიმბოლო-ნიშანი).

ბოლოს გაიმართება დისკუსია, მსჯელობა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ამის შემდგომ მოსწავლის წიგნში მოცემულია კითხვები, რომლებიც ისევ თავდაპირველ ცხრილთან არის დაკავშირებული. შევსებული ცხრილის მიხედვით მოსწავლეები შეამოწმებენ თავიანთ მოსაზრებებს, რამდენად სწორად ამოიცნეს ლაიტმოტივებში სიუჟეტური სვლები; მოსწავლეები უპასუხებენ კითხვას: შეცვლიდით თუ არა თქვენ მიერ შევსებულ ცხრილში სიმბოლო-ნიშნების დაკავშირებას სიუჟეტურ სვლებთან?

როგორც შეამჩნევდით, მუსიკალური ფრაგმენტების ირგვლივ დასმულია განსხვავებული მეტაკოგნიტური კითხვები, რომლებზე პასუხის გაცემაც ყოველ ჯერზე მოითხოვს აუდიოფაილების განმეორებით მოსმენას. მოასმენინეთ მოსწავლეებს ეს ფრაგმენტები იმდენჯერ, რამდენჯერაც ამას საჭიროება მოითხოვს.

თითოეული ფრაგმენტის მოსმენის დროს სასურველია, მოსწავლეებმა მოიმარჯვონ ფურცლები და კალმები, წინასწარ დანომრონ მოსასმენი ფაილების რიგითობა, თითოეული ფრაგმენტის მოსმენის პარალელურად ჩაიწერონ თავიანთი მოსაზრებები ლაიტმოტივების მუსიკალურ მახასიათებლებზე და შემდეგ ისაუბრონ: როგორია რიტმი (მაგალითად, ერთგვაროვანია, ცვალებადი, პუნქტირული, მონაცვლეობს მოკლე და გრძელი ბგერები, რაც —————-ის განწყობას ქმნის); მელოდიური ხაზი აღმავალია თუ დაღმავალი, ნახტომებით ინტერვალზე თუ მდოვრე; ბგერებზე მოძრაობა წყვეტილია თუ გაბმული; რა ემოციას ტოვებს, რა განცდას იწვევს – მწუხარებას, სევდას, შფოტს, სიმშვიდეს თუ სხვას (რისი მიმანიშნებელი შეიძლება იყოს ამგვარი მელოდიური სვლები); ჰარმონია კონსონანსურია თუ დისონანსური, რა შეგრძნებას ტოვებს მუსიკა, რა ემოცია გამოიწვია, რა წარმოიდგინეს მოსმენისას, როგორი მუსიკალურ-გამომსახველობითი ხერხებით ახასიათებს კომპოზიტორი ამა თუ იმ პერსონაჟს ან ცალკეულ მოქმედებას და სხვ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ მე-8 კლასში განხილული მუსიკალური მახასიათებლები – რიტმი, მელოდია, ტემპი, ჰარმონია და დამატებითი კითხვებით ცდი-

ლობს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღოს მოსწავლეებისგან თითოეული მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტის ირგვლივ.

გაითვალისწინეთ, ყველა პასუხი მისაღებია, რადგან მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ და ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ფიქრობენ სხვები; აუცილებელი პირობაა, მოსწავლეებმა დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები და მოიყვანონ არგუმენტები.

სავარაუდო ნიმუში:

1. „ნიბელჰაიმი“ – ფრაგმენტში გამოკვეთილია ერთგვაროვანი, პუნქტირული რიტმი, ტემპი სწრაფია; მელოდიური ხაზი არაა მკვეთრად გამოხატული, აქცენტი ძირითადად რიტმზეა.

2. „ბეჭედი“ – იწყება დაღმავალი ნახტომისებური სვლით. ტემპი – საშუალო, ჰარმონია – კონსონანსური, მელოდია მოძრავია (აღმავალი-დაღმავალი სვლები). ამგვარი მელოდიური სვლები თითქოს წრიულ მოძრაობას ქმნის, რაც გვიქმნის ჭედვისას ბეჭდის ტრიალის ასოციაციას.

კითხვა: გაიხსენეთ გასულ წელს განხილული მუსიკალური მახასიათებლები; რა განცდას იწვევს დაღმავალი სვლები – მწუხარების, სევდის, რაიმე შფოთის განწყობას ქმნის თუ, პირიქით, სიხარულის, იმედის, ბედნიერების მოლოდინის მიმანიშნებელია? ახსენით თქვენი პასუხი.

3. „ზიგფრიდი“ – იწყება ბგერების ნახტომით ზემოთ, ინტერვალ კვარტაზე, შეიმჩნევა დინამიკა – კრემენდო (ხმის მომატება); სასულე საკრავის – ტრომბონის – სოლო პარტია შემართებით, მონოდებით, ჰეროიკულ განწყობას ქმნის.

4. „ალექსის შუბები“ – რიტმი ერთგვაროვანია, დასაწყისში გვხვდება პუნქტირული რიტმი. მელოდია იწყება დაღმავალი, მდოვრე სვლით დაბალ რეგისტრში.

კითხვა: რა განცდას იწვევს დაღმავალი სვლები მელოდიაში? სავარაუდო პასუხი იქნება: დაღმავალი სვლები მელოდიაში თითქოს პირქუშ, დრამატულ, დაძაბულობის მოლოდინს ქმნის (თუმცა მოსწავლეებისგან შეიძლება სხვა პასუხებიც მოვისმინოთ).

5. „ხმალი“ – აღმავალი ინტერვალთა იწყება, რაც შემართებით, მონოდებით ხასიათს ქმნის. რიტმი გამოკვეთილია პუნქტირული რიტმით. გამოკვეთილი მელოდიური ხაზი არა აქვს.

6. „ვალჰალა“ – მელოდია – სამხმოვანების ბგერებზე, აკორდული წყობა კონსონანსურია, რაც სიმშვიდის, სტაბილურობის, დიდებულების განწყობას ქმნის.

ერთ-ერთი კითხვა ასეთია: მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელი ჰგავს ერთმანეთს და რითი?

სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს: მოსმენილი აუდიოფაილების რიგითობით მე-5 და მე-6 უფრო ჰგავს ერთმანეთს განწყობით, რაც მიღწეულია გამოკვეთილი რიტმული ფიგურაციებით. საუბრისას ვთხოვთ მოსწავლეებს, გამოიყენონ ფრაზები: მელოდიური ინტონაცია, ნახტომები აღმავალ ინტერვალზე – კვარტაზე – მონოდებით ხასიათს სძენს მუსიკას. მსგავსებაა ის, რომ ორივე კვარტით იწყება, ტემბრი, ჰარმონია – მოძრაობა კონსონანსურ ინტერვალზე (გავიხსენოთ მე-8 კლასში განხილული ჰიმნები. კონსონანური ინტერვალზეა ჰიმნების მუსიკაში გამოყენებული თუ დისონანსური?).

შეიძლება მოსწავლეებმა სხვა ლაიტმოტივები დაასახელონ. სწორია-არასწორია – ამას არა აქვს მნიშვნელობა, მოსწავლემ თავის შეგრძნებებსა და მოსაზრებებზე დაფუძნებით უნდა ისაუბროს მუსიკალურ მახასიათებლებზე – რით არის მიღწეული ხასიათი – რიტმით (მაგ., პუნქტირული), მელოდიური ინტონაციით (ინტერვალზე მოძრაობა), დინამიკით – ხმის მომატება-დაკლება (გავიხსენოთ და გამოვიყენოთ მუსიკალური ტერმინები – კრემენდო, დიმინუენდო).

თავიდან მოვასმენინოთ მოსწავლეებს ეს ორი ფრაგმენტი, შეიძლება მათ თავიანთი მოსაზრება შეცვალონ. კიდევ ვსვამთ კითხვას: რომელ სიუჟეტურ დეტალებს დაუკავშირეთ ეს ორი ფრაგმენტი? სწორი პასუხი: მე-6 – „ზიგფრიდი“, მე-5 – „ხმალი“.

მოსმენილი ნაწყვეტები აიკონებია, ინდექსები თუ სიმბოლოები? პასუხები ინდივიდუალურია, მოსწავლეთა შეხედულების მიხედვით (ვისთვის რა ასოციაციას იწვევს). მთავარია, მათ ახსნან თავიანთი მოსაზრებები.


თანდათან გადავდივართ მუსიკაში ოპერის სიუჟეტური დეტალების ამოცნობაზე.

კვლავ ვუბრუნდებით ნინა გაკვეთილის პირველ აქტივობაში შევსებულ ცხრილს. მოსწავლეები ისმენენ იმავე ფრაგმენტებს ცხრილში განლაგებული სიუჟეტური დეტალების შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ბეჭედი;
2. ალთქმის შუბები;
3. ნიბელჰაიმი;
4. ვალჰალა;
5. ზიგფრიდი;
6. ხმალი.

მოსწავლის წიგნში დასმულია კითხვები; მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრს. პასუხები ინდივიდუალურია. არა აქვს მნიშვნელობა, გამოიცნობენ თუ არა, რა სახე-ხატება უკავშირდება მოსმენილ ფრაგმენტს. ყველას თავისი ხედვა აქვს. მხოლოდ ვეკითხებით: რატომ იფიქრეთ ასე? თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტა კომპოზიტორმა ესა თუ ის სახე-ხატი ამ ხერხით გადმოეცა?

ე) რა გრძნობას გიტოვებთ ვალჰალას ლაიტმოტივი?



➤ დააკვირდით ამ აკორდებს, რა ინტერვალებისგან შედგება? (ტერციებისგან); ჰარმონიულად როგორია ეს ინტერვალები? – კონსონანსური. რის შეგრძნებას იწვევს კონსონანსური ინტერვალები? – სიმშვიდის, სტაბილურობის; რატომ ფიქრობთ, რომ ჰარმონია კონსონანსურია? – აკორდული წყობა მხოლოდ ტერციებზეა, არ არის სეკუნდები, სეპტიმა – ანუ ის ინტერვალები, რომელთაც დისონანსური ჟღერადობა შემოაქვთ.

(აკორდები დაუკარით ფორტეპიანოზე ან მოასმენინეთ ამ გაკვეთილის ელ.რესურსებიდან აუდიოჩანაწერი №7).

➤ თქვენი აზრით, რას გვეუბნება აკორდების ქვეშ მიწერილი საფეხურების ფუნქციები – (I-IV-I-V-I)?

პასუხი: ეს ნიშნავს, რომ აკორდი ან ინტერვალა აგებულია გამის I, IV, V, I საფეხურებიდან.

➤ რა შეგრძნებას იწვევს პირველ საფეხურზე დამთავრებული ჰარმონიული საქცევი?

– ჰარმონიაში აკორდების თანმიმდევრობების მკაცრი კანონები არსებობს, რასაც ჰარმონიულ სვლებს ან ფორმულებს უწოდებენ; ჰარმონიული სვლების საშუალებით ვითარდება მუსიკალური აზრი. I-IV-V-I საფეხურებზე (ტონიკა-სუბდომინანტა-დომინანტა-ტონიკა) აკორდების თანმიმდევრობის ჰარმონიული საქცევი ქმნის სტატიკურობის (ამაღლებულობის) შეგრძნებას, ტონიკაზე დამთავრებული ჰარმონიული წყობა ყოველთვის იძლევა სიმყარის, მუსიკალური აზრის დასრულებულობის შეგრძნებას, სხვა საფეხურებზე დამთავრებულ ჰარმონიულ წყობას არ ექნება დასრულებული აზრი, რადგან საბოლოოდ ტონიკაში გადაწყვეტას მოითხოვს.

მოსწავლეები ეცნობიან ჩარჩოებში ჩასმულ ტექსტებს (იხ. შემდეგ გვერდზე). მაგალითად, პირველ ჩარჩოში ხაზგასმულ წინადადებაში ნახსენებია ბექედი, მე-2-ში – ვალჰალა, მე-3-ში – შუბები, მე-4-ში – ბექედი, მე-5-ში – ბექედი და ნიბელჰაიმი, მე-6-ში – ბექედი და ხმალი.

შევთავაზოთ მოსწავლეებს, წინასწარ ამოწერონ ფურცელზე და დანომრონ ეს დეტალები. ამგვარი ჩანაწერი მათ გაუადვილებთ კითხვებზე პასუხების გაცემას.

გაეცანით ტეტრალოგიის პირველი ოპერის, „რაინის ოქროს“, ძირითად სიუჟეტურ სვლებს. მიაქციეთ ყურადღება, რომელი საკვანძო დეტალებია ნახსენები ქვემოთ მოცემულ თითოეულ სიუჟეტურ სვლაში (თვალსაჩინოებისთვის მუქად გამოვყავით წინადადებები):

1. ყველასათვის საძულველი, უშნო ქონდრისკაცი ნიბელუნგი ალბერისი მდინარე რაინის წყლებში დამალულ ღმერთების ოქროს იპარავს და ამ ოქროსგან ბექედს იკეთებს. ამ ბექდით მას მთელი სამყაროს დამონება სურს.

2. უზენაესი ღმერთი – ვოტანი, გოლიათებს ვალჰალას – ღმერთებისა და გმირების სამყოფლის – მოპირკეთებას სთხოვს.

3. ვოტანმა გოლიათებთან აღთქმა დადო და ეს აღთქმა თავის შუბებს დაანერგა. აღთქმის თანახმად, მას გოლიათებისთვის შრომის საფასურად თავისი მეუღლის და, ახალგაზრდობის ქალღმერთი ფრეია, უნდა ეჩუქებინა. მოგვიანებით მან გადაიფიქრა და გოლიათებს ფრეიას სანაცვლოდ რაინის ოქრო შესთავაზა. ცოტა ფიქრის შემდეგ გოლიათები დათანხმდნენ.

4. ვოტანს ნიბელუნგების სამყოფელში – მიწისქვეშეთში – ჩასვლა მოუწია. იქ ნიბელუნგ ალბერისს ბექდის ძალით ყველა ნიბელუნგი დამონებული ჰყავდა და ოქროს მოპოვებას აიძულებდა. ვოტანმა ტყუილის მეშვეობით ალბერისი შეიპყრო.

5. ვოტანმა ალბერისს გოლიათებისთვის ოქროს მიცემა აიძულა. ალბერისმა ბექდის ძალა გამოიყენა და ნიბელჰაიმიდან ნიბელუნგებს ოქრო ამოატანიდა. ვოტანმა ალბერისს ბექედიც წაართვა და გოლიათებს მისცა. განრისხებულმა ალბერისმა დაწყევლა ბექედი. ამიერიდან მას, ვინც ბექედს დაეპატრონება, უბედურება ელის.

6. როდესაც ბექდის გამო ერთმა გოლიათმა მეორე მოკლა, ვოტანი მიხვდა, რომ ბექდის წყევლა მთელ ქვეყანას ემუქრებოდა. ვოტანს იმედად ისლა რჩებოდა, რომ ადრე თუ გვიან დადგებოდა დრო და ქვეყანას დიდი გმირი მოევლინებოდა, რომელიც თავისი ჯადოსნური ხმლით ქვეყნიერებას წყევლისგან იხსნიდა.

კითხვები და სწორი პასუხები:

➤ გადახედეთ ყველა სიუჟეტურ სვლას. რომელ სიუჟეტურ სვლებშია ცხრილში მოცემული რამდენიმე დეტალი ერთდროულად ნახსენები? დაასახელეთ ამ სიუჟეტური სვლების ნომრები.

პასუხი იქნება: რამდენიმე დეტალი ნახსენებია მხოლოდ ორ სიუჟეტურ სვლაში – 5 (ბექედი, ნიბელჰაიმი), 6 (ბექედი, ხმალი);

➤ რამდენია ისეთი სიუჟეტური სვლა, რომელშიც ცხრილში მოცემული მხოლოდ ერთი დეტალი ნახსენებია?

პასუხი: მხოლოდ ერთი დეტალი ნახსენებია სიუჟეტურ სვლებში: №№1, 2, 3, 4.

➤ რომელი დეტალია ყველაზე ხშირად ნახსენები?

პასუხი: ყველაზე ხშირად ნახსენებია ბეჭედი.

შემდეგი დავალება:

მე-10 გაკვეთილის აუდიოფაილებიდან მოსწავლეები ისმენენ ექვს ლაიტმოტივს, რომლებიდანაც ამოიცნობენ ტექსტებში ნახსენები საკვანძო დეტალების ლაიტმოტივებს.

1. შუბების ლაიტმოტივი;
3. ბეჭდის ლაიტმოტივი;
2. ბეჭდისა და ნიბელჰაიმის ლაიტმოტივი;
4. ნიბელჰაიმის ლაიტმოტივი;
5. ბეჭდისა და ხმლის ლაიტმოტივი;
6. ვალჰალას ლაიტმოტივი.

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, მოსმენილი აუდიოფაილები დაუკავშირონ სიუჟეტურ სვლებს. დავალების შესრულებაში მათ ტექსტებში ხაზგასმული წინადადებები და მუსიკალურ ფრაგმენტში გაჟღერებული ლაიტმოტივი დაეხმარებათ.

დავალება ამგვარად შესრულდება:

პირველ ტექსტურ ჩარჩოში ნახსენებია მხოლოდ ბეჭედი; ბეჭდის ლაიტმოტივი აუდიოფაილებში მე-3 ნომრად, ესე იგი, ა) „სიუჟეტური სვლა 1“-ის გასწვრივ კვადრატში მოსწავლეები ჩაწერენ ციფრს 3; მეორე ტექსტურ ჩარჩოში ნახსენებია ვალჰალა. აუდიოფაილებში ვალჰალას ლაიტმოტივი მე-6 ნომრად, ესე იგი, ბ) „სიუჟეტური სვლა 2“-ის გასწვრივ კვადრატში ჩაიწერება ციფრი 6; გ) – შუბები, აუდიოფაილში შუბების ლაიტმოტივი I-ელ ნომრად, შესაბამისად, კვადრატში ჩაიწერება – 1 და ასე შემდეგ. უკეთ აღსაქმელად გთავაზობთ სქემას:

სიუჟეტური სვლები:

- 1 – ბეჭედი
- 2 – ვალჰალა
- 3 – შუბები
- 4 – ბეჭედი
- 5 – ბეჭედი, ნიბელჰაიმი
- 6 – ბეჭედი, ხმალი

აუდიოფაილები:

- 1 – შუბების ლაიტმოტივი
- 2 – ბეჭდისა და ნიბელჰაიმის ლაიტმოტივი
- 3 – ბეჭდის ლაიტმოტივი
- 4 – ნიბელჰაიმის (მინისქვეშეთის) ლაიტმოტივი
- 5 – ბეჭდისა და ხმლის ლაიტმოტივი
- 6 – ვალჰალას ლაიტმოტივი

შესაბამისად, შესრულებული დავალება ასეთ სახეს მიიღებს:

ა) სიუჟეტური სვლა 1	3	მუს. ფრაგმენტი
ბ) სიუჟეტური სვლა 2	6	მუს. ფრაგმენტი
გ) სიუჟეტური სვლა 3	1	მუს. ფრაგმენტი
დ) სიუჟეტური სვლა 4	3	მუს. ფრაგმენტი
ე) სიუჟეტური სვლა 5	2	მუს. ფრაგმენტი
ვ) სიუჟეტური სვლა 6	5	მუს. ფრაგმენტი

კითხვები:

➤ რომელ ფრაგმენტში გაჟღერდა ლაიტმოტივი ვოკალურ პარტიაში?

პასუხი: ვალჰალას ლაიტმოტივი ვოკალურ პარტიაში გაჟღერდა ფრაგმენტში – №6.

➤ რომელ ფრაგმენტში ჟღერს ლაიტმოტივი ორკესტრში ვოკალურ პარტიასთან ერთად?

პასუხი: ბეჭდის ლაიტმოტივი ორკესტრში ვოკალურ პარტიასთან ერთად ჟღერს ფრაგმენტში – №5;

➤ რომელი ლაიტმოტივი არ გაჟღერებულა? როგორ ფიქრობთ, რატომ?

პასუხი: არ გაჟღერებულა ზიგფრიდის ლაიტმოტივი იმიტომ, რომ სიუჟეტურ სვლებში ის ნახსენები არ არის.

მოსწავლეები ისმენენ ორ აუდიოფაილს: 1. ქონდრისკაც ალბერისისა და 2. ღმერთ ვოტანის ლაიტმოტივებს და შეეცდებიან ამოიცნონ, რომელი ფრაგმენტი რომელ პერსონაჟს მიესადაგება.

მოსწავლეები ახსნიან, რის მიხედვით ამოიცნეს. მათი ვარაუდები დაფუძნდება ბგერის თვისებებზე: სიმაღლეზე, სიძლიერეზე, გრძლიობაზე, ტემბრზე, რეგისტრზე.

მსჯელობის შედეგად, სავარაუდოდ, ისინი დაასახელებენ მუსიკალურ მახასიათებლებს და ამის მიხედვით დაასკვნიან:

ბ) ორივე პერსონაჟის ვოკალურ პარტიაში საერთოა ხმის სიძლიერე, რეგისტრი;

გ) განსხვავება კი ბგერების გრძლიობაშია – ალბერისის პარტიაში მოკლე, წყვეტილი ბგერები ჭარბობს, ვოტანის პარტიის მელოდიური ხაზი კი გრძელი, გადამხული ბგერებისგან შედგება;

დ) სანოტო მაგალითებში მოსწავლეები ამოიცნობენ: II – ალბერისის პარტიაა, III – ვოტანის პარტია. აღნიშნავენ, რომ ვოტანის პარტიაში პუნქტირული რიტმი მეტია, ვიდრე ალბერისის პარტიაში;

ე) პუნქტში მოცემულია ამ მელოდიების გრაფიკული გამოსახულებები, რომელთაც ადვილად მიუსადაგებენ სანოტო ჩანაწერებს: II სანოტო ჩანაწერი მიესადაგება გრაფიკულ ჩანაწერს – 2, III კი – 1.

ვ) როგორ აღწერდით ამ გრაფიკულ გამოსახულებებს? მოსწავლეები იტყვიან, რომ პირველ ნიმუშზე მელოდიური ხაზი უწყვეტია, მეორეზე კი – წყვეტილი, დანაწევრებული.

ზ) რამდენად დაგეხმარათ სანოტო მაგალითები და მელოდიური ხაზის გრაფიკული გამოსახულებები ვოკალური პარტიების მახასიათებლების განსაზღვრაში?

მოსწავლეები გამოთქვამთ თავიანთ აზრს.

კ) ჩამონათვალიდან ამოარჩიეთ, თქვენი აზრით, რატომ იყენებს კომპოზიტორი ამ ლაიტმოტივებს პერსონაჟების მხატვრული სახის წარმოჩენისთვის:

სავარაუდოდ, მოსწავლეები მონიშნავენ მეორე პასუხს: ➤ ლაიტმოტივები გადმოსცემს ამ პერსონაჟების მისწრაფებებს.

პასუხები ყველა პუნქტზე ინდივიდუალური და სხვადასხვაგვარი იქნება; მთავარია, მოსწავლეებმა ახსნან თავიანთი მოსაზრებები.

1

მოსწავლეები ისმენენ ცხრა მუსიკალურ ფრაგმენტს (მე-12 გაკვეთილის I აქტივობიდან), რომელთა მოსმენისას ფურცელზე მოინიშნავენ, რომელ ნომრად მოისმინეს ძველი, ნაცნობი ლაიტმოტივები და რომელი იყო ახალი.

მოსმენა (თანმიმდევრობა დაცულია ჩვენ მიერ მონოღებული აუდიორესურსის მიხედვით):

1. ბეჭდის წყევლა;
2. დრაკონი ფაფნერი;
3. ნიბელჰაიმი;
4. ბეჭედი;
5. ალტემის შუბები;
6. ხმალი;
7. გმირული სიყვარული;
8. ვალჰალა;
9. ღმერთების ანდერძი.

როგორც ამ ჩამონათვალიდან მიხვდებოდით, ოპერა „ზიგფრიდში“ შემოვიდა ოთხი ახალი ლაიტმოტივი: №№1, 2, 7, 9. მოსწავლეები ამოიცნობენ „რაინის ოქროდან“ უკვე ნაცნობ ლაიტმოტივებს და დაასახელებენ ახლებს, უპასუხებენ დასმულ კითხვებს, ისაუბრებენ, რა ემოციური მუხტის მატარებელია თითოეული მათგანი.

მოსწავლეებს ეძლევათ რჩევა: მოიმარჯვეთ საწერი კალამი და ფურცელი, მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს, თვალი გადაავლეთ სიუჟეტური დეტალების ჩამონათვალს. ამოიცანით თქვენთვის უკვე ნაცნობი ლაიტმოტივები და კვადრატებში მიუწერეთ აუდიოფრაგმენტის ნომერი (რომელ ნომრადაც მოისმინეთ) იმ დეტალებს, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ. შევსებული კვადრატები ასეთ სახეს მიიღებს (კვადრატებში ციფრები მოცემულია აუდიოფაილების ნუმერაციის მიხედვით):

ა) ხმალი	6	ფრაგმენტი
ბ) ბეჭედი	4	ფრაგმენტი
გ) ალთქმის შუბები	5	ფრაგმენტი
დ) ვალჰალა	8	ფრაგმენტი
ე) გმირული სიყვარული	7	ფრაგმენტი
ვ) ნიბელჰაიმი	3	ფრაგმენტი
ზ) დრაკონი ფაფნერი	2	ფრაგმენტი
თ) ბეჭდის წყევლა (შემდგომში „წყევლა“)	1	ფრაგმენტი
ი) ღმერთების ანდერძი (შემდგომში „ანდერძი“)	9	ფრაგმენტი

შემდეგ მოსწავლეები ისმენენ ოთხ აუდიოფაილს (ბეჭდის წყევლა, გოლიათები, ღმერთების ანდერძი და გმირული სიყვარული) და შეეცდებიან ამოიცნონ, დეტალების ჩამონათვალიდან რომლები მოისმინეს. კითხვები მოსწავლის წიგნში:

➤ თქვენი აზრით, ფრაგმენტების ჩამონათვალიდან რომელი შეიძლება მიესადაგოს მე-10 გაკვეთილში მოცემულ რომელიმე სიუჟეტურ დეტალს?


სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს: ფრაგმენტების ჩამონათვალიდან შესაძლებელია ერთ-მანეთთან დავაკავშიროთ ზიგფრიდი და ბეჭდის წყევლა. ეს კომპოზიტორის მიზანმიმართული ჩანაფიქრი უფროა, ვიდრე დამთხვევა, რადგან, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ შინაარსის მიხედვით, ბეჭდის წყევლა ზიგფრიდის ბედისწერაზე აისახება – ტეტრალოგიის ბოლო ოპერაში – „ღმერთების დაისი“ – მას ალბერტის შვილი, ჰაგენი, კლავს, რომელიც დიდი ხანია ბეჭდის ხელში ჩაგდებას ცდილობდა.

გაითვალისწინეთ: მოსწავლის წიგნში დასმულ კითხვებზე პასუხები ინდივიდუალურია.

2 მოსწავლეები ისმენენ ორ აუდიოფაილს პირველი აქტივობიდან (1 და 6) და სანოტო ჩანაწერებში ამოიცნობენ „ხმალს“ და „ბეჭდის წყევლას“ (სანოტო მაგალითებში №2 და №3). „ზიგფრიდის“ ლაიტმოტივი პირველი აქტივობის სიუჟეტური დეტალების ჩამონათვალში არაა მოხსენიებული.

მოსწავლეებს შევთავაზოთ, თავიანთი პასუხები დააფიქსირონ ზეპირად ან ცხრილი გადაიტანონ ფურცელზე და შეავსონ. იხილეთ ნიმუში:

სიუჟეტური დეტალი	სანოტო ჩანაწერი
ა	2
თ	3

1)  ზიგფრიდი

2)  ხმალი

3)  ბეჭდის წყევლა

1 ამ აქტივობაში მოსწავლეები ისევ ისმენენ უკვე ნაცნობ ლაიტმოტივებს „რაინის ოქროდან“ და იმ ლაიტმოტივებსაც, რომლებიც ოპერა „ზიგფრიდში“ ჟღერს (აუდიო-ფაილები მე-13 გაკვეთილის I აქტივობიდან):

1. დრაკონი ფაფნერი;
2. მიმე;
3. ხმლის ჭედვა;
4. ზიგფრიდი;
5. ბეჭედი;
6. ნიბელჰაიმი.

ამოიცანით, „რაინის ოქროს“ რომელი ლაიტმოტივებიდან წარმოიშვა ოპერა „ზიგფრიდის“ ლაიტმოტივები. მოცემულ ცხრილში ჩასვით ნიშანი ✓ იმ უჯრაში, რომელიც, თქვენი აზრით, ერთმანეთთან დაკავშირებული ორი ლაიტმოტივის გადაკვეთაზეა.

ცხრილში ვერტიკალურ სვეტში მოცემულია ლაიტმოტივები, რომლებიც „ზიგფრიდში“ ჟღერს, ჰორიზონტალურ სვეტებში კი – „რაინის ოქროს“ ლაიტმოტივები. პირობითად შევსებული ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

ოპერა „ზიგფრიდი“	ოპერა „რაინის ოქრო“			
	ბეჭდის წყევლა	ბეჭედი	ნიბელჰაიმი	გოლიათები
დრაკონი ფაფნერი				✓
ნიბელუნგი მიმე		✓		
ზიგფრიდის I ლაიტმოტივი	✓			
ხმალ ნოტუნგის ჭედვა			✓	

მასწავლებლის კითხვები:

შევადაროთ ლაიტმოტივები, რომელი ჰგავდა „ბეჭდის წყევლას“?

სავარაუდო პასუხი იქნება – „ზიგფრიდი“ ჰგავდა „ბეჭედს“. ამოცნობა შესაძლებელია ბგერების მოძრაობებით, ინყება ნახტომით ინტერვალზე – კვარტა; აგრეთვე ჰგავს ინტონაციითაც.

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, კიდევ რომელ ლაიტმოტივებს ამსგავსებენ ერთმანეთს და რა მახასიათებლების მიხედვით. მაგალითად, შეიძლება მათ ერთმანეთს მიამსგავსონ „გოლიათები“ და „ფაფნერი“, „ხმალი“ და „ნიბელჰაიმი“ ან „მიმე“ და „ფაფნერი“ – ეს მათი მოსაზრებები იქნება; აუცილებელია, ახსნან თავიანთი ვარაუდები. ჰარმონიით შეიძლება ერთმანეთს მიამსგავსონ „ბეჭედი“ და „მიმე“, განმასხვავებელ მახასიათებლად კი დაასახელონ ის, რომ ბეჭდის ლაიტმოტივთან შედარებით მიმეს ლაიტმოტივი უფრო პირქუშია. კითხვა: რატომ ბეჭედი და მიმე? – შესაძლებელია ერთმანეთს დაუუკავშიროთ იმ მოსაზრებით, რომ ბეჭედი ნიბელუნგებმა გამოჰედეს, მიმეს ის ვოტანმა წაართვა და ახლა ისევ ცდილობს მის ხელში ჩაგდებას.

მოსწავლეებმა ინტონაციურად შეიძლება ერთმანეთს მიამსგავსონ „ზიგფრიდი“ და „ბეჭდის წყევლა“; განწყობის მიხედვით განსხვავება კი მათ შორის ისაა, რომ „წყევლა“ უფრო ტრაგიკულია, „ზიგფრიდი“ კი ამაღლებული, ჰეროიკული განწყობის გამომხატველია.

ვინ არის ზიგფრიდი? ვინ არის მიმე? (ქონდრისკაცი მიმე უარყოფითი პერსონაჟია, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ზიგფრიდი ჯერ გამოიყენოს, შემდეგ დალუპოს (მოწამლოს) და დაისაკუთროს მაგიური ბეჭედიცა და განძიც.

ბაიტიშალისწინაშე, აქ მოყვანილი გვაქვს მხოლოდ ვარაუდები, რა პასუხებსაც შეიძლება ველოდოთ მოსწავლეებისგან, დიდი ალბათობით, მათგან მეტად მრავალფეროვან და განსხვავებულ ვარიანტებს მივიღებთ. აქ „სწორია-არასწორიას“ არა აქვს მნიშვნელობა, ყველა მოსაზრება მისაღებია.

1 მოსმენა აუდიოფაილებიდან: 14-16 გაკვეთილები – აქტივობა 1.

მოსმენისას მოსწავლეები შეეცდებიან დაიმახსოვრონ ლაიტმოტივები, მოინიშნონ თითოეული ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლები – რიტმული ფიგურაციები, ბგერის მოძრაობა – აღმავალი, დაღმავალი, ნახტომი ზევით/ქვევით ინტერვალზე; ტემპი, დინამიკა და სხვ. ეს გაუადვილებს მათ ლაიტმოტივების ამოცნობასა და დამახსოვრებას. მოსწავლეები კვადრატებში ჩაწერენ, რომელ ნომრად მოისმინეს აუდიოფრაგმენტები:

ა	5	დრაკონი ფაფნერი	3	ზიგფრიდი
	7	გმირული სიყვარული	1	ღმერთების ანდერძი
	8	ნიბელუნგი მიმე	4	ხმალი
	2	ბეჭდის წყევლა	6	ზიგფრიდი 2

ბ ამის შემდეგ მოსწავლეები ისმენენ რვა აუდიოფაილს – აქტივობა 1 ბ) საქალაქიდან შეეცდებიან, თითოეული მათგანი მიუსადაგონ ქვემოთ მოთავსებულ სიუჟეტურ სვლებს რაიმე მახასიათებლის მიხედვით და კვადრატებში მიუწერენ ლაიტმოტივის მოსმენის რიგით ნომერს.

შესრულებული დავალება ასეთ სახეს მიიღებს:

მარად იხილავ ჩემში შენი ნათელი სახის ანარეკლს, ღმერთივით უმანკოსა და ბრწყინვალეს!	7
დადგა ჩემი აღსასრულის დღე!	5
ვჩუქნი მას, ვინაც არ იცის შიში.	4
ჰეი, მიმე! ცოცხლად! მითხარი, რა ერქვა ხმალს, ქვიშად რომ ვაქციე?	2
მშოიდა და საჭმელიც მოვიდა!	3
ჰეი, ვაი-მჭედელო! აი, როგორ კვეთს ჩემი ხმალი!	6
შენ ჩემი ცოდნით სიბრძნეს შეიძენ, ცოდნით, რომელიც მე სიყვარულით შევიმეცნე.	1
ნოტუნგი დაამშვენებდა მის მარჯვენას, ნამსხვრევებისგან მისი გამოჭედვა რომ შემეძლოს.	8

მოსწავლეები განმეორებით ისმენენ დრაკონ ფაფნერის ლაიტმოტივს; განსაზღვრავენ რეგისტრს. ისაუბრებენ, რომელი მუსიკალური ელემენტები აქვს გამოყენებული კომპოზიტორს მისი მხატვრული სახის გადმოსაცემად (რიტმი, ტემპი, მელოდიური და ჰარმონიული სტრუქტურა).

მოსწავლეების სავარაუდო პასუხები შეიძლება იყოს: ჰარმონიული ენა აგებულია დაღმავალი წმინდა კვარტისა და აღმავალი სექუნდის (პ.2) ინტონაციაზე დაბალ რეგისტრში (თუმცა, მოსწავლეთათვის ადვილად საორიენტიროდ, სანოტო მაგალითი ვიოლინოს გასაღებში გვაქვს მოცემული); ინტონაცია პირქუშია, ტემპი ნელი, რიტმი თანაბარი, მონოტონური, გამოყენებულია პუნქტირული რიტმი, რაც მუსიკალურ ხაზს დრამატულობას სძენს. ყველა ეს მუსიკალური მახასიათებელი უზარმაზარი დრაკონის მძიმე ნაბიჯებით გადაადგილების ასოციაციას იწვევს და დრაკონის შემზარავ სახეს გვიხატავს.

მოსწავლელთა სთხოვს მოსწავლეებს, სახელმძღვანელოში მოთავსებულ სანოტო ჩანაწერზე ამოიცნონ ეს ჰარმონიული სვლები (ინტერვალები).



მასწავლებელს შეუძლია დასვას კითხვები მუსიკის თეორიიდან (შეახსენოს წინა წლებში შესწავლილი მასალა): რა ზომაშია დაწერილი ეს ფრაგმენტი (რამდენზეა თვლა თითოეულ ტაქტში)? რა გრძლიობის ნოტებია გამოყენებული? რას ნიშნავს ნოტის გვერდით ან ქვემოთ მიწერილი წერტილი? ალტერაციის რომელი ნიშანი შენიშნეთ სანოტო ჩანაწერზე (ბემოლი); აუდიოფრაგმენტის მოსმენისას ამოიცანით თუ არა, რომელი მუსიკალური საკრავი ასრულებს ამ მოტივს (ლითონის ჩასაბერი საკრავი – ტუბა); მოსმენილი ფრაგმენტი დაბალ რეგისტრში ჟღერს, სანოტო ჩანაწერი ვიოლინოს გასაღებშია მოცემული – რომელ რეგისტრშია ის? რომელ გასაღებში დაინერება, დაბალი რეგისტრი რომ მივიღოთ?

რამდენად დაგეხმარათ ამ ლაიტმოტივის ჰარმონიული წყობა დრაკონ ფაფნერის მხატვრული სახის ნათლად წარმოსადგენად?

ბ მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, ყურადღებით წაიკითხონ ტექსტი და გამოტოვებულ ადგილას ფურცელზე დაწერონ იმ სიუჟეტური დეტალის რიცხვი, რომელიც **ბ** სავარჯიშოში ჩასვეს. შესრულებული სამუშაო პირობითად ასეთ სახეს მიიღებს:

„ალბერისის ძმა, მიმე, ზის გამოქვაბულში და ხმლის გამოჭედვას ცდილობს. ნიბელუნგები მჭედლობაში ხომ ოსტატები არიან, მაგრამ ყველა ხმალი, რომელიც მიმემ გამოჭედა, ზიგფრიდმა ნამსხვრევებად აქცია. —8—, — ფიქრობს მიმე. უცებ ზიგფრიდი გამოჩნდა, ტყიდან დათვის ბელი მოიყვანა და მიმეს მიუქსია. მიმე ზიგფრიდს საყვედურობს – საკუთარ მშობლებს ასე არ ექცევიან! ზიგფრიდს არ სჯერა, რომ უშნო ქონდრისკაცი მიმე მისი მშობელია. მიმე იძულებულია, ზიგფრიდს დედამისზე მოუყვეს: მიმემ ზიგფრიდის მომაკვდავი დედა ტყიდან თავის გამოქვაბულში გადაიყვანა, სადაც იგი მშობიარობას გადაჰყვა. სიკვდილის წინ საბრალომ მიმეს პირობა დაადებინა, რომ ბავშვს ზიგფრიდს დაარქმევდა და გაზრდიდა. ამ მონაცლით გაოგნებული ზიგფრიდი ტყეში გარბის. ამასობაში გამოქვაბულში უცნობი ყარიბი შემოდის და მიმეს საჭმელს სთხოვს. მიმე მას გაგდებას დაუპირებს. გაბრაზებული ყარიბი მიმეს უწინასწარმეტყველებს, რომ მას სიკვდილს ის მოუტანს, ვინც ჯადოსნურ ხმალს – ნოტუნგს – გამოჭედავს, ამ ხმლით დრაკონ ფაფნერს მოკლავს და ჯადოსნურ ბეჭედს ხელში ჩაიგდება. მიმეს კითხვაზე, თუ ვინ იქნება ის, ყარიბი პასუხობს: —4—. ყარიბი ტყეში მიიძალბება. მიმე ხვდება, ვის გულისხმობდა ყარიბი. ამასობაში ზიგფრიდი გამოქვაბულში ბრუნდება. მიმე მისი ძალის თავის სასარგებლოდ გამოყენებას გადაწყვეტს და ზიგფრიდს ეუბნება, რომ ნამდვილ გმირად მას შიშის შეგრძნება აქცევს. ამისთვის დრაკონს უნდა შეებრძოლოს და ჯადოსნური ბეჭედი ხელში ჩაიგდოს; ამაში კი მას ხმალი ნოტუნგი დაეხმარება, რომლის აღდგენა მიმეს არ ძალუძს. ზიგფრიდი ხმლის გამოჭედვას ითავებს: —6—. ის აღადგენს ჯადოსნურ ხმალს – ნოტუნგს. —3—, — ამბობს ის და ხმლის ერთი მოქნევით გრდემლს ამსხვრევს. ზიგფრიდი და მიმე დრაკონი ფაფნერის გამოქვაბულს უახლოვდებიან. მიმე ზიგფრიდს მარტო ტოვებს. ზიგფრიდი რქაზე დაკვრას იწყებს, რითაც დრაკონს აღვიძებს. ის გამოქვაბულიდან გამოდის —2—. ზიგფრიდი უშიშრად მიიწევს დრაკონისკენ. ბრძოლის დროს ზიგფრიდი დრაკონს ხმალს გულში უყრის.

სიკვდილის წინ ფაფნერი საიდუმლოს უმხელს. ის, ვინც ზიგფრიდს მისი მოკვლა შთააგონა, მას სიკვდილს უმზადებს. —5—. — ამ სიტყვებით დრაკონი კვდება. დრაკონის სისხლი ზიგფრიდს ხელზე გადაესხმება. ზიგფრიდი უნებლიეთ სისხლს ენით ალოკავს და ხვდება, რომ ცხოველების ენა ესმის. ზიგფრიდი ფაფნერის გამოქვაბულიდან ბეჭედს იღებს და თითზე იკეთებს. ისმის პატარა ჩიტის ჭიკჭიკი. ჩიტი ზიგფრიდს უყვება, რომ მიმე მას მონამვლას უპირებს. ზიგფრიდი მიმეს კლავს. ჩიტი მას ეუბნება, რომ ნამდვილ გმირად მას სიყვარული აქცევს, ამისათვის კი ჯადოსნურ ძილში მყოფი ბრუნჰილდა უნდა გააღვიძოს. ზიგფრიდი ჩიტს მიჰყვება და ცეცხლოვან გალავანს აწყდება, უშიშრად გადაკვეთს მას და მშვენიერ მძინარე ქალწულს იხილავს. აღფრთოვანებული ზიგფრიდი ქალწულს კოცნის და აღვიძებს. ბრუნჰილდა მოხიბლულია ზიგფრიდის სილამაზით —7—. ახალგაზრდებს უყვარდებათ ერთმანეთი. ბრუნჰილდა სიყვარულისთვის თავის ღვთაებრივ ძალას უარყოფს: —1—. ამიერიდან იგი აღარ არის ქალღმერთი ვალკირია“.

2 აუდიოფაილები: 14-16 გაკვეთილები – აქტივობა 2.

მოსწავლეები ისმენენ სამ აუდიოფრაგმენტს და დაასახელებენ, რომელ ნომრად მოისმინეს ფრაგმენტი, რომელშიც, მათი აზრით, ასახულია საბერველის მუშაობის მექანიზმი.

საბერველის მუშაობის მექანიზმს მიესადაგება მე-2 ნომრად მოსმენილი აუდიოფრაგმენტი.

3 მოსწავლეები ისმენენ ოთხ ფრაგმენტს აუდიოფაილიდან 14-16 გაკვეთილები – აქტივობა 3. მანამდე კი გაეცნობიან ინსტრუქციას, რას უნდა მიაქციონ ყურადღება:

ინსტრუქცია:

ვიდრე ცხრილს შეავსებდეთ, კარგად მოუსმინეთ თითოეული კუპლეტის და მიაქციეთ ყურადღება შემდეგ დეტალებს:

- კუპლეტებს, ცხადია, მოუსმინთ არეული თანმიმდევრობით. დააკვირდით, რომელ ფრაგმენტში აშკარად ისმის სიმღერის დასრულება;
- პირველი და მეოთხე მოკლე კუპლეტებია შეძახილების გარეშე. ამასთან, მეოთხე პირველზე მოკლეა. ამოიცანით ის;
- ცხრილი გადაიტანეთ ფურცელზე და ჩაწერეთ მოსმენილი ფრაგმენტის ნომერი სათანადო უჯრაში.

შევსებული ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

I კუპლეტი	II კუპლეტი	III კუპლეტი	IV კუპლეტი
4	2	3	1

კითხვები:

➤ რა წარმოიდგინეთ ზიგფრიდის სიმღერის მოსმენისას? როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ხმლის ჭედვის პროცესში ზიგფრიდი ცეცხლს აღვივებს?

თუ ასეა, რის მიხედვით ამოიცანით? რა უღერადობით აღწევს კომპოზიტორი ამას? ჩამოთვალეთ მახასიათებლები

(კომპოზიტორი ცეცხლის გაღვივების ეფექტს აღწევს მელოდიური და რიტმული ოსტინატოთი);

➤ როგორ ახასიათებს ზიგფრიდს შეძახილები – „ჰეი-ჰო-ჰა-ჰა“?

სავარაუდო პასუხების ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს: მაღალი წარმომავლობის მიუხედავად, ზიგფრიდი სამჭედლოშია გაზრდილი (მიმესთან), კარგად იცის სამჭედლო საქმე და ხმლის გამოჭედვა მისთვის ერთგვარი სიამოვნებაც კია. ზიგფრიდს ეამაყება, რომ ასეთ დიდებულ ხმალს ჭედავს, რომელიც კეთილშობილურ საქმეს უნდა მოხმარდეს.

➤ ფრაგმენტების მოსმენისას დაგეუფლათ თუ არა ისეთი განწყობა, რომ ზიგფრიდის თითოეულ ქმედებას რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება?

ამჯერად მოსწავლეთა პასუხები ვარაუდებზე იქნება დაფუძნებული.

ამ კითხვაზე მოსწავლეთა უფრო სიღრმისეულ პასუხებს, ალბათ, მომდევნო გაკვეთილზე მივიღებთ, სადაც ხმლის ჭედვის სცენაში ზიგფრიდის ტექსტებია მოცემული და საიდანაც შევიტყობთ, თავად ზიგფრიდი როგორ აღწერს ხმლის ჭედვის პროცესს. ის თითქოს „ესაუბრება“ ხმალს: ნოტუნგ! ნოტუნგ! დიდებულო, საგმირო ხმალო! დავადნე შენი ფოლადი!.. მალე გაბრწყინდება ჩემი ხმალი!.. წყალში ვუშვებ გავარვარებულ ცეცხლის ნაკადს, ის წყალში განრისხებული შიშინებს... წყალში მოყურდა, ამაყად გაშეშდა... მალე დრაკონის სისხლი გაგათბობს... მხიარული შეძახილებიც – „ჰეი-ჰო-ჰა-ჰა“ – ამ ამალღებული განწყობის გამომხატველად შეიძლება მივიჩნიოთ.

4 მოსმენა აუდიოფაილიდან – 14-16 გაკვეთილები – აქტივობა 4.

კითხვები:

- რომელ ფრაგმენტში ისმის ბეჭდისა და ნიბელჰაიმის ლაიტმოტივების ინტონაციები? რაზე მიუთითებს ეს ლაიტმოტივები?
- რომელ ფრაგმენტში ისმის ორკესტრში დაღმავალი ქრომატული სვლები? რა განწყობას გიქმნით ეს ქრომატული სვლები?
- რომელ ფრაგმენტში ისმის მიმეს პარტიაში დაღმავალი ქრომატული სვლა? თქვენი აზრით, რას გადმოსცემს ეს ქრომატული სვლა ამ ფრაგმენტში:
 - ა) მიმეს შიშს;
 - ბ) მიმეს სივერაგეს;
 - გ) მიმეს სიფრთხილეს;
 - დ) მიმეს განაწყენებას ზიგფრიდზე;
 - ე) სხვა.

ინსტრუქცია:

- ჩასვით მოსმენილი ფრაგმენტის ნომერი სათანადო განმარტების უჯრის ცარიელ კვადრატში;
- დააკვირდით ყველა დეტალს (მუსიკალურ მახასიათებელს, გარკვეული შინაარსის ლაიტ-მოტივს), რომელიც სწორი პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.

იხილეთ სწორად შევსებული ცხრილი (ციფრები კვადრატებში მოცემულია აუდიოფაილების ნუმერაციის მიხედვით):

3 მიმეს სცენა	მიმე გეგმას აწყობს, როგორ ჩაიგდოს ხელში ბეჭედი მას შემდეგ, რაც ზიგფრიდი დრაკონს მოკლავს.
1 მიმეს სცენა	მიმეს თავში მოუვიდა ვერაგული აზრი, მოუმზადოს ზიგფრიდს სასმელი, რომელიც მას დააძინებს. აი, მაშინ მიმე მოკლავს ზიგფრიდს მისივე გამოქედლი ხმლით.
2 მიმეს სცენა	მიმე ცდილობს ზიგფრიდის გულის მოგებას. მის ხმაში ისმის ცრუ ალერსის ინტონაციები. ის ზიგფრიდს გემრიელ წვნიანს უმზადებს.


ქვემოთ მოცემულია მიმეს რამდენიმე ფრაზა. თქვენი აზრით, მიმეს რომელი ფრაზა ისმის ამ ფრაგმენტში? გადაიტანეთ რვეულში/ფურცელზე და აღნიშნეთ ✓ ნიშნით (იგულისხმება ის ფრაგმენტი, რომელშიც მოსწავლეებმა ქრომატული სვლები ამოიცნეს (აუდიოფაილი 1)):

☐	განძს და ბეჭედს ნახავს დრაკონის ბუდეში. როგორ დავეუფლო, როგორ ნავართვა?
☒	თავისივე შექმნილი იარაღით გზიდან მოვიშორებ და ბეჭედს სხვა განძთან ერთად მოვიპოვებ.
☐	შერცხვენილი ვარ, როგორც მჭედელი. მოსწავლემ მასწავლებელს გაკვეთილი ჩაუტარა.

მოსწავლეთა ვარაუდები ინდივიდუალური იქნება, მათი ინტუიციიდან, პერსონაჟის ინტონაციიდან გამომდინარე. კარგი იქნება, თუ მათგან მოვისმენთ მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით მსჯელობას, ახსნიან, რის მიხედვით დაასკვნეს ასე. მაგალითად, დაღმავალი ქრომატული სვლა რის ასოციაციას იწვევს მათში და ა. შ.

მოუსმინეთ ხმლის ჭედვის სცენის პირველ ნაწილს, რომელშიც ზიგფრიდი ნოტუნგის ნაწილებს ადნობს და ყალიბში ასხამს. გამოიცანით ამ სცენის ყველა ფრაგმენტი და დააღაგეთ იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც გაჟღერდა სცენაში. ჩანერეთ ცარიელ უჯრებში ფრაგმენტების სათანადო ნომრები.


მე-17 გაკვეთილის აუდიოფაილებში მოცემული გვაქვს ხმლის ჭედვის სცენის მთლიანი მონაკვეთი, აგრეთვე, ცალკე საქალაღდეშა ამ სცენიდან ამოჭრილი აუდიოფრაგმენტები („სქემისთვის გამზადებული“). მოსწავლეები ჩაინიშნავენ, რომელ ნომრად მოისმინეს ის მუსიკალური ფრაგმენტი, რომელიც უნდა ჩასვან შესაბამის კვადრატში. **ქვემოთ მოცემულ ნიმუშში ციფრები პირობითია:**



შენიშვნა: მოსწავლეები ამ პრინციპით იხელმძღვანელებენ და შეასრულებენ კომპლექსურ დავალებას. ვინაიდან ყველა კომპლექსური დავალების პრეზენტაცია შემაჯამებელ გაკვეთილზე ვერ მოხერხდება, სასურველია, მოსწავლეების ნაწილმა თავიანთი ნაშრომები წარმოადგინონ სასწავლო პროცესში, I თავის ბოლო შემაჯამებელ გაკვეთილამდე.

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, შეაჯამონ თავიანთი ცოდნა ოპერის შესახებ, ილუსტრაციების მიხედვით თხრობით ან წერილობით გადმოსცენ ტეტრალოგიის ერთ-ერთი ოპერის – „ზიგფრიდის“ – მოკლე შინაარსი. ამაში მათ მასწავლებლის მიერ მოთხრობილი მოკლე შინაარსი და სახელმძღვანელოს №14-16 გაკვეთილებზე გაცნობილი ტექსტური მასალა დაეხმარებათ. მოსწავლეები იმ ტექსტიდან ილუსტრაციების მიხედვით ამოკრებენ ზოგიერთ დეტალს და დანომრავენ ილუსტრაციებს:

1. ალბერხის ძმა – მიმე – თავის გამოქვაბულში ხმლის გამოჭედვას ცდილობს.
 2. ზიგფრიდი ეჭვობს, რომ მიმე არ შეიძლება, მისი მამა იყოს. მიმე ზიგფრიდს მის წარმომავლობას უმხელს: ზიგფრიდის ფეხმძიმე დედა ტყიდან თავის გამოქვაბულში გადაიყვანა, სადაც ის მშობიარობას გადაჰყვა. სიკვდილის წინ ქალმა მიმეს პირობა დაადებინა, რომ ბავშვს ზიგფრიდს დაარქმევდა და გაზრდიდა.
 3. მიმემ პირობა შეასრულა.
 4. ზიგფრიდი ხმლის გამოჭედვას ითავებს: ის აღადგენს ჯადოსნურ ხმალს – ნოტუნგს და დრაკონის მოსაკლავად მიდის.
 5. ბრძოლის დროს ზიგფრიდი დრაკონს ხმალს გულში უყრის. მომაკვდავი დრაკონი ზიგფრიდს გაუმხელს მშვენიერი ასულის – ვალკირია ბრუნჰილდას – ადგილსამყოფელს.
 6. ზიგფრიდი ჩიტს მიჰყვება... ცეცხლოვან გალავანს უშიშრად გადაკვეთს და მშვენიერ მძინარე ქალწულს იხილავს. აღფრთოვანებული ზიგფრიდი ქალწულს კოცნის და აღვიძებს.
 7. ბრუნჰილდა მოხიბლულია ზიგფრიდის ხილვით. ის სიყვარულისთვის თავის ღვთაებრივ ძალას უარყოფს: ამიერიდან იგი აღარ არის ქალღმერთი ვალკირია.
- შესაბამისად, ილუსტრაციებიც ასევე დაინომრება:



კომპლექსური დავალება
რიჰარდ ვაგნერი – „ნიბელუნგის ბეჭედი“
ხმლის ჭედვის სცენა

მოისმინეთ ხმლის ჭედვის სცენის მეორე ნაწილი, შეადგინეთ სქემა და სქემაში ჩასვით სათანადო ფრაზები.

ინსტრუქცია
სქემაში ასახეთ:

- რამდენ ფრაგმენტად დაანაწილეთ ეს სცენა;
- ფრაგმენტები აღნიშნეთ ოთხკუთხედებად და დაასათაურეთ („ზიგფრიდის სიმღერა“, „მიმეს სცენა“ „ზიგფრიდისა და მიმეს დიალოგი“);
- როგორ გადაახარისხეთ ეს ფრაგმენტები მოქმედ პირთა მიხედვით (იხ. აქტივობა 12);
- რომელი ფრაგმენტი რომელს მოჰყვება (ამის წარმოსაჩენად შეაერთეთ ეს ოთხკუთხედები ხაზებით);
- ფრაგმენტი, რომელშიც მოქმედ პირთა შორის დიალოგია, აღნიშნეთ უფრო დიდი ოთხკუთხედით (იხ. აქტივობა 12);
- რომელ პერსონაჟს ეკუთვნის ქვემოთ მოცემული ტექსტები (ჩასვით თქვენ მიერ გამოკვეთილი ფრაგმენტების ოთხკუთხედებში სათანადო ტექსტების ლიტერი. დააკვირდით, ამ ტექსტებში არის მითითება იმ ნიშნებზე, რომლებიც მუსიკაში გადმოცემულია ლაიტმოტივების სახით. ეს თქვენ ტექსტის ლიტერის სათანადო ოთხკუთხედში ჩასმაში დაგეხმარებათ).

პრეზენტაციის დროს ხაზი გაუსვით:

- გააცანით კლასს თქვენი სქემა (ახსენით, რამდენ ფრაგმენტად დაანაწილეთ სცენა, როგორ დაასათაურეთ თითოეული ფრაგმენტი და ა.შ.);
- რომელ ფრაგმენტს რომელი ტექსტი მიუსადაგეთ;
- რის მიხედვით მიუსადაგეთ ეს ტექსტები ფრაგმენტებს;
- ამ სცენაში გამოყენებულ მუსიკალურ ხერხებზე დაყრდნობით, იმსჯელეთ, რა სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს კომპოზიტორი ხმლის ჭედვის სცენას. არგუმენტებად ასევე მოიყვანეთ მაგალითები იმ აქტივობებიდან, რომლებიც უკვე გავლილი გაქვთ.

კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელს შეუძლია გააცნოს/აჩვენოს მოსწავლეებს ხმლის ჭედვის მთლიანი სცენის ვიდეოფაილი – ხმლის ჭედვა), რომელიც მოცემული გვაქვს მე-17-მე-18 გაკვეთილების ელექტრონულ რესურსებში. მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ, შეამოწმონ შესრულებული დავალება და ისაუბრონ, ვიდეოკადრების ნახვის შემდეგ შეცვლიდნენ თუ არა რაიმეს თავიანთ ნაშრომში და, კერძოდ, რას.

შეფასების კრიტერიუმები

იცავს სქემის აგების პრინციპებს	2
ხსნის პრინციპებს, რომელთა მიხედვით აქვს აგებული სქემა	1
მართებულად მოჰყავს სქემის თითოეული კომპონენტის მუსიკალური მაგალითები	2
სთავაზობს მუსიკალური ფრაგმენტის საკუთარ ორიგინალურ ინტერპრეტაციას	3
მოჰყავს არგუმენტები საკუთარი ინტერპრეტაციის დასაცავად	1
იცავს რეგლამენტს და მიჰყვება პრეზენტაციის გეგმას	1

მითოლოგია XX-XXI საუკუნეების მუსიკაში

1 შესავალი:

ძნელი მოსაძებნია თანამედროვე ადამიანის საქმიანობის ისეთი სფერო, რომელშიც არ იგრძნობა ანტიკური კულტურის გავლენა – იქნება ეს პოლიტიკა, მედიცინა, ფილოსოფია, მათემატიკა, სპორტი თუ ხელოვნება. ძველი მითოლოგია კი ამ კულტურის ყველაზე ნათელი გამოვლინებაა, რომელმაც უზარმაზარი გავლენა იქონია მსოფლიო ცივილიზაციისა და ხელოვნების ჩამოყალიბებაზე. ამ თვალსაზრისით მისი როლი ძნელად შესაფასებელია, რადგანაც სწორედ ანტიკური კულტურა გახლავთ ის ფუნდამენტი, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ევროპული საზოგადოების მშენებლობას.

მითოლოგიური თემები ყოველთვის იყო კომპოზიტორების შთაგონების წყარო. შექმნილია არაერთი შესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოები – ინსტრუმენტული, პროგრამული, მსხვილი ფორმის ვოკალურ-ინსტრუმენტული, რომელთაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს კლასიკურ თუ თანამედროვე მუსიკალურ ხელოვნებაში.

XX-XXI საუკუნეების მუსიკამ აბსოლუტურად ახალი ჰორიზონტები გახსნა მანამდე არსებული საგან სრულიად განსხვავებული და მრავალფეროვანი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გამოყენების თვალსაზრისით. შეიცვალა მუსიკალური აზროვნება, შეიცვალა წარმოდგენები იმაზე, თუ რას უნდა ვუწოდოთ მუსიკა. ბუნებრივია, რომ გაჩნდა მუსიკალური ენის ახალი ნიშნები, რომელთა ამოკითხვის სწავლა მსმენელს ახლიდან მოუწია. ხშირ შემთხვევაში, ამ ნიშნების შინაარსის ამოკითხვა შეუძლებელია თავად კომპოზიტორის მითითებების გარეშე. მართლაც, XX-XXI საუკუნეების კომპოზიტორების უმრავლესობას დაწერილი აქვს უამრავი წიგნი თუ სტატია, რომლებიც მათ საკუთარი ხედვის, სტილის, გამომსახველობითი ხერხების განმარტებას მიუძღვნეს. მითის ენა განსაკუთრებით აქტუალური ხდება ამ პერიოდის მუსიკისთვის.

მიუხედავად მუსიკალური სტილების სიჭრელისა და სიმრავლისა, მაინც შევეცადოთ გავერკვეთ თანამედროვე მუსიკის მთავარ მახასიათებლებში.

მაშ ასე, ვიდრე თანამედროვე მუსიკაში მითის როლზე ვისაუბრებდეთ, მოვუსმინოთ ბოლო დროის ყველაზე გამოჩენილი კომპოზიტორების ნაწარმოებების ფრაგმენტებს, რომლებშიც თანამედროვე მუსიკის საბაზო მახასიათებლები ყველაზე მკაფიოდაა გამოხატული.

მოსწავლის წიგნში მოზარდები ეცნობიან თანამედროვე მუსიკის საბაზო მახასიათებლებს:


ა)	ახალი ჟღერადობების შექმნა; უკვე კარგად ცნობილი ინსტრუმენტების ტემბრალური შესაძლებლობების გაფართოება, რაც ხმის გამოცემის ახალი ხერხებით მიიღწევა;	1
ბ)	ბგერის სპექტრის (მისი წარმოშობის, სიხშირეების, რხევის, ტემბრის, მისი ჟღერადობის დაწყებისა და დასრულების და ა.შ.) სხვადასხვა მუსიკალური ხერხით გადმოცემა;	3
გ)	ჟღერადობის სივრცის გაფართოება აუდიოჩანაწერისა და ცოცხალი შესრულების ერთდროულად გაჟღერების გზით;	2
დ)	დროისა და სივრცის შეკუმშვა-გაფართოება სხვადასხვა რიტმო-ინტონაციური პატერნების* (დაჯგუფებების) მონაცვლეობის გზით.	4

მოსწავლეები I აქტივობის აუდიოფაილებიდან ისმენენ ოთხ მუსიკალურ ფრაგმენტს და მახასიათებლის აღწერას მიუწერენ იმ ფრაგმენტის ნომერს, რომელშიც, მათი აზრით, ეს მახასიათებელი ყველაზე მკაფიოდაა გამოხატული (შესაძლო პასუხების ციფრები ჩანერილია კვადრატებში. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები სხვაგვარად მიუსადაგებენ მოსმენილი ფრაგმენტების ნომრებს, ისინი ახსნიან თავიანთ პასუხებს).

კითხვაზე – რა ჯგუფის ინსტრუმენტებია ამ ფრაგმენტებში წარმოდგენილი? – პასუხი იქნება – ჩასაბერი საკრავები.

2 მოსწავლეები კიდევ ერთხელ მოისმენენ იმავე ფრაგმენტებს და შეეცდებიან, თითოეული მათგანი მიუსადაგონ სახელმძღვანელოში განთავსებულ ილუსტრაციებს: ჰერმესი, იკაროსი, ორფევსი, ანუბისი; უპასუხებენ სახელმძღვანელოში დასმულ კითხვებს.

მოსმენილი აუდიოფრაგმენტების ნუმერაციის მიხედვით ილუსტრაციები და მუსიკალური ფრაგმენტები ერთმანეთთან ასე დაკავშირდება:



ჰერმესი



იკაროსი



ორფევსი



ანუბისი

***პატერნი** (ინგლ. **pattern**) – ნიმუში, შაბლონი – სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის პარტიების წინასწარ დაპროგრამებული, თანმიმდევრული (განმეორებადი) ჟღერადობის ერთიანობა (დაჯგუფება). სემპლისგან განსხვავებით, პატერნი მუსიკალური ტრეკის უფრო რთული მონაკვეთია. ის შეიძლება მრავალი სემპლისგან შედგებოდეს და მისი ხანგრძლივობა შეზღუდული არაა.

ზოგადი ინფორმაცია განსახილველ მითებზე:



ორფეუსი დიდი მომღერალი, მდინარის ღმერთ ეაგროსისა და მუზა კალიოპეს შვილი იყო (ზოგი ვარიანტით, აპოლონისა და მუზა კალიოპეს ვაჟი). მთელი ბუნება ტკბებოდა მისი სიმღერით. ისე იპყრობდა მსმენელთა გულებს, რომ მის გარშემო მონუსხულივით მოზღვავდებოდა უთვალავი ნადირი. ტყეებიდან და მთებიდან სასმენად მოდიოდნენ მხეცნი, მოფრინავდნენ ფრინველები, ხეებიც კი იძროდნენ ადგილებიდან და ორფეუსს გარს ეხვეოდნენ. არც ერთი ტოტი, არც ერთი ფოთოლი არ ირხეოდა. მთელი ბუნება მოხიბლული იყო ორფეუსის კითარის ჟღერითა და მისი მფლო-

ბელის საკვირველი სიმღერით.

მას ცოლად ჰყავდა მშვენიერი ნიმფა ევრიდიკე, რომელიც მხურვალედ უყვარდა, მაგრამ ის დიდხანს არ დამტკბარა ბედნიერი ცხოვრებით საყვარელ ცოლთან. ერთხელ, მეგობარ ნიმფებთან ერთად მდელივზე ყვავილების შეგროვებისას ევრიდიკეს შხამიანმა გველმა უკბინა და გარდაიცვალა.

დიდხანს დასტიროდა თავის ევრიდიკეს ორფეუსი. მისი ნაღვლიანი კითარის ხმის მოსმენისას მასთან ერთად ტიროდა მთელი ბუნება.

სასონარკვეთილ ორფეუსს არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ განუზომელ უბედურებას და გადაწყვიტა მიცვალებულთა სამეფოში ჩასვლა – ჰადესსა და მის მეუღლეს – პერსეფონეს – შევევედრები, იქნებ ცოლი დამიბრუნონო. წინააღმდეგობების მიუხედავად, ორფეუსმა შეძლო თავისი მომნუსხავი მუსიკის მეშვეობით მიეღო თანხმობა, რომ ევრიდიკე მიწისქვეშეთიდან გამოეყვანა, მხოლოდ იმ პირობით, რომ სანამ ქვესკნელს არ გასცდებოდნენ, უკან არ მოეხედა. მაგრამ ორფეუსმა ვერ მოითმინა, უკან მიიხედა დასარწმუნებლად, რომ ევრიდიკე მოჰყვებოდა. იმწამსვე ევრიდიკეს ლანდი გაქრა და ორფეუსმა ახლა უკვე სამუდამოდ დაკარგა საყვარელი მეუღლე.



ჰერმესი – მესაქონლეობის ღმერთი, მწყემსთა მფარველია; ამას გარდა, ის აცილებს ჰადესში მიცვალებულთა სულებს; იგი ითვლება აგრეთვე ოლიმპიელი ღმერთების შიკრიკად, ზევსის მოამბედ, ელჩთა, მაცნეთა, ვაჭრობისა და ვაჭართა, მგზავრთა და მოგზაურთა მფარველ ღვთაებად; მითების მიხედვით, ჰერმესი არის აგრეთვე დახელოვნებული ქურდი და ქურდების შემწე.

მოხერხებული, მკვირცხლი, ფეხმარდი ჰერმესი, ზევსისა და მაიას მშვენიერი ვაჟიშვილია, აზრივით სწრაფად მსრბოლი ჭაბუკი ღმერთი, ჯერ კიდევ ბავშვობაში რომ გამოიჩინა თავი ეშმაკობითა და მოხერხებით, ახალგაზრდული ძალის განსახიერებად ითვლებოდა. ჰერმესი ახალგაზრდა მძლეოსანთა ღმერთიცაა. მას მოუხმობდნენ საშველად ჭიდაობასა და სწრაფ სირბილში შეჯიბრების წინ.

ვინ არ სცემდა თავყანს ჰერმესს ძველ საბერძნეთში: მგზავრი, ორატორი, ვაჭარი, მძლეოსანი და, ასე განსაჯეთ, ქურდიც კი. ბერძნებს ჰერმესი ბედნიერების მომტან ღვთაებად მიაჩნდათ.

ღვთაებას მუდამ თან დაჰქონდა ოქროს კვერთხი — კერიკეონი. ამ კვერთხით ხელში აღასრულებდა იგი თავის უწმინდეს მოვალეობას: მიცვალებულთა სულებს მიაცილებდა ჰადესში. სახელიც შესაბამისი შეარქვეს – ფსიქოპოპოსი ანუ სულთა გამცილებელი.

მჭევრმეტყველთა და მჭევრმეტყველების მფარველ ღვთაებადაც მიაჩნდათ იგი. ჰერმესი ბერძნული სამყაროს უსაყვარლესი ღმერთი იყო. იგი არა მხოლოდ კეთილ საქმეებს მფარველობდა, არამედ ისეთ საქმეებსაც, რომლებიც ღმერთთათვის შეუფერებელი ჩანდა. მითების მიხედვით, ქურდებისა და ოინბაზების შემწე იყო და ამ თვისებით გამოირჩეოდა ბერძნულ პანთეონში. ჰერმესის ატრიბუტებია: სამგზავრო ქუდი „პეტატოსი“, ფრთიანი სანდლები „პედილა“ და გველებშემოგრაგნილი ან ბაფთებით შემკული კვერთხი „კერიკეონი“. ჰერმესს ზოგჯერ ქისა უკავია ხელში და ამ შემთხვევაში ვაჭართა და ვაჭ-

რობის მფარველ ღვთაებას განასახიერებს. ის აგრეთვე მიიჩნევა გზათა და მოგზაურთა მფარველ ღვთაებად; ამიტომაც, რომ ჰერმესის გამოსახულებები გვხვდება ბანკების, სავაჭრო ფირმათა თუ გემების ემბლემებზეც.

უძველეს ხალხთა უმრავლესობისთვის ფრენა საკრალურ საიდუმლოს წარმოადგენდა. ისინი ფრენის უნარს ღმერთებსა და მაგიურ ქმნილებათა სამეფოს მიაწერდნენ. სიყვარულის ღმერთი ეროსი ძველ ბერძნებს ფრთიანი არსების სახით წარმოედგინათ. მერკურს, რომელთა ვაჭრობის ღვთაებას, გამოსახავდნენ ფრთიანი ქუდითა და სანდლებით. ფრთოსანი ღვთაებები სხვა კულტურათა მითებსა და ლეგენდებშიცაა მოხსენიებული. ლეგენდა გვიყვება, თითქოს იმპერატორი შუნი თავის დომინიონებს შორის დაფრინავდა ლერწმის ორი ქუდით, რომლებიც მას პარაშუტის მაგივრობას უწევდა. კომიქსების პერსონაჟები, როგორებიცაა სუპერმენი, ბეტმენი, ადამიანი-ობობა, თორი და კაპიტანი მარველი, ფრენასთან დაკავშირებული ფანტასტიკის თანამედროვე მაგალითებია.



დედალოსი თავის ვაჟთან, **იკაროსთან**, ერთად კუნძულ კრეტაზე გაემგზავრა. როგორც ათენის უდიდესი მხატვარი, მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი, იქ იგი მეფე მინოსის უსასრულო გასასვლელების მქონე ლაბირინთის მშენებლობაში მონაწილეობდა. ამ ლაბირინთის ცენტრში ცხოვრობდა მინოტავრი, მძვინვარე არსება, ნახევრად ხარი და ნახევრად კაცი. მანვე მისცა მინოსის ქალიშვილს, არიადნეს, ძაფის გორგალი, რომლის მეშვეობითაც თეზევსმა მინოტავრის მოკვლის შემდეგ თავი დააღწია ლაბირინთს. ამით განრისხებულმა მინოსმა დედალოსი და მისი ვაჟი იმით დასაჯა, რომ ლაბირინთში გამოამწყვდია. მაშინ დედალოსმა, შეშინებულმა, რომ მეფე მინოსი მას

ალარ გაუშვებდა, ერთმანეთთან სელის ძაფითა და ცვილით დაკავშირებული ბუმბულის ფრთები დაამზადა, რომლებიც თვითონაც შეიბა და იკაროსსაც შეაბა მხრებზე. მამაშვილი მალე გაფრინდა, მაგრამ ცაში ფრენით აღტაცებულმა იკაროსმა არ გაითვალისწინა მამის დარიგება, რომ არც ძალიან მაღლა აფრენილიყო, მზესთან ახლოს, და არც დაბლა, წყლის ტალღებთან დაშვებულიყო, რათა ფრთები არ დაეზიანებინა. ფრენის ემბოში შესულმა იკაროსმა ველარ მოზომა და ძალიან მაღლა აფრინდა. მზის სიმსზურვალემ ცვილი დაადნო, უფრთებოდ დარჩენილი იკაროსი კი ზღვაში ჩავარდა და დაიხრჩო. როცა ზღვამ იკაროსის სხეული კუნძულზე გამოირიყა, სასონარკვეთილმა მამამ შვილის ცხედარი იქვე დაკრძალა.

ანუბისი ძველეგვიპტური სიკვდილის ღმერთია. მას გამოსახავდნენ ტურისტავიანი ადამიანის, ან, უბრალოდ, ტურის სახით. ღმერთი ყოველთვის შავ ფერებში იხატებოდა, რადგან შავი დაკავშირებული იყო განადგურებასა და შემდეგ თავიდან დაბადებასთან. მისი ერთ-ერთი ტიტული „სასწორის მცველია“, რადგან სწორედ ანუბისი დებდა მიცვალებულის გულს სასწორზე; თუ ცოდვებით დამძიმებული გული მათის ბუმბულს გადაწვნიდა, მაშინ სულს ურჩხული აპოპისი შთანთქავდა, თუ გული ბუმბულზე მსუბუქი აღმოჩნდებოდა, მაშინ ის სამოთხეში, ოსირისის სამფლობელოში გადაინაცვლებდა.

ანუბისის მთავარი ფუნქცია ძველ ეგვიპტურ მითოლოგიაში, მიცვალებულთა სხეულის ბალზამირება, მათი სულების გაცილება იმქვეყნიურ სამყაროში და აკლდამის დაცვაა. სწორედ ამიტომ, ქურუმები ბალზამირების პროცესში ტურის ნიღაბს ატარებდნენ. ყოველ ეგვიპტელს სჯეროდა, რომ სამარხების მძარცველნი ანუბისის რისხვას ვერ გაეცეოდნენ, რადგან ისინი სწორედ მის სამფლობელოში იჭრებოდნენ.



კითხვა:

➤ მუსიკის რომელი მახასიათებლის მიხედვით დაუკავშირეთ ფრაგმენტები პერსონაჟებს? ახსენით, რატომ.

სთხოვეთ მოსწავლეებს, ისაუბრონ მოსმენილი მუსიკის ირგვლივ მახასიათებლების, განწყობის მიხედვით; გამოიყენონ ყველა ნასწავლი ტერმინი და ისაუბრონ მოსმენილ ფრაგმენტების მუსიკალურ მახასიათებლებზე, მაგალითად, დაბალი/მაღალი რეგისტრი, ძლიერი ბგერა, მელოდიური ხაზი, ჰარმონია, რიტმი – ერთგვაროვანი/არაერთგვაროვანი, ტემპი, რიტმი...

მოსწავლეთა აზრთა მსვლელობის ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება იყოს:

I ფაილი – ორფეუსი – ფლეიტის ტემბრი მაღალ რეგისტრში თითქოს ორფეუსის, როგორც უდიდესი მუსიკოსის, თავისი ხელოვნებით ყველა სულიერი არსების გულთა მპყრობელის, სახეს ქმნის; განწყობა მიიღწევა მშვიდი ტემპით. მსუბუქი, დანაწევრებული მელოდია მაღალ რეგისტრში ევრიდიკეს დაკარგვის გამო ორფეუსის დიდი სულიერი ტანჯვის მაუწყებელია, ამიტომ სევდის, შფოთვის, წუხილის განწყობას ქმნის.

II ფაილი – იკაროსი – ძლიერი ბგერა, სპილენძის საკრავების მკვეთრი ჟღერადობა, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მკვეთრ სინკოპირებულ რიტმზე; ჰარმონიაში შეიმჩნევა დისონანსური ჟღერადობაც, მელოდიური ხაზს განაპირობებს წყვეტილი, სინკოპირებული რიტმული ოსტინატო. ეს მახასიათებლები იკაროსის ყოვლისმომცველ, სიცოცხლისთვის სახიფათო სიმაღლისკენ სწრაფვის დაუოკებელ სურვილს გადმოსცემს.

III ფაილი – ჰერმესი – ფლეიტის მაღალი რეგისტრის ბგერები, საკრავის ბგერათწარმოქმნის უჩვეულო, ახლებური ტექნიკა ხშირად ქმნის ცივ, უტემბრო (თითქოს ელექტრონულ) ჟღერადობას, რაც ჰერმესის ცბიერ, მრავალსახოვან, ამოუცნობ ხასიათს წარმოაჩენს.

IV ფაილი – ანუბისი – გაურკვეველი სიმაღლის ბგერების მძიმე სვლები დაბალ რეგისტრში, მელოდიის არარსებობა, არაერთგვაროვანი რიტმი და უსიამოვნო ტემბრი მიცვალებულთა საუფლოს შთაბეჭდილებას ქმნის.

შეიძლება მოსწავლეების პასუხები სხვადასხვაგვარი იყოს, ეს დამოკიდებულია მათ ფანტაზიასა და შეგრძნებებზე. მაგალითად, მუსიკალური ფრაგმენტები, ზემოთ მოყვანილი მაგალითებისგან განსხვავებით, სხვანაირად გადაანაწილონ მითოლოგიურ პერსონაჟებზე და მუსიკალური მახასიათებლები პერსონაჟების სულ სხვა მახასიათებლებს დაუკავშირონ. მთავარია, მათ მიეცეთ საშუალება, რაც შეიძლება მეტი ისაუბრონ მუსიკალურ მახასიათებლებსა და დეტალებზე, რომელთა მიხედვითაც მათ დაუკავშირეს მუსიკა ამა თუ იმ პერსონაჟს.

➤ თქვენი პასუხების მიხედვით, მუსიკის რომელი მახასიათებლები იჩენს თავს ამ ფრაგმენტებში? აღნიშნეთ სათანადო მახასიათებლები ცხრილში ✓ ნიშნით.

აუდიო №	ბგერა	რიტმი	მელოდია	ჰარმონია	ფორმა	ჟანრი
1	✓	✓	✓	–	–	–
2	✓	✓	–	✓	–	–
3	✓	–	✓	–	–	–
4	✓	–	–	–	–	–

ვიდრე ცხრილის შევსებას შეუდგებიან, მოსწავლეები აუდიოფაილიდან კვლავ ისმენენ იმავე ფრაგმენტებს და დააკვირდებიან მუსიკის მახასიათებლებს.

მასწავლებლის კითხვები ცხრილის შევსების შემდეგ:

➤ თქვენი აზრით, რომელი მახასიათებლები საერთოდ არ გამოკვეთილა ამ ფრაგმენტებში? მოსწავლეები შევსებული ცხრილის მიხედვით უპასუხებენ, რომ **ფორმა და ჟანრი არ გამოკვეთილა არცერთ მუსიკალურ ფრაგმენტში**. ჰარმონია სოლო შესრულებაში არც შეიძლება იყოს,

ის მხოლოდ საორკესტრო ფრაგმენტშია – №2 აუდიოფაილში (ჰერმესი). მელოდია, როგორც დასრულებული აზრი, არცერთ აუდიოფაილში არ არის, მაგრამ მეტნაკლებად, დანაწევრებული სახით, თავი იჩინა 1-ელ და მე-3 აუდიოფრაგმენტებში (ორფეუსი, იკაროსი).

➤ მუსიკის რომელი მახასიათებელი ჩანს ყველაზე მკაფიოდ ყველა ფრაგმენტში? ახსენით, რატომ; პასუხი იქნება – ბგერა.

20

მოსწავლეები ისმენენ ფრაგმენტებს ცნობილი შოტლანდიელი კომპოზიტორის, თეა მას-გრევის, ნაწარმოებიდან „ორფეუსი“, აუდიოფაილიდან: 20. გაკვეთილი – ორფეუსი.

მოსწავლეები ტექსტში მოცემული ორფეუსის ისტორიის დეტალებს მიუწერენ იმ აუდიო-ფრაგმენტის ნომერს, რომელშიც, მათი აზრით, გადმოცემულია ეს კონკრეტული დეტალები.

იხილეთ ნიმუში (მოსწავლეებმა თავად უნდა განსაზღვრონ, თავიანთი შეგრძნების მიხედვით ამოიცნონ, რომელი მუსიკალური ფრაგმენტი რომელ სიუჟეტურ დეტალს მიუსადაგონ და ახსნან, რის მიხედვით ჩაწერეს მოსმენილი ფაილის ნომერი). ნიმუში:

ორფეუსი

ორფეუსი, სახელგანთქმული პოეტი და მუსიკოსი --5--, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსიით, მდინარის თრაკიელი ღმერთის, ეაგროსის და მუზა კალიოპეს ვაჟი იყო. მისი სიმღერისა და ღირაზე დაკვრის მაგიური ძალა --3-- თვით უზენაეს ღმერთებზე საოცარ გავლენას ახდენდა. ორფეუსისთვის კი ყველაზე ძვირფასი მისი მეუღლე ევრიდიკე იყო --4--.

ორფეუსს ისე ძლიერ უყვარდა ევრიდიკე, რომ მისი სიკვდილის შემდეგ თავის მეუღლეს ქვესკნელში გაჰყვა --1-- და თავისი დაკვრით ქვესკნელის ღმერთი ჰადესი მოხიბლა. ჰადესმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. მან ნება დართო ევრიდიკეს, ორფეუსს გაჰყოლოდა ცოცხალთა სამყაროში, მხოლოდ ერთი პირობით: ორფეუსს არ უნდა შეეხედა მეუღლისთვის, ვიდრე ისინი ქვესკნელიდან არ გამოვიდოდნენ.

ორფეუსმა ვერ გაუძლო ცდუნებას და მეუღლეს მაინც შეხედა, რის გამოც ევრიდიკეს კვლავ მკვდრების საუფლოში დაბრუნება მოუწია --2--.

მოსწავლის წიგნში დასმულია კითხვები, რომლებზეც პასუხები ინდივიდუალური იქნება. მოსწავლეების დამატებითი კითხვები:

➤ რომელ ფრაგმენტში ისმის ფლევითი უჩვეულო ტექნიკით გაჟღერებული ბგერების დაღმავალი სვლა? თქვენი აზრით, რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს ამ დაღმავალ სვლას?

(სავარაუდო პასუხის ვარიანტი: მე-5 აუდიოფრაგმენტში); ტემბრით, ტემპით, დაბალი რეგისტრში დაღმავალი სვლებით იქმნება განწყობა, თითქოს ორფეუსი ქვესკნელში ჩადის ევრიდიკეს გამოსახსნელად.

➤ მოისმინეთ ფრაგმენტები გლუკის ნაწარმოებიდან „ორფეუსი და ევრიდიკე“ და ამოიცანით, რომელ ფრაგმენტში გაჟღერდა მისი ციტატა **(პასუხი: 1-ში)**.

➤ როგორ ფიქრობთ, რა შინაარსობრივი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ამ მუსიკალურ ციტატას? – **ორფეოსის და ევრიდიკეს სიყვარულის თემა, განშორების სევდა და სხვა ვარიანტები, რომლებიც კი შეიძლება მოსწავლეებმა შემოგვთავაზონ. ყველა პასუხი მისაღებია;**

➤ თანამედროვე მუსიკის რომელ მახასიათებელს უკავშირდება ყველა ეს მხატვრული ხერხი? **(პასუხი: – ა) ახალი ჟღერადობების შექმნა. უკვე კარგად ცნობილი ინსტრუმენტების ტემბრალური შესაძლებლობების გაფართოება, რომელიც ხმის გამოცემის ახალი ხერხებით მიიღწევა; გ) ჟღერადობის სივრცის გაფართოება აუდიოჩანაწერისა და ცოცხალი შესრულების ერთდროულად გაჟღერების გზით. ცხრილი იხილეთ გვ. 48-ზე).**

მოსწავლეები ისმენენ ოთხ აუდიოფრაგმენტს – 21-ე გაკვეთილი – ჰერმესი.

მოსწავლეები ისმენენ ფრაგმენტებს გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორის – **სალვატორე შარინოს** – ნაწარმოებიდან „ჰერმესი“. მიჰყვებიან სახელმძღვანელოში მოცემულ ინსტრუქციას:

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და მიაქციეთ ყურადღება, რაზე კეთდება აქცენტი. ტექსტში მოცემული თითოეული მახასიათებლის შემდეგ მითითებულ ადგილას ჩასვით იმ ფრაგმენტის ნომერი, რომელშიც, თქვენი აზრით, გადმოცემულია ეს მახასიათებელი (გაითვალისწინეთ, ჩვენ მიერ ნიმუშად ჩასმული ციფრები პირობითია. მოსწავლეები თავიანთი შეგრძნების მიხედვით გააკეთებენ მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების ნუმერაციას).

ჰერმესი

ჰერმესი გაცვლითი ოპერაციების, ერთი მდგომარეობიდან სხვა მდგომარეობაში გადასვლის (ტრანსფორმაციის) ღმერთია. აქედან გამომდინარე, იგი ვაჭრობის, სხვადასხვა სპეკულაციების მფარველიცაა –2–, რადგან ყველა ეს საქმიანობა უკავშირდება გაცვლას, საგნის გადაცემას ერთი ხელიდან მეორეში. ის აგრეთვე მძლეოსნობის მფარველია –1–, რადგან ორთაბრძოლის დროს ხდება ენერგიების გაცვლა. დაბოლოს, ჰერმესი ცოცხალთა –4– და გარდაცვლილთა –3– სამყაროებს შორის შუამავალი ღვთაებაცაა (რადგან ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლის დროს ხდება ტრანსფორმაცია).

დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები თავიანთ პასუხებს გააცნობენ თანაკლასელებს და შეადარებენ ერთმანეთის მოსაზრებებს.

აუდიოფრაგმენტების მოსმენის შემდეგ მასწავლებლის კითხვები:

➤ თქვენი აზრით, რომელ ფრაგმენტში ისმის ე. წ. ცივი, უტემბრო ხმა? დაასახელეთ მოსმენილი აუდიოფაილის ნომერი (**პასუხი – აუდიოფრაგმენტი №3**).

➤ რომელ ფრაგმენტში ისმის ინსტრუმენტის სწრაფი ტემბრალური ცვლილებები? (**პასუხი: მე-3 აუდიოფრაგმენტი**).

ტექსტის სიუჟეტური დეტალების რომელ მახასიათებლებს მიუსადაგებთ მოსმენილ მუსიკას?

➤ როგორ აღწერდით ხმის იმ ტემბრალურ შეფერილობას, რომელიც ვაჭრობასა და სპეკულაციას დაუკავშირეთ?

➤ გამოთქვით ვარაუდი, რა მახასიათებლით ამოიცანით და მიუსადაგეთ მუსიკა ტექსტში მოცემულ სიტყვებს: „ცოცხალთა“ ან „გარდაცვლილთა“? თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს „ცოცხალთა“ ჟღერადობა და როგორი – „გარდაცვლილთა“?

მოსწავლეები აღწერენ თითოეულ მოსმენილ ფრაგმენტს, მუსიკალური მახასიათებლებიდან პირველ რიგში დაასახელებენ რიტმულ ფიგურაციებს, „ცოცხალთა“ ტემპი უფრო სწრაფია, „გარდაცვლილთა“ – ნელი, ტემბრი დაბალი რეგისტრისაა, რაც მიწისქვეშეთის პირეუში სამყაროს განწყობას ქმნის.

➤ თანამედროვე მუსიკის რომელ მახასიათებელს უკავშირდება ყველა ეს მხატვრული ხერხი? **სავარაუდო პასუხი იქნება: მახასიათებლების ცხრილიდან – ა)-ს** – ახალი ჟღერადობების შექმნა; უკვე კარგად ცნობილი ინსტრუმენტების ტემბრალური შესაძლებლობების გაფართოება, რაც ხმის გამოცემის ახალი ხერხებით მიიღწევა.

მოსწავლეებისგან სხვადასხვაგვარ პასუხებს მივიღებთ. მთავარია, მათ განმარტონ თავიანთი მოსაზრებები.

P. S. შეიძლება ზოგიერთმა მოსწავლემ რომელიმე ფრაგმენტში ამოიცნოს ელექტრობგერების ეფექტი. საინტერესო ფაქტია ის, რომ კომპოზიტორმა ამ ნაწარმოებში საკრავის (ფლეიტის) სრულიად განსხვავებული ტემბრალური თუ შესრულების ტექნიკური შესაძლებლობები გამოიყენა. არცერთ შემოთავაზებულ მუსიკალურ ფრაგმენტში არ არის გამოყენებული ელექტროეფექტები.

მოსმენა: აუდიოფაილი – 22-ე გაკვეთილი – ანუბისი.

მოსწავლეები ისმენენ ფრაგმენტებს ფრანგი კომპოზიტორის – **ჟერარ გრიზეს** – ნაწარმოებიდან „ანუბისი და ნუთი“. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ მოკლე ფრაგმენტებს და ამოიცნონ მუსიკის მახასიათებლები. ტექსტში სათანადო ადგილას მიუთითებენ, რომელი მუსიკალური ფრაგმენტის ნომერს მიუსადაგეს ტექსტის აე ნაწილი.

ტექსტის გაცნობამდე, მოსწავლეებს ვთხოვთ, წინასწარ მოიმარჯვონ ფურცელი და კალამი და თითოეული ფრაგმენტის მოსმენისას კარგად დააკვირდნენ და ჩაინიშნონ რამდენიმე დეტალი, რომლებიც დავალების შესრულებაში დაეხმარებათ. ვისმენტ ხუთ ფრაგმენტს 26-ე გაკვეთილის აუდიოფაილიდან.

ანუბისი და ნუთი

ეგვიპტური მითოლოგიის მიხედვით, ანუბისი ღმერთია, რომელიც გარდაცვლილებს მიცვალებულთა სამყოფელში აცილებს –5–, ამიტომ მას ბალზამირებისა და მიცვალებულების სამყაროს ღმერთს უწოდებენ –2–. იგი აგრეთვე უზენაესი ღმერთის, ოსირისის, სამსჯავროს სასწორის მცველია –1– და წამლებისა და საწამლაგების დამზადება შეუძლია. ანუბისს ტურის თავი და ადამიანის ტანი აქვს –3–.

ნუთი ზეცის ქალღმერთია, უზენაესი ღმერთების – ისიდასა და ოსირისის – დედა. ნუთის სხეული ვარსკვლავებით არის დაფარული. ეგვიპტურ მითოლოგიაში იგი არის ღამისა და მზის დედა –4–; იგი ხშირად სარკოფაგების შიდა ნაწილში მუმფიცირებული სხეულების დამცველადაც გვევლინება.

ჩვენ მიერ ტექსტში ჩასმული ციფრები შეიძლება პირობითად ჩაითვალოს. მოსწავლეების წარმოსახვის, ფანტაზიის უნარი მრავალფეროვანია, ამიტომ მივცეთ მათ საშუალება, ისაუბრონ, რა წარმოიდგინეს, რა ასოციაციას უქმნით მათ მუსიკალური ფრაგმენტი და იმის მიხედვით შეარჩიონ ტექსტში ჩასაწერი მუსიკალური ფრაგმენტის ნუმერაცია. დავალების შესასრულებლად საჭირო იქნება მუსიკალური ფრაგმენტების რამდენჯერმე მოსმენა.

შემდეგ მოსწავლეები მოიყვანენ არგუმენტებს, რომელი მუსიკალური გამომსახველობითი ხერხების მიხედვით მიუსადაგეს მუსიკა ტექსტს, როგორია რიტმი, ტემპრი, რისო ასოციაცია გამოიწვია მუსიკალურმა ფრაგმენტმა მათში და ა. შ.

მასწავლებლის კითხვები:

➤ რომელ ფრაგმენტში ისმის ბას-კლარნეტის პარტიაში ბგერების აღმავალ-დაღმავალი სვლები, რომლებიც ბგერით ტალღას გვაგონებს? (**I ფრაგმენტშია**)

ტექსტის რომელ დეტალს მიუსადაგებთ ამგვარ გამომსახველობით ხერხს?

სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს: ბას-კლარნეტის პარტიაში ბგერების აღმავალ-დაღმავალი მოძრაობა სამსჯავროს სასწორს ესადაგება, ბგერების ტალღისებული სვლა თითქოს ბუმბულის რხევის ასოციაციას ქმნის (**მე-2 აუდიოფრაგმენტი კითხვების ფაილიდან**);

➤ რომელ ფრაგმენტში ჟღერს ერთი ნოტი სხვადასხვა სიძლიერით, ტემპით ან ტემბრალური შეფერილობით? (**პასუხი: კითხვების ფაილიდან – მე-3-ში**);

თქვენი აზრით, ტექსტის რომელ ნაწილს შეიძლება დაუკავშირდებოდეს ეს? (**პასუხი: შეიძლება, მიცვალებულთა სამყოფელში გაცილებას დაუკავშიროთ**);

➤ რას დაუკავშირებდით ფრაგმენტს, სადაც ჟღერს ბას-კლარნეტის დაღმავალი სვლა და ყველაზე დაბალ ბგერაზე დიდხანს შეჩერება?

➤ რომელ ფრაგმენტშია გადმოცემული ბგერის მიღწევის მომენტი? (**№3 კითხვების აუდიო-ფაილიდან**);

➤ რას დაუკავშირებდით ამ ფრაგმენტს? ახსენით თქვენი პასუხი.

სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს: ბას-კლარნეტის დაღმავალი სვლა შეიძლება მიცვალებულების მათთვის მიჩენილ ადგილზე, ქვესკნელში, ჩაყვანაზე მიუთითებდეს.

მოუსმინეთ რამდენიმე ფრაგმენტს, სადაც წარმოდგენილია ჟ. გრიზეს მიერ გამოყენებული ინსტრუმენტის (ბას-კლარნეტის) სხვადასხვა ტემბრალური ჟღერადობა. როგორ ფიქრობთ, რომელი სანოტო მაგალითი რომელ ტემბრალურ ჟღერადობას გამოსახავს? მიუწერეთ მოსმენილი ფრაგმენტის ნომერი სათანადო სანოტო მაგალითს.

შეცვებული ნიმუში:

4

2

1

3

კითხვა მოსწავლის წიგნში:

➤ თანამედროვე მუსიკის რომელ მახასიათებელს უკავშირდება ყველა ეს მხატვრული ხერხი? მოსწავლეებმა პასუხი უნდა ამოარჩიონ სახელმძღვანელოში ამ თემის დასაწყისში მოცემული მახასიათებლებიდან. პასუხები ინდივიდუალურია, მაგრამ, სავარაუდოდ, ისინი აარჩევენ პირველს (ნებისმიერი პასუხის შერჩევისას, მათ უნდა განმარტონ თავიანთი მოსაზრება):

ა)

ახალი ჟღერადობების შექმნა; უკვე კარგად ცნობილი ინსტრუმენტების ტემბრალური შესაძლებლობების გაფართოება, რაც ხმის გამოცემის ახალი ხერხებით მიიღწევა.

სახელმძღვანელოში მოსწავლეები ეცნობიან ამერიკელი კომპოზიტორის, **რიჩარდ დანი-ელპურის**, ნაწარმოებს – „იკაროსს“; ისმენენ რამდენიმე ფრაგმენტს მისი ნაწარმოებიდან (I თავის აუდიოფაილები: 23-ე. გაკვეთილი – იკაროსი).

გაკვეთილი წარიმართება მოსწავლის წიგნში განთავსებული მასალის მიხედვით, წინა გაკვეთილებზე მუშაობის პრინციპით.

მოსწავლეები მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებს მიუსადაგებენ ტექსტს – ფურცელზე ჩანერგნ აუდიოფაილის ნომერს ტექსტში გამოყოფილი ადგილების მიხედვით; უპასუხებენ მოსწავლის წიგნში დასმულ კითხვებს. იხილეთ პირობითად შევსებული ნიმუში:

იკაროსი

მეფე მინოსს არ სურდა სახელგანთქმული ოსტატის, დედალოსის, ხელიდან გაშვება და მის სახლს გარშემო მაღალი კედელი აუშენა, რათა დედალოსი და მისი ვაჟი, იკაროსი, არსად გაპარულიყვნენ –3–. დედალოსი თავისუფლებისმოყვარე და დამოუკიდებელი ადამიანი იყო –5–. წლების მანძილზე ფრინველების ბუმბულებს სანთლისგან მიღებული ცვილით ერთმანეთს აწებებდა და თავისთვის და იკაროსისთვის ფრთები ააწყო 4–. დედალოსმა იკაროსი გააფრთხილა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეხებოდა წყლის ზედაპირს –1–, რათა ფრთები არ დაესველებინა. არც ძალიან მაღლა უნდა ეფრინა, რათა მზეს არ დაედნო ცვილი და ფრთები არ დაშლილიყო. იკაროსი ზედმინეწვით ასრულებდა მამის მითითებებს, მაგრამ ფრენის აზარტმა იმდენად შეიპყრო ყმანვილი, რომ ვერც კი შეამჩნია, რამდენად მაღლა აფრინდა. მზემ ცვილი დაადნო, ფრთები დაიშალა, ხოლო იკაროსი ზღვაში ჩავარდა და დაიხრჩო –2–.

მოსწავლის წიგნში დასმული კითხვები და სავარაუდო პასუხები:

➤ ძირითადად, რომელი მუსიკალური მახასიათებლები აერთიანებს ამ ფრაგმენტებს?

– **რიტმი, ჰარმონია, მელოდია, ინსტრუმენტები.**

➤ რომელ ფრაგმენტში კეთდება აქცენტი არა მკაცრ რიტმულ ფიგურაციაზე, არამედ მელოდიაზე? – **მე-2 ფრაგმენტში.**

➤ რომელი ფრაგმენტი იწყება დაღმავალი სვლით? მითის სიუჟეტის რა დეტალს დაუკავშირეთ ეს ფრაგმენტი? – **მე-5 ფრაგმენტი – დედალოსი თავისუფლებისმოყვარე და დამოუკიდებელი ადამიანი იყო.**

➤ რომელი ფრაგმენტი გამოირჩევა რიტმული ფიგურაციების მრავალფეროვნებით? მითის რომელ სიუჟეტურ დეტალს დაუკავშირეთ ეს ფრაგმენტი? ახსენით, რატომ. – **1-ელ ფრაგმენტს. გამოკვეთილი (რიტმული ფიგურაცია, ინტონაცია მკაცრი გაფრთხილების, შესაძლო საშიშროების ასოციაციას ტოვებს.**

➤ რომელ ფრაგმენტში გამოკვეთს რიტმის ფიგურაციას ფორტეპიანო და არა დასარტყამი ინსტრუმენტები? – **ფორტეპიანოს პარტიაში ყველაზე მეტად მე-2 ფრაგმენტში გამოკვეთება რიტმის ფიგურაცია.**

➤ თქვენი აზრით, განსხვავდება თუ არა ეს ნაწარმოები სხვა ნაწარმოებებისგან, რომლებიც აქამდე მოისმინეთ? თუ განსხვავდება, რით? – **ეს ნაწარმოები სხვებისგან განსხვავდება გამოკვეთილი რიტმული ფიგურაციებით, მელოდიური ხაზის წინ წამოწევით, ჰარმონიით, ინსტრუმენტთა დაჯგუფებით, სხვადასხვა რიტმო-ინტონაციური პატერნების მონაცვლეობით.**

➤ თანამედროვე მუსიკის რომელ მახასიათებელს უკავშირდება ამ ფრაგმენტებში გამოყენებული მხატვრული ხერხები? – **ბ) ბგერის სპექტრის (მისი წარმოშობის, სიხშირეების, რხევის, ტემპრის, მისი ჟღერადობის დაწყებისა და დასრულების და ა.შ.) სხვადასხვა მუსიკალური ხერხით გადმოცემა.**

ბაიოვალისწინაშე: მოსწავლეთა პასუხები და მოცემული ტექსტის ფრაგმენტებზე აუდიო-ფაილების მისადაგება და დასმულ კითხვებზე პასუხები ინდივიდუალურია. მოსწავლეები ისაუბრებენ, რა მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით განალაგეს ნუმერაცია ამგვარად; თანამედროვე მუსიკის რომელ მახასიათებელს მიუსადაგეს ესა თუ ის აუდიოფრაგმენტი და რის მიხედვით.

კომპლექსური დავალება

მოსწავლის წიგნში მოცემულია ორი კომპლექსური დავალების ნიმუში, რომლებსაც მოსწავლეები შეასრულებენ მოცემული პირობისა და ინსტრუქციების მიხედვით.

P. S. ვისაც არ აქვს კომპიუტერულ პროგრამაში მუშაობის ტექნიკური საშუალება, ის მხოლოდ წერით დავალებას შეასრულებს.

შესავალი

როკმუსიკა იცვლება ყოველი ახალი თაობის განწყობის მიხედვით, იცვლის დასახელებებს, თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგება კიდეც, მაგრამ თავისი არსით მაინც უცვლელი რჩება. 1970-იან წლებში როკი განვითარდა უამრავ სუბჟანრად, როგორებიცაა სოფთროკი, მძიმე მეტალი, მძიმე როკი, პროგრესული როკი და პანკროკი.

არცერთ მუსიკალურ მიმდინარეობას არა აქვს ისეთი მჭიდრო კავშირი მითოლოგიასთან, როგორიც პროგრესულ როკსა და პროგრესულ მეტალს. პროგრესული როკი (Progressive rock), როკმუსიკის სტილია, რომელსაც ახასიათებს მუსიკალური ფორმების გართულება და როკისთვის დამახასიათებელი სტილის გამდიდრება მუსიკალური ხელოვნების სხვა სფეროებთან დიალოგის საშუალებით: აკადემიურ მუსიკასთან, ჯაზთან, ხალხურ მუსიკასთან და ავანგარდთან. პროგრესული როკი ან, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ, პროგროკი – როკმუსიკის ქვეჟანრია, რომელიც წარმოიშვა 1960-იანი წლების ბოლოს, 1970-იან წლებში წარმატების პიკს მიაღწია და დღესაც კვლავ ვითარდება. უფრო მეტად იგი ასოცირებულია სიმფონიურ და არტროკთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „პროგრესული“ გამოიყენებოდა 1970-იანი წლების დასაწყისში ჯგუფების მიერ მათ კომპოზიციებში სიახლის ხაზგასასმელად და მხოლოდ ამის შემდეგ, კრიტიკოსების და თაყვანისმცემლების საერთო თანხმობით, დაერქვა მას კონკრეტული მუსიკალური სტილის სახელი. დაიკარგა სიტყვა „პროგრესულის“ საწყისი მნიშვნელობა. ვინაიდან ტერმინი „პროგრესული“ ახლა უფრო სტილს აღნიშნავს, ვიდრე სიახლეს. ჯგუფები, რომლებიც ახალს არ ქმნიან და მხოლოდ სხვა ჯგუფების იდეებს იყენებენ, ითვლებიან პროგრესული როკის შემსრულებლებად.

ძნელია ჯგუფის მიკუთვნება პროგრესულ როკზე, ისევე, როგორც ძნელია თავად პროგრესული როკის განსაზღვრება.

პროგრესული როკის სტილის კომპოზიციებში, როგორც წესი, შეტანილია კლასიკური ან ჯაზური მუსიკის ელემენტები. პროგროკის კომპოზიციები ხშირად რამდენიმე ნაწილისგან შედგება, მათში ირღვევა ტემპი და რიტმი, ზოგჯერ გამოყენებულია სხვადასხვა ხმოვანი ეფექტი და ა. შ.

პროგრესული როკის თემას განვიხილავთ ორი ჯგუფის კომპოზიციების მაგალითებზე. ჯგუფი „იეს“ (Yes) პროგრესული როკის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, ხოლო ანსამბლი „სიმფონიკ X“ (Symphonic X) პროგროკის ქვემიმდინარეობას, პროგმეტალს მიეკუთვნება.



მოცემულობა მოსწავლის წიგნში: ყურადღებით წაიკითხეთ მითისა და პროგროკის მახასიათებლები. გადაიტანეთ ფურცელზე/რვეულში და ჩასვით პროგროკის მახასიათებლის ლიტერი მითის მახასიათებლის გასწვრივ განლაგებულ კვადრატში (შეგიძლიათ, მითის მახასიათებელს პროგროკის რამდენიმე მახასიათებელიც მიუსადაგოთ).

მითის მახასიათებლები (იხილეთ პირობითი ნიმუში):

I. გარკვეული ნიშნებით აზრის გადმოცემა;

ყველა

II. ახალი, საკრალური (ღვთაებრივი) რეალობის შექმნა;

დ

III. სინკრეტულობა (გამომსახველობითი ხერხების ერთიანობა, მაგ., ტექსტისა და რიტუალის სხვადასხვა გამომსახველობითი ხერხების ერთიანობა);

ა

IV. ირეალურობისა და რეალობის განუყრელობა;

ბ, გ

V. დიალექტურობა (მითში ყველაფერი მოძრაობს, რაღაც რაღაცისგან იზადება, გამომდინარეობს, ვითარდება, იცვლება და რაღაცით სრულდება);

გ, ე

VI. უნივერსალურობა (თითოეულ სიუჟეტში გადმოცემულია ადამიანის მთელი ცხოვრება და ასახულია სამყაროსა თუ საზოგადოებაში არსებული ყველა დიადი პროცესი).

ვ

პროგროკის მახასიათებლები:

ა)

რიფი (იგი შეიძლება იყოს მოცემული რაიმე რიტმული ფიგურაციის, ან მელოდიური სვლის (ფრაზით), ან ჰარმონიული თანმიმდევრობის სახით, ან ამ სამივე კომპონენტის ერთობლიობით), რომელიც მრავალჯერ მეორდება (ოსტინატო);

ბ)

ახალი ჟღერადობის მიღწევა სხვადასხვა ინსტრუმენტის უჩვეულო შეხამების ან ინსტრუმენტების ხმებსა და ვოკალზე გარკვეული ეფექტების დადების გზით; სხვადასხვა ხმის, ხმაურის, აკადემიური მუსიკის ციტატის გამოყენება;

გ)

რთული, ცვალებადი რიტმი;

დ)

მოულოდნელი, უჩვეულო ჰარმონიები;

ე)

რთული მელოდია;

ვ)

მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: თქვენი აზრით, მითის მახასიათებლებიდან, მაგალითად, IV – ირეალურობისა და რეალობის განუყრელობა – პროგროკის რომელ მახასიათებელს შეიძლება დაუკავშირდეს? დიდი ალბათობით მოსწავლეთა აზრი გაიყოფა, ყველა პასუხი მისაღებია, რადგან ეს მათი მოსაზრებაა, რომელიც გასათვალისწინებელი და ღირებულია.

ბაიტვალისწინაშე: მითისა და პროგროკის მახასიათებლების ერთმანეთთან დაკავშირება და კვადრატებში ლიტერების მიკუთვნება მხოლოდ მოსწავლეთა ასოციაციურ შეგრძნებებზეა დამოკიდებული და ჩვენ მიერ კვადრატებში ჩასმული ლიტერები მხოლოდ ნიმუშად გვაქვს მოცემული. მოსწავლეებს შეიძლება სხვადასხვა აზრი დაეხადოთ. ყველა პასუხი მისაღებია.

2

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომლის სტრიქონებში ჩამოწერილია რომელი რიცხვებით აღნიშნული მითის მახასიათებლები, ხოლო სვეტებში – პროგროკის თვისებების აღნიშვნელი ლიტერები. მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტებს (29-ე გაკვეთილის აუდიოფაილებიდან) და ჩასვით მითის სათანადო მახასიათებლის სტრიქონისა და პროგროკის სათანადო მახასიათებლის სვეტის გადაკვეთაზე განლაგებულ უჯრაში, თქვენი ვარაუდის მიხედვით, ჩანერეთ შესაბამისი მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი. სავარაუდო ნიმუში:

	ა)	ბ)	გ)	დ)	ე)	ვ)
I	1	1	1	1	1	1
II				2		
III	3					
IV		4				
V		5			5	5
VI		6				

კითხვები:

➤ ტაშით აჰყევით პირველ ფრაგმენტში გაჟღერებულ დასარტყამ ინსტრუმენტებს. გაგიჭირდათ თუ არა ტაშით აყოლა? ახსენით, რატომ;

მოსწავლეების პასუხები შეიძლება იყოს: ტაშით აყოლა იმიტომაცაა რთული, რომ ცვალებადი რიტმია, აგრეთვე ძნელია ძლიერი და სუსტი დროის მონაცვლეობის ზუსტად გამოყოფა (შეიძლება მოსწავლეებს რიტმული ფიგურაციები რთულად არ მოეჩვენოთ. ამ შემთხვევაში პასუხიც სხვაგვარი იქნება).

➤ როგორ ფიქრობთ, ყველაზე მკაფიოდ მუსიკის რომელი მახასიათებელი იჩენს თავს მეორე ფრაგმენტში?

მეორე ფრაგმენტში მუსიკის მახასიათებლებიდან მკაფიოდ ჩანს ჰარმონია – საორკესტრო ჟღერადობა, ერთმანეთს ენაცვლება კონსონანსური და დისონანსური აკორდული წყობა.

➤ თქვენი აზრით, რომელი მუსიკალური ფრაგმენტი ჟღერს ყველაზე უცნაურად, უჩვეულოდ? რომელი მუსიკალური მახასიათებელი სძენს ამ ფრაგმენტს უჩვეულო ჟღერადობას? **სავარაუდო პასუხი შეიძლება იყოს: I ფრაგმენტში ინსტრუმენტების ხმოვანება ორგანოს მიაგავს, ბაროკოს ეპოქის კლასიკური მუსიკის ასოციაციას ქმნის, რაც როკმუსიკისთვის ცოტა უცნაურია.**

აუდიოფაილების განმეორებით მოსმენის შემდეგ, მოსწავლეებს ეძლევათ დავალება (ზეპირი ან წერილობითი): დაალაგეთ ისინი ემოციური დაძაბულობის მატების მიხედვით. მიუწერეთ 1-იანი ფრაგმენტს, რომელიც, თქვენი აზრით, ემოციურად ყველაზე ნაკლებადაა დამუხტული, ხოლო – 6-იანი ფრაგმენტს, რომელიც, თქვენი აზრით, მეტად ემოციურია.

შევსებული ცხრილის ნიმუში:

აუდიო 1	აუდიო 2	აუდიო 3	აუდიო 4	აუდიო 5	აუდიო 6
5	2	3	1	6	4

ჩვენი შევსებული ცხრილი პირობითია. მოსწავლეები თავიანთი შეხედულებისამებრ შეავსებენ ცხრილს და განმარტავენ, რატომ გაანაწილეს ამგვარად ნუმერაცია.

კითხვა: მითის რომელ მახასიათებელს დაუკავშირეთ ფრაგმენტი, რომელსაც 1-იანი ან 6-იანი მიუწერეთ?

მოსწავლის აზრთა მსვლელობა შეიძლება იყოს: 6-იანი მიუწერეთ აუდიოფრაგმენტს, რომელიც, ვფიქრობ, შეესაბამება მახასიათებელს (ცხრილიდან ბ): ახალი ჟღერადობის მიღწევა სხვადასხვა ინსტრუმენტის უჩვეულო შეხამების ან ინსტრუმენტების ხმებსა და ვოკალზე გარკვეული ეფექტების დადების გზით; სხვადასხვა ხმის, ხმაურის, აკადემიური მუსიკის ციტატის გამოყენება.

პასუხისას მოსწავლემ უნდა ახსნას თავისი მოსაზრება, ისაუბროს ამ აუდიოფრაგმენტის მუსიკის მახასიათებლებზე, რის მიხედვით მიუსადაგა ის მითის ამა თუ იმ მახასიათებელს და მოიყვანოს არგუმენტი.

- 1 მოუსმინეთ ფრაგმენტებს ამ ალბომებიდან. შეეცადეთ ამოიცნოთ, რომელი ფრაგმენტი რომელი ალბომიდანაა (ჩანერეთ ფრაგმენტის ნომერი სათანადო უჯრაში) და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.


ახალი მითოლოგია
(The new Mythology)



ჯგუფი „სიმფონი X“
(Symphony X)

1

კიდესთან ახლოს
(Close to the edge)



ჯგუფი „იეს“ (Yes)

2

- 2 ჯგუფი „Yes“ პროგრესული როკის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია, ხოლო ანსამბლი „Symphony X“ პროგრესული მეტალის ჯგუფია. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ იმავე აუდიოფრაგმენტებს და ჟღერადობის მიხედვით ამოიცანით ეს ჯგუფები. ✓ ნიშანი ჩასვით სათანადო უჯრაში. დასრულებული დავალება დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

	1	2	3	4	5	6
Symphony X	✓		✓		✓	✓
Yes		✓		✓		

ფურცელზე სწორი დებულებები აღნიშნეთ „+“ ნიშნით, ხოლო „-“ ნიშნით – არასწორი დებულებები:

- ა) მეტალჯგუფებში მთავარი აქცენტი კეთდება ელექტროგიტარების გაძლიერებულ (სხვადასხვა ელექტრო თუ ციფრული მონოპოლიზის მეშვეობით) ჟღერადობაზე; +
- ბ) პროგრესული მეტალში აქტიურად გამოიყენება ელექტროორგანი, რაც მეტალისთვის ნაკლებად დამახასიათებელია; +
- გ) მეტალისთვის დამახასიათებელია რომანტიკული მშვიდი ბალადები; -
- დ) პროგრესული მეტალში ხშირად იყენებენ ციფრულ დრამებს (ელექტროდასარტყამებს); -
- ე) მეტალში კომპოზიციები ხშირად სწრაფ ტემპში სრულდება, რის გამოც მუსიკოსს ურთულესი რიტმული ფიგურაციების ძალიან სწრაფად შესრულება უნევს. ეს მუსიკოსისგან დიდ ოსტატობას ითხოვს; +
- ვ) პროგრესული მეტალის განსაკუთრებულად აგრესიული, მძიმე ჟღერადობით გამოირჩევა; -
- ზ) მეტალს ახასიათებს გადამეტებული მაღალფარდოვანება, ემოციურობის ფორსირება, ერთგვარი პათეტიკურობა, რაც ახასიათებს ფენტეზის ჟანრის ნაწარმოებებს. ამით აიხსნება პროგრესული მეტალის ჯგუფების ინტერესი ფენტეზის ჟანრისადმი. +

კითხვები:

➤ როგორ დაახასიათებდით ჯგუფის „Yes“ კომპოზიციების ჟღერადობას?


შესაძლო პასუხები: მელოდიურია, თხრობითი ხასიათის, სასიამოვნო ემოციებს იწვევს.

➤ როგორ, ფიქრობთ, რაზე მოგვითხრობს ეს მუსიკა – სულიერი ძიების თუ სამყაროს კატაკლიზმების შესახებ? ახსენით თქვენი პასუხი.

სავარაუდო პასუხი: მუსიკა სულიერ ძიებაზე უნდა მოგვითხრობდეს, იმიტომ, რომ კატაკლიზმებზე რომ იყოს საუბარი, მუსიკა უფრო მძაფრი იქნებოდა, სულიერი ძიება უფრო მშვიდ მუსიკაში აისახება.

➤ თქვენთვის ნაცნობი სიუჟეტებიდან რომელს მოუხდებოდა პროგმეტალის ჟღერადობა? მოსწავლეებმა შეიძლება გაიხსენონ რომელიმე კინოსიუჟეტი, მაგალითად, ექშენის ჟანრის ფილმებიდან.

შეადარეთ პროგროკისა და პროგმეტალის ჩანაწერების გრაფიკული გამოსახულებები და ამოიცანით, რომელი გამოსახულება რომელი ანსამბლის ჩანაწერს ასახავს (აღნიშნეთ „SX“-ით პროგმეტალი, ხოლო „Y“-ით – პროგროკი).



თქვენი აზრით, რომელ მიმართულებას შეიძლება დავუკავშიროთ გამოთქმა „ხმის კედელი“? პასუხი: გრაფიკული გამოსახულებიდან გამომდინარე, „ხმის კედელი“ შეიძლება დავუკავშიროთ პროგმეტალს – SX.

3 დავალება: მოუსმინეთ რამდენიმე ფრაგმენტს და დაუკავშირეთ ისინი აქ მოცემულ მდინარის, როგორც სიმბოლოს, განმარტებებს (თითოეულ განმარტებას მიუხერხებლად ფრაგმენტის ნომერი). შევსებულ უჯრებში ჩაიწერეთ მოსმენილი აუდიოფრაგმენტის ნუმერაცია:

შენიშვნა: ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში, მოსწავლეები ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებას, რის მიხედვით დაასკვნეს ასე.

- | | |
|---|---|
| ა) მდინარე, როგორც ცხოვრებაში არსებული სულის მტანჯველი შფოთის, ეჭვების, ამაო და სასტიკი ვნებების სიმბოლო; | 2 |
| ბ) მდინარე, როგორც ცხოვრების მეგზური და გამძლეობა; | 1 |
| გ) მდინარე, როგორც ფათერაკებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა სულიერი გაბრწყინებისკენ. | 3 |

მოსწავლეები ისმენენ პროგრესული როკის კომპოზიციების სამ აუდიოფრაგმენტს მე-5 აქტივობის ფაილიდან.

კითხვები:

➤ თქვენი აზრით, პროგროკის რომელი მახასიათებელი ან მახასიათებლები იჩენს თავს ყველაზე მკაფიოდ თითოეულ განმარტებაში? (სავარაუდო პასუხი: ა, გ).

➤ თქვენი აზრით, მითის რომელი მახასიათებელი ან მახასიათებლები ყველაზე მკაფიოდ იჩენს თავს თითოეულ განმარტებაში?

მოსწავლეები დაუბრუნდებიან მითის მახასიათებლების ცხრილს და მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტებს მიუსადაგებენ მითის ერთ ან რამდენიმე მახასიათებელს. სავარაუდო პასუხის ნიმუში: ამ ფრაგმენტში (I აუდიოფრაგმენტში), ჩემი აზრით, ყველაზე მკაფიოდ ჩანს

მითის I მახასიათებელი – გარკვეული ნიშნებით აზრის გადმოცემა. მოსწავლე ასაბუთებს თავის მოსაზრებას, რატომ ფიქრობს ასე.

➤ როგორ ფიქრობთ, პროგროკის რომელი მახასიათებლით ერთიანდება ყველა ეს განმარტება? პასუხი: ყველა ეს განმარტება ერთიანდება ა) – **რიფით**.

შეგახსენებთ, რომ **რიფი** არის რიტმული ფიგურაცია, ან მელოდიური სვლა (მუსიკალური ფრაზა), ან ჰარმონიული (აკორდული) თანმიმდევრობა, ან ამ სამივე კომპონენტის ერთობლიობა, რომელიც მრავალჯერ მეორდება (**ოსტინატო**). ხშირად რიფს იყენებენ როგორც სიმღერის შესავალს, მაგალითად, გიტარის (ან სხვა საკრავებზე) რიფს. მუსიკალური რიფები ხშირად გვხვდება ისეთ ჟანრებში, როგორებიცაა პოპმუსიკა, როკი და ჯაზი.

➤ როგორ ფიქრობთ, ჟღერადობისა და განწყობის მიხედვით, რა აერთიანებს ამ სამ ფრაგმენტს?

სავარაუდო პასუხი: განწყობით ყველა ფრაგმენტი ოპტიმისტურია, ჟღერადობით არააგრესიული, მსუბუქი მოსასმენია, პირველ ფრაგმენტში, რომელშიც ვოკალია ჩართული, ლირიკული მელოდიური ხაზი თითქოს თხრობით ხასიათს ატარებს. ჩემი აზრით, ეს მუსიკალური ფრაგმენტი მითის მახასიათებლებიდან შეიძლება დავუკავშიროთ I-ს (გარკვეული ნიშნებით აზრის გადმოცემა) ან V-ს (დიალექტურობა. მითში ყველაფერი მოძრაობს, რაღაც რაღაცისგან იზადება, გამომდინარეობს, ვითარდება, იცვლება და რაღაცით სრულდება)

➤ მდინარის სიმბოლოს რომელი განმარტებაა თქვენთვის ყველაზე მისაღები? (მოსწავლე ასახელებს იმ ლიტერს, რომლის ნომერიც მიუსადაგა უჯრების შევსებისას).

➤ მისი მუსიკალური ანალოგია ასევე მისაღებია თქვენთვის თუ არა? პასუხად მოსწავლემ შეიძლება დაასახელოს რომელიმე აღწერა, მაგალითად, ბ, გ ან სულაც თქვას – „მდინარეს გააჩნია“ (იგულისხმება განსხვავება მთისა და ბარის მდინარეებს შორის. მოჰყავს არგუმენტები).

➤ როგორ ფიქრობთ, პირველი ფრაგმენტი რა ფორმის კომპოზიციაა? განმარტეთ, რა მახასიათებლებით ამოიცანით.

პასუხი: პირველი ფრაგმენტი, რომელიც სიმღერაა (ვოკალი) ინსტრუმენტების თანხლებით, კუპლეტური ფორმისაა.

დააკვირდით ქვემოთ მოცემულ სქემებს. რომელი სქემა ესადაგება ამ ფრაგმენტს? (იხილეთ პასუხი).

ა)	RIF	A	A	B	C
ბ)	RIF	A	B	C	D
გ)	RIF	A	A	A	A

ა) = 1 აუდიო

30-31

1 ჯგუფ „იეს“-ის ალბომი „კიდესთან ახლოს“ სულ სამი კომპოზიციისგან შედგება: „კიდესთან ახლოს“, „და შენ, და მე“ და „ციმბირული ხათხუ“. ამ სამ კომპოზიციას შეიძლება მიეუსადაგოთ მდინარის სიმბოლოს სამი განმარტება. ალბომის პირველი კომპოზიცია ოთხ ნაწილად იყოფა. გაეცანით თითოეული ნაწილის ჩვენებულ განმარტებას და იმსჯელეთ, თუ რა ემოციური მუხტი მოაქვს თითოეულ მათგანს (პასუხები ინდივიდუალურია):

ა

მდინარე ცხოვრების წამლევად ნაკადს ჰგავს, სადაც თავმოყრილია ადამიანების პატივმოყვარეობა, ძალაუფლების წყურვილი, ვნებები, სიმდიდრის მოხვეჭის დაუოკებელი სურვილი.

ბ

ვერცერთი მოძღვარი ვერ მიგიყვანს სულიერ გაბრწყინებასთან. შეუძლებელია სულიერი ზრდა აქტიური ცხოვრებით შეძენილი საკუთარი უნიკალური გამოცდილების გარეშე;


გ

მხოლოდ ამა ქვეყნის ხიბლის უარყოფა, აქტიურ ცხოვრებაზე უარის თქმა მიგვიყვანს სულიერ გაბრწყინებასთან.

დ

სიმდიდრისთვის, სიყვარულისთვის, ძალაუფლებისთვის ბრძოლა ამაოებაა. ნამდვილი მასწავლებელი მხოლოდ მდინარეა. ნეტავ რას გვასწავლის იგი?

მოსწავლეები არეული თანმიმდევრობით ისმენენ პირველი კომპოზიციის ოთხივე ნაწილს და თავიანთი ვარაუდით ჩასვამენ კომპოზიციის სქემაში თითოეული ნაწყვეტის ნომერს. მაგალითად, ასე:



მოსწავლის წიგნში დასმული შეკითხვები:

➤ თქვენი აზრით, რომელი ფრაგმენტია ემოციურად ყველაზე ნეიტრალური (არ ატარებს მკვეთრ ემოციურ მუხტს)? ახსენით, რატომ;

ფრაგმენტი №1 – მშვიდი, სასიამოვნო მელოდიაა, ტემპი ზომიერი, რიტმი მარტივი – პულსირებული, ჰარმონია სულიერი გაბრწყინების ასოციაციას ქმნის.

➤ თქვენი აზრით, რომელი ფრაგმენტი შეიძლება ჩაითვალოს მთელი კომპოზიციის კულმინაციად? ახსენით, რატომ.

მოსწავლეთა პასუხები განსხვავებული იქნება და ახსნიან თავიანთ მოსაზრებას. ერთ-ერთი მოსაზრება შეიძლება ასეთიც იყოს: მთელი კომპოზიციის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს პირველ ნომრად მოსმენილი კომპოზიცია. ის ყველაზე უფრო მკაფიოდ პასუხობს განმარტებას – გ) – მხოლოდ ამა ქვეყნის ხიბლის უარყოფა, აქტიურ ცხოვრებაზე უარის თქმა მიგვიყვანს სულიერ გაბრწყინებასთან.

➤ კიდევ ერთხელ გადახედეთ პროგროკის მახასიათებლებს; თქვენი აზრით, რომელი მახასიათებლები იჩენს თავს თითოეულ ნაწყვეტში?

სავარაუდო პასუხი: ა) რიფი; გ) რთული, ცვალებადი რიტმი, დ) მოულოდნელი, უჩვეულო ჰარმონიები; ე) მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა.

➤ რომელ ფრაგმენტებშია ერთნაირი ვოკალური პარტია? მსგავსი ვოკალური პარტიებია პირველ და მესამე აუდიოფრაგმენტებში.

მასწავლებლის დამატებითი კითხვები, რომლებზე პასუხებიც ინდივიდუალური იქნება:

➤ ყველაზე მეტად რომელი განმარტებისთვის გაგიჭირდათ მუსიკალური ფრაგმენტის მისადაგება? შეეცადეთ ახსნათ, რატომ;

➤ თქვენი აზრით, რომელი ფრაგმენტი გიტოვებთ რაღაც მნიშვნელოვანი მიგნების განცდას? რამ გამოიწვია თქვენში ასეთი განცდა?

➤ თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ კანონზომიერება – რა მუსიკალური ხერხებით შეიძლება ცხოვრების ამაოების გადმოცემა?

3

➤ რა საერთო მახასიათებლები აქვთ თითოეული საწყისის გამომხატველ მუსიკალურ ფრაგმენტს? (რიფი, მოულოდნელი, უჩვეულო ჰარმონიები, მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა).

➤ რომელი საწყისის გამომხატველი მუსიკალური ფრაგმენტები გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით? მოსწავლეთა პასუხები ინდივიდუალურია, იხილეთ პირობითი ნიმუში:

1) უკიდურესი აგრესიულობა = II ფაილი

2) შფოთის, დაძაბულობის განცდა = III ფაილი

3) შედარებით მშვიდი, განონასწორებული მუსიკა = I ფაილი

4) დაბურული, მომაჯადოებელი ჟღერადობა = IV ფაილი

5) მძიმე, გამაყრუებელი ჟღერადობა = II ფაილი

➤ პროგროკის რომელი მახასიათებლები იჩენს თავს ყველაზე მკაფიოდ ამ საწყისის გამომხატველ მუსიკალურ ფრაგმენტებში?

მოსწავლეები გადახედავენ სახელმძღვანელოს 55-ე გვერდზე მოცემულ პროგროკის მახასიათებლებს და პასუხად რომელიმე მათგანს აირჩევენ, მაგალითად, ბ) „ახალი ჟღერადობის მიღწევა სხვადასხვა ინსტრუმენტის უჩვეულო შეხამების ან ინსტრუმენტების ხმებსა და ვოკალზე გარკვეული ეფექტების დადების გზით“.

➤ რომელ ფრაგმენტში ისმის მხოლოდ ერთი რიფი? (მე-2 ფრაგმენტში).

➤ შეარჩიეთ სწორი პასუხი, რით არის წარმოდგენილი ეს რიფი? – რიტმული ფიგურაციით.

➤ რომელ ფრაგმენტში ისმის აღმოსავლური მუსიკის ინტონაციებზე აგებული რიფი? – 1-ელ ფრაგმენტში.

32

ა

მოსწავლეები ისმენენ ციტატებს კლასიკური ნიმუშებიდან და მიუსადაგებენ ამ მუსიკალურ ფრაგმენტებს სათანადო სიუჟეტურ სვლებს.

მოსწავლეები მათ მიერ მისადაგებული სათანადო სიუჟეტური სვლის გასწვრივ რვეულში ჩაწერენ ციფრს, რომელ ნომრადაც მოისმინეს (მათი აზრით) ტექსტის შესაბამისი აუდიო-ფრაგმენტი და ახსნიან, რომელი მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით მიუსადაგეს მუსიკა სიუჟეტურ დეტალს.

მოსმენა 32-ე გაკვეთილის აუდიოფაილებიდან – აქტივობა 1 – ა):

ა) იოჰან სებასტიან ბახი – კონცერტი კლავესინისთვის N1;

ბ) ბელა ბარტოკი – კონცერტი ორკესტრისთვის;

გ) ჯუზეპე ვერდი – რეკვიემი – „დიეს ირე“ (dies irae);

დ) ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი – Lacrimosa (რეკვიემი).

შევსებული ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

	სიუჟეტური დეტალი	აუდიო №
ა)	ეს არის ამბავი, თუ როგორ დაირღვა წონასწორობა ბოროტებასა და სიკეთეს შორის დიადი ცივილიზაციის, ატლანტიდის, დამაარსებელთა ამპარტავნების გამო.	3
ბ)	დაიწყო ბრძოლა სინათლესა და წყვდიადს შორის. მონტუ-სეხმეტმა ჭეშმარიტების ქალღმერთის, მათის – სიმართლისა და წესრიგის ქალღმერთის – შვილი მოკლა და ამით სამყაროს ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. ამიერიდან სამყაროში წყვდიადი გაბატონდა.	1
გ)	ღმერთ „რა“-ს ტაძრის უზენაესმა მღვდელმთავარმა პტაჰ-ხნუმმა თავისი უშრეტო ენერგიით შექმნა არსება, რომელიც მისი სულის ბნელ მხარედ გადაიქცა. მას სახელად მონტუ-სეხმეტი დაარქვეს. სწორედ მაშინ გამოეყო სინათლეს წყვდიადი.	2
დ)	მამ ასე, წონასწორობა დარღვეულია და ამის შედეგი მომავალ ცივილიზაციებზეც აირეკლება. იგი ყველა თაობაზე მოახდენს გავლენას და ბევრ უბედურებას მოუტანს კაცობრიობას.	4

ბ

შემდეგ მოსწავლეები ისმენენ კომპოზიციების ნაწყვეტებს ალბომიდან – „ახალი მიოლოგიის“ (აუდიოფაილებიდან – ბ), ამოიცნობენ კლასიკური ნიმუშების ციტატებს და ცხრილის მარჯვენა უჯრებში, სიუჟეტური სვლების გასწვრივ, ჩაწერენ ციფრებს, რომელ ნომრად მოისმინეს ეს ფრაგმენტი.

პირობითად შევსებული ცხრილი (ნიმუში) იხილეთ ზევით. ციფრები ჩაწერილია მოსასმენი აუდიოფაილების თანამიმდევრობის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი კლასს სხვა თანამიმდევრობით მოასმენინებს მუსიკალურ ფრაგმენტებს, შესაბამისად, ციფრებიც ცხრილში შეიცვლება.

დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეები უპასუხებენ მოსწავლის ნიგნში დასმულ კითხვებს.

მოსწავლეები ყურადღებით წაიკითხავენ სახელმძღვანელოში განთავსებული ცხრილის ტექსტს. მოცემულობის კარგად გააზრების შემდეგ, ისინი ისმენენ მუსიკალური კომპოზიციების ფრაგმენტებს 33-ე გაკვეთილის აუდიოფაილიდან. თითოეული კომპოზიციის მოსმენისას თვალს მიადევნებენ ტექსტებს და მონიშნავენ, რომელ განსაზღვრებას რომელი მუსიკალური ფრაგმენტი მიაკუთვნონ მუსიკის იმ მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც ლიტერებითაა მოცემული: ა) რიფი; ბ) მელოდია; გ) ჰარმონია; დ) რიტმი; ე) ხმის ეფექტი. ამის შემდეგ მოსწავლეები შეაგებენ ცხრილს, რომელშიც ✓ ნიშნით მონიშნავენ, რომელი გამომსახველობითი ხერხი გადმოსცემს ყველაზე კარგად სიუჟეტის თითოეულ სვლას.

მოსწავლეები თავიანთი ასოციაციის მიხედვით ავსებენ ცხრილს. დავალების შესრულების შემდეგ ისაუბრებენ, რის მიხედვით იხელმძღვანელებს ცხრილის შევსებისას.

კომპოზიციების მოსმენა რამდენჯერმე იქნება საჭირო, რადგან ერთი მოსმენით მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ ტექსტის დაკავშირება მუსიკალურ მახასიათებლებთან. ამიტომ აუდიოფრაგმენტები მოასმენინეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს საჭირო იქნება.

პირობითად შევსებული ცხრილი დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს (შეიძლება მოსწავლეებმა მუსიკალური მახასიათებლები სხვაგვარად მიუსადაგონ ტექსტს):


	ა	ბ	გ	დ	ე
მაღალგანვითარებულმა, კოსმიური გონებით გასხივოსნებულმა და ზებუნებრივი ენერგიით დამუხტულმა ზეადამიანთა რასამ ატლანტიდის ცივილიზაცია შექმნა. ატლანტიდის წინამძღვარი დიადი პტახ-ხნემუ გახლდათ.	✓	✓		✓	
ატლანტიები დიადმა იდეამ შეიპყრო – ეს იყო ახალი არსებების შექმნა, მათი დედამიწაზე დასახლება და ამით საკუთარი ძალის წარმოჩენა. მაგრამ როგორც ამპარტავნებით ნაკარნახევმა ყველა საქმემ, ამ ჩანაფიქრმაც სავალალო შედეგი გამოიღო. შეიქმნა საშინელი არსებები, რომლებიც შემზარავი სისასტიკით გამოირჩეოდნენ. ყველაზე შემზარავი კი, მონტუ-სეხმეტი, მათი წინამძღოლი გახდა. ატლანტიებმა ეს საშინელი არსებები ატლანტიდიდან განდევნეს.	✓			✓	✓
მაგრამ ატლანტიები ხვდებოდნენ, რომ კონფლიქტი მნიფდებოდა და ჭეშმარიტების ქალღმერთს, მაატს, შეევედრნენ, რათა მას დედამიწაზე წონასწორობის მატარებელი ძე გამოეგზავნა.		✓	✓	✓	✓
მაგრამ მონტუ-სეხმეტმა თავისნაირი საშინელი არსებებისგან დიდი რაზმი შექმნა და ატლანტიდას თავს დაესხა. ატლანტიებმა თავიანთი ზებუნებრივი ძალები მოიხმეს, რამაც დედამიწაზე საშინელი კატაკლიზმი გამოიწვია, რის შედეგადაც ატლანტიდის ყველა დიადი ქალაქი ოკეანემ შთანთქმა.	✓			✓	✓
ქალღმერთმა მაატმა თავისი ძე ეგვიპტეში დამალა. მონტუ-სეხმეტმა მაატის ძე იპოვა და მოკლა. ამრიგად, მთელი ძალაუფლება მის ხელში აღმოჩნდა. დიადი პტახ-ხნემუ მის წინაშე უძლური აღმოჩნდა. ქვეყანაზე ბოროტება გავრცელდა.	✓			✓	✓
დედამიწაზე სიკეთისა და ბოროტების ბალანსი დაირღვა. ეს წყევლასავით დაედო კაცობრიობის ყველა თაობას.	✓			✓	
მაგრამ იმედი ჯერ კიდევ ცოცხლობს... ქალღმერთმა მაატმა კაცობრიობას ანდერძი დაუტოვა. დადგება დრო და პლანეტები ისე განლაგდება, რომ ბალანსი კვლავ აღდგება, ხოლო კაცობრიობას მიეცემა საშუალება, კვლავ იბრძოლოს ბოროტების წინააღმდეგ. მთავარია, იგი იმ დროისთვის მზად იყოს.		✓	✓		✓

- სთხოვეთ მოსწავლეებს, ახსნან, რატომ შეავსეს ცხრილი ამგვარად. მაგალითად, რომელ ტექსტთანაც ჰარმონია აქვთ მონიშნული (მაგ., მე-3 და მე-7 დახასიათებები), ისაუბრონ, რის მიხედვით მიუსადაგეს მუსიკა ტექსტს (ისაუბრონ ინტერვალებზე, აკორდულ შეხამებაზე – დისონანსურია ჰარმონიული წყობა თუ კონსონანსური), რა როლს ასრულებს ჰარმონია ამ კონკრეტული სიუჟეტური სვლის გადმოცემაში;
- რომელ ტექსტთანაც მელოდია აქვთ მონიშნული (1-ლი, მე-3, მე-7), ისაუბრონ მუსიკის გამომსახველობით ელემენტებზე; რატომ ფიქრობენ, რომ ამ ფრაგმენტში მელოდიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება? მაგალითად, ცხრილში მე-7 ფრაგმენტის მაგალითზე ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება თქვან, რომ სხვა მუსიკალურ მახასიათებლებთან ერთად მელოდიაც მონიშნეს იმიტომ, რომ ამ აუდიოფრაგმენტში მელოდია სასიამოვნო და მღერადია, რომელიც სიმშვიდის, კეთილი მომავლის რწმენის განცდას იწვევს და მიესადაგება სიუჟეტურ სვლას: „იმედი ჯერ კიდევ ცოცხლობს... კაცობრიობას მიეცემა საშუალება, კვლავ იბრძოლოს ბოროტების წინააღმდეგ“...

1

მოსწავლის წიგნში მოცემულია სამი კომპოზიციის აგებულების სქემები. მოსმენილი აუდიოფრაგმენტების მიხედვით, მოსწავლე ამ სქემებში ამოიცნობს რიფების აგებულებას – რამდენი ნაწილისგან შედგება, რა ხანგრძლივობისაა თითოეული, რითი ჰგვანან ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდებიან. მაგალითად სქემის დასაწყისში კვადრატებში ვხედავთ ორ **A** რიფს, რომლებიც ორ-ორი პატარა ნაწილისგან (მუხლისგან) შედგება (**a b**), და ორ **B** რიფს, რომლებიც ოთხ-ოთხ თანაბარ ნაწილებად (მუხლებად) დაყოფილი (**a b a b**). მის ქვემოთ განლაგებულია გიტარის სოლოს რიტმი – ორი **C** რიფი, ამ მონაკვეთში ერთვება ელექტროგიტარის სოლო. მის ქვემოთ კი **D** რიფებია, რომლებიც, თავის მხრივ, ორი, არათანაბარი ნაწილისგანაა აგებული (ყურადღება მიაქციეთ კვადრატების ზომებს). II და III ასეთივე სქემებია.

მასწავლებელი 34-35-ე გაცვეთილის აუდიოფრაგმენტებიდან მოსწავლეებს რამდენჯერმე ასმენინებს სამივე კომპოზიციის რიფებს და სთხოვს მათ, მოსმენის პარალელურად თვალი მიაღვეწონ სქემას. ცარიელ კვადრატში კი ჩაწერონ, რომელ ნომრად მოისმინეს ის ფრაგმენტი, რომელსაც რომელიმე კონკრეტულ სქემას მიუსადაგებენ.



ამის შემდეგ მოსწავლეები უპასუხებენ სახელმძღვანელოში დასმულ კითხვებს:


- დაითვალეთ, რამდენი რიფია ამ სქემაში; **პასუხი: 8**
- როგორ ფიქრობთ, ეს რიფები თანაბარი ზომისაა თუ – განსხვავებული? **არაა თანაბარი.**
- მიაქციეთ ყურადღება, რამდენი განსხვავებული რიფია ამ სქემაში;

პასუხი: 3 განსხვავებული ზომის რიფებია –


- რომელი რიფი იყოფა ორ არათანაბარ მუხლად? **D რიფი.**
- რომელი რიფი შედგება მხოლოდ ერთი მუხლისგან? **C რიფი.**

II სქემა



1



Bass guitar solo




keyboard solo



- რამდენი რიფია ამ სქემაში? მათგან რამდენია განსხვავებული?
- რომელი რიფია სამმუხლიანი?
- რამდენი მუხლია A რიფში? ერთი ზომისაა ეს მუხლები თუ არა?
- რა შეიძლება ითქვას B რიფის მუხლებზე?
- დააკვირდით B riff-ის სქემას. გარდა დასარტყამისა, კიდევ რა ჯგუფის ინსტრუმენტი ასრულებს ამ რიფს?

III სქემა

2



- რამდენი რიფია ამ სქემაში? (სულ 11 რიფია).
- რამდენია ორმუხლიანი რიფი? ორმუხლიანი რიფი **ოთხია**.
- აქედან რამდენია განსხვავებული? განსხვავებულია **ორი – D** რიფები.
- რომელ რიფშია ყველაზე მეტი მუხლი? **C რიფში**.
- არის რაიმე კანონზომიერება რიფების მონაცვლეობაში?
თუ არის, დაასახელეთ, რა კანონზომიერებაა.

პასუხი: სქემის მიხედვით რიფების მონაცვლეობაში შეიმჩნევა კანონზომიერება. მაგალითად, პირველი და მეორე რიფი ერთმანეთის სარკისებურ შებრუნებას წარმოადგენს. მესამე რიფშიც თითქოს დაცულია წონასწორობა – **C** რიფში ჯერ 4-4 მუხლია, შუაში – ორი არათანაბარი, მარჯვნივ – ისევ 4-4 მუხლი.

2 შევსებული ცხრილის ნიმუში:

ა)	რიფების კონტრასტული რიტმული ცვალებადობა კომპოზიციას განსაკუთრებულ დაძაბულობას სძენს, რაც სამყაროში უმძიმესი კატაკლიზმის მოახლოების შეგრძნებას სთვებს.	2
ბ)	აქ წარმოდგენილი რიფები განსაკუთრებულ განწყობას ქმნის, რომელიც თითქოსდა რაღაც მნიშვნელოვან საკითხებზე დაფიქრებისკენ უბიძგებს.	3
გ)	აქ წარმოდგენილი რიფები სამყაროს უკიდვანობის შეგრძნებას ტოვებს.	1

მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი პასუხები წარმოადგინონ ზეპირად ან მოსმენილი ფრაგმენტების ნუმერაცია ჩაინიშნონ ფურცელზე ასეთი სახით:

ა)	2
ბ)	3
გ)	1

36

კომპლექსური დავალება

(მიმართულება: მუსიკის გაგება კონტექსტში და ინტერპრეტაცია)

პირობა: მოუსმინეთ მუსიკალურ ფრაგმენტს „სიმფონი X“-ის ალბომიდან „ახალი მითოლოგია“. შეადგინეთ ამ მუსიკალური ფრაგმენტის სქემა, აღწერეთ ის თქვენი მიერ შედგენილი სქემის მიხედვით, წარმოადგინეთ ამ მუსიკალური ფრაგმენტის თქვენეული ინტერპრეტაცია, ახსენით, რის საფუძველზე ააგეთ თქვენი ინტერპრეტაცია.

ინსტრუქცია:

- პრეზენტაციისთვის დიდ ფორმატზე დახაზეთ სქემა;
- აღნიშნეთ თითოეული რიფი სათანადო ლიტერით;
- მიაქციეთ ყურადღება, რომ ერთი და იმავე ლიტერით არ აღნიშნოთ განსხვავებული რიფები ან რიფის მუხლები;
 - ფორმატზე აგრეთვე ჩამოწერეთ პრეზენტაციის გეგმა და წინასწარ გააცანით თანაკლასელებს, რაზე ისაუბრებთ;
 - გარკვეული ნიშნით აღნიშნეთ ის რიფები, რომელთა საფუძველზეც ააგეთ ამ ფრაგმენტების ინტერპრეტაცია.

შეფასების კრიტერიუმები:

იცავს სქემის აგების პრინციპებს;	
ხსნის პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც აქვს აგებული სქემა;	
მართებულად მოჰყავს სქემის თითოეული კომპონენტის მუსიკალური მაგალითები;	
წარმოადგენს მუსიკალური ფრაგმენტის საკუთარ ორიგინალურ ინტერპრეტაციას;	
მოჰყავს არგუმენტები საკუთარი ინტერპრეტაციის დასადასტურებლად;	
იცავს რეგლამენტს და მიჰყვება პრეზენტაციის გეგმას.	

არსებობს აზრი, რომ მითები უკვე იმდენად შორეული წარსულის ამსახველია, რომ ამ მითების შემქმნელი ხალხის ყოფას დაკარგული აქვს მათში აღბეჭდილი მოვლენების შესაბამისი ელემენტები. მაგრამ ისმება კითხვა: მაშ, რატომაა ჩვენს რეალობაში ასეთი დიდი ინტერესი მითებისა და ლეგენდების მიმართ? ერთი რამ აშკარაა: უძველესი მითები ჩვენს დროშიც ეპასუხება ეპოქას და ეხმარება ადამიანს, ბევრ ისეთ ფასეულობაზე აფიქრებს, რომლის დეფიციტსაც განვიცდით. ერთი სიტყვით, მითოლოგია კულტურის თვითრეფლექსიაა – მიზეზების, მიზნების, შედეგების, წარსულისა და მომავლის წარმოსახვა.

უძველესი მითოლოგიის თემა დღესაც იმდენად აქტუალური და საინტერესოა, რომ არ დარჩენილა ხელოვნების დარგი, ეს თემა რომ უყურადღებოდ დაეტოვებინა. ინერება სცენარები, იდგმება თეატრალური წარმოდგენები; მითოლოგიის თემამ მკვიდრად მოიკიდა ფეხი ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა და პოპულარულ დარგში – ესაა კინოხელოვნება.

მითოლოგიურ ელემენტებს ვხედავთ თითქმის ყველა სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმში (ასეთი უამრავია), მაგრამ ამ ჟანრის ფილმების უმრავლესობა არ შეიცავს მითოლოგიური გამოსახულებებისა და კონსტრუქციების პირველწყაროს; აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტი მითოლოგიური ელემენტია ფილმში, მით მეტი შანსი აქვს მას ეპოქის კულტურულ კონტექსტში დასამკვიდრებლად.

თანამედროვე კინოხელოვნებაში ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელი გახდა უძველესი მითების ახლებურად, ახალი ინტერპრეტაციით გაცოცხლება. გავიხსენოთ თუნდაც ძველბერძნული და ეგვიპტური მითების თანამედროვე ეკრანიზაცია – ფენტეზის ჟანრის ფილმები, რომლებიც მრავლად მოგვეპოვება, მაგალითად: „ტიტანების ბრძოლა“, „აქილეისი“, „ოდისეისის თავგადასავალი“, „ატლანტიდა“, „აფროდიტე“, „ორფეისი“, „ჰერკულესი“, „იასონი და არგონავტები“, „ტროა“, „მედეა“, „მინოტავრი“ და სხვა. რა არის მათ სცენარებში პირველწყარო და რა – გამოგონილი, ეს სხვა საკითხია. თუმცა ეს არცაა გასაკვირი, კინემატოგრაფიის დანიშნულება ხომ ისაა, რომ დააფიქსიროს განსაკუთრებული ნიშნით აღბეჭდილი ამბები, საინტერესო კუთხით გადმოსცეს ისტორიები, რომლებშიც მოვლენების ეპიცენტრში გამორჩეული თვისებებით დაჯილდოებული გმირები თუ მითოლოგიური ღვთაებები არიან მოქცეულნი.

თემაში განხილული ფილმების სრული ვერსიები ქართულად შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ ინტერნეტბმულებზე:

„ჰერაკლე“: <https://movie.ge/movie/MTg0MzE1>

„ეგვიპტის ღმერთები“: <https://movie.ge/movie/MjA1NTg0>

„მოსე: ღმერთები და მეფეები“: <https://poti.ge/filmebi/7961-mose-gmertebi-da-mefeebi-qartulad.html>

„ნოე“: <https://www.youtube.com/watch?v=Le1k7ED7vBM>

„პერსი ჯექსონი და ოლიმპოს ღმერთები: მეხის გამტაცებელი“: <https://movie.ge/movie/MzI2NTc>

„ბეტმენი: დასაწყისი“: <https://www.adjaranet.com/movies/53/Batman-Begins?lang=GEO&quality=HD>

ზევსი – ღმერთთა და კაცთა მამად წოდებული ბერძენთა უზენაესი ღვთაება, ცის, ელვისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი, ჰადესის, ჰესტიას, დემეტრასა და პოსეიდონის ძმა.

პოსეიდონი – ზღვის ღმერთი, ზევსის, ჰადესის, ჰერას, დემეტრას და ჰესტიას ძმა.

ჰადესი – მიცვალებულთა მინისტრული სამეფოს ღმერთი.

ათენა – ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში, ზევსის საყვარელი ქალიშვილი. ათენა სიბრძნის ქალღმერთია; მფარველობს ქალაქებს, სახელმწიფოებს, მეცნიერებას, მინათმოქმედებას, ხელოსნობას; საბერძნეთის გმირებს აძლევს სიბრძნით სავსე რჩევებს და მფარველობს საფრთხეში მყოფ მეთრეებს. მას მიიჩნევენ სამართლიანი და გონიერი ომების ქალღმერთად.

პერსეუსი – მითოლოგიური გმირი, ძველბერძნული პანთეონის მთავარი ღმერთის, ზევსის, ვაჟი. გორგონა მელუსას მკვლეელი და ანდრომედას გადამრჩენელი.

სატირები – ტყის ღვთაებები ბერძნულ მითოლოგიაში, ნაყოფიერების დემონები, ადამიანის ტანისა და თხისფეხებიანი მხიარული არსებები. ისინი ნიმფებთან არშიყში, მოლხენასა და ნადირობაში ატარებენ დროს.

1

ა) გაკვეთილზე მოსწავლეები ათვალიერებენ მოსწავლის წიგნში განთავსებულ ილუსტრაციებს ბოლო წლებში მითოლოგიის თემაზე გადაღებული რამდენიმე ფილმიდან; საუბრობენ, ნანახი აქვთ თუ არა ეს ფილმები, რა შინაარსისაა, ამ ჟანრისა და თემატიკის კიდევ რომელი ფილმები უნახავთ.

1

„ეგვიპტის ღმერთები“;

2

„მოსე: ღმერთები და მეფეები“;

3

„ნოე“;

4

„ჰერაკლე“;

5

„ტიტანთა ბრძოლა“;

6

„თორი“.

შემდეგ ისმენენ აუდიოფრაგმენტებს ამ ფილმების საუნდრეკებიდან და შეძლებისდაგვარად ამოიცნობენ, რომელი მათგანი რომელ ილუსტრაციას მიესადაგება; ახსნიან, რის მიხედვით ამოიცნეს.

ბ) მოსწავლეები განმეორებით ისმენენ 4 აუდიოფრაგმენტს ფილმების საუნდრეკებიდან: I – „ეგვიპტის ღმერთები“, II – „მოსე: ღმერთები და მეფეები“, III – „ნოე“, IV – „ავატარი“ და თანამედროვე მუსიკის საბაზო მახასიათებლების (მოსწავლის წიგნი – გვ. 46, მასწავლებლის წიგნი – გვ. 53) მიხედვით შეავსებენ ცხრილს და ახსნიან თავიანთ მოსაზრებას, რომელ აუდიოფრაგმენტში რომელი მახასიათებლები ამოიცნეს და რის მიხედვით:

ფრაგმენტი	მახასიათებლის ლიტერი
I	ა)
II	გ)
III	ბ)
IV	დ)

მასწავლებლის კითხვები:

- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში უფრო მკაფიოდ წარმოჩნდა, რომ ის მითოლოგიურ თემაზეა შექმნილი? რამ გამოიწვია თქვენი ეს მოსაზრება?
- რომელი ფრაგმენტი იწყება სასულე საკრავის სოლოთი? („ეგვიპტის ღმერთები“)
- რა ემოციას, რის ასოციაციას აღვიძრავთ ეს მელოდია? აღწერეთ რიტმი, მელოდიური ხაზი.
- რა სტატუსს მიანიჭებთ თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს – აიკონს, ინდექსს თუ სიმბოლოს? ახსენით თქვენი პასუხი.
- რომელ ფრაგმენტში ჟღერს მელოდიური, რიტმული ან ჰარმონიული ოსტინატო? (მოსე: ღმერთები და მეფეები). როგორ ფიქრობთ, რა აზრის გასატარებლად გამოიყენა ის კომპოზიტორმა?
- თქვენი სიტყვებით ახსენით, უნდა განსხვავდებოდეს თუ არა მითოლოგიურ თემაზე შექმნილი ფილმების მუსიკის მახასიათებლები სხვა ჟანრის ფილმების მუსიკისგან და, კერძოდ, რომელი მახასიათებლით. მოიყვანეთ თქვენი მოსაზრების არგუმენტი.
- მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტები ამ ფილმების საუნდრეკებია. თქვენი აზრით, სრულად არის თუ არა გადმოცემული მათში მითის არსი, თემატიკა, რომელიმე პერსონაჟების სახე-ხატის დახასიათება? ისაუბრეთ, რა ხერხებით აქვს კომპოზიტორს ეს ასახული.

2

ორი აუდიოფრაგმენტიდან მოსწავლეები ამოიცნობენ და მიუსადაგებენ ილუსტრაციას, რომელშიც მზის უზენაესი ღმერთი – რა – თავის ძლიერებას დემონსტრირებს.

მოსწავლეები ისაუბრებენ, რა გრძნობა დაეუფლათ მოსმენისას. როგორი ხერხით აქვს კომპოზიტორს ეს განწყობა გადმოცემული; დაახასიათებენ მუსიკას რიტმული ფიგურაციების, მელოდიის, ჰარმონიის, დინამიკის მიხედვით. გამოიყენებენ თანამედროვე მუსიკის მახასიათებლების ცხრილს და რომელიმე მახასიათებელს მიუსადაგებენ მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტს.

38-39

1 წარმოგიდგენთ მითოლოგიურ თემაზე შექმნილ სათავგადასავლო ფილმ-ფანტაზიას – „პერსი ჯექსონი და ოლიმპოელები: მეხის გამტაცებელი“ (რიკ რიორდანის რომანის მიხედვით, რეჟისორი კრის კოლამბუსი, კომპოზიტორი კრისტოფ ბეკი. კანადა, 2010 წ.). ფილმში, მითოლოგიაში არსებული ფაქტების გარდა, არის გამოგონილი ისტორიებიც, მაგალითად, მითოლოგიის მიხედვით, პერსეუსი ზევსის შვილია, ფილმში კი ის პოსეიდონის ვაჟად გვევლინება. ასევეა შეცვლილი სხვა პერსონაჟების წარმომავლობა და სახელები (მაგ., ლუკისა და ანაბეთის). სიუჟეტის განვითარება რეჟისორის ფანტაზიისა და კინემატოგრაფიის სპეცეფექტების შედეგია.

მოსწავლის წიგნში მოცემულია ფილმის მოკლე სიუჟეტი. მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს შვიდ აუდიოფრაგმენტს და სთხოვს მათ, თითოეული ფრაგმენტი დააკავშირონ სიუჟეტური სვლის რომელიმე მონაკვეთთან. მოსწავლეები ახსნიან, რა მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით მიუსადაგეს მუსიკა ტექსტს (რიტმული ფიგურაციები, რეგისტრი, ტემპი, ხასიათი, განწყობა, მელოდია, ჰარმონია, დინამიკა), უპასუხებენ დასმულ კითხვებს.

ბერძენთა უზენაეს ღმერთს, ზევსს, თავისი საკრალური იარაღი – მეხთამცყორცნელი კვერთხი – მოპარეს. ქურდობა ზღვის ღმერთის, პოსეიდონის ვაჟს, პერსის, ბრალდება. თუ ორი კვირის განმავლობაში ის მოპარულს არ დააბრუნებს, განრისხებული ზევსი სასტიკ ომს დაიწყებს --3-- . პერსიმ არაფერი იცის ამ ქურდობის შესახებ. უსაფრთხოებისთვის ის დედამ და მეგობარმა სპეციალურ ბანაკში წაიყვანეს --1--, სადაც ღმერთებისა და მოკვდავი ადამიანების საერთო შვილებს – ნახევრად ღმერთებს – საბრძოლო ხელოვნებაში წვრთნიან. ბანაკისკენ მიმავალ გზაზე მათ თავს დაესხა მინოტავრი --6-- და პერსის დედა მინისქვეშეთში გაიტაცა. პერსი და მისი მეგობრები კვერთხის მოსაძებნად და დედის დასახსნელად ბანაკიდან გაიპარნენ და მიცვალებულთა მინისქვეშა სამყაროში ჰადესთან ჩავიდნენ --4--, კვერთხსაც მიაგნეს და პერსის დედაც დაიხსნეს ტყვეობიდან. მალე გაცხადდა, რომ ჯადოსნური კვერთხის გამტაცებელი ლუკია, ჰერმესის შვილი, რომელმაც პერსის ქურდობის მიზეზი ასე აუხსნა: „...ძველი ღმერთები მეტისმეტად დიდხანს ბატონობენ. დროა, ისინი ჩვენმა თაობამ ჩაანაცვლოს, მსოფლიოს ჩვენი შეხედულებისამებრ შევცვლით. ეს ახალი გმირების სამყარო იქნება“. პერსი და ლუკი ერთმანეთს შეეხნენ --5-- . პერსიმ მეხთამცყორცნელი კვერთხი დაიბრუნა და ოლიმპოს მთაზე აიტანა --2-- . ზევსი კმაყოფილია, პერსიმ და მისმა მეგობრებმა სამყარო განადგურებისგან იხსნეს, დედამინაზე სიმშვიდემ დაისადგურა --7--.

დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ ნახონ ამ ფილმის სრული ვერსია (ქართულენოვანი ვარიანტი) ინტერნეტბმულზე: <https://movie.ge/movie/MzI2NTc> და შეამოწმონ თავიანთი მოსაზრება.

2

ამ აქტივობაში მოსწავლეები ისმენენ სამ აუდიოფრაგმენტს ფილმიდან „ბეტმენი: დასაწყისი“. სახელმძღვანელოში მოცემულია ციტატები ამ ფილმიდან და მოსწავლეები თითოეულ მათგანს მიუსადაგებენ მოსმენილ ფრაგმენტებს, მაგალითად ასე:

I

იცო, ლამურები თავს რატომ დაგესხნენ? – შენი ეშინიათ... ისევ საზიზღარი ლამურა... რატომ ლამურა? – იმიტომ, რომ ლამურების მეშინია. დროა, ჩემმა მტრებმაც გაიზიარონ ეს შიში.

3

II

გამუდმებით შენზე ვფიქრობდი. შენი ნილბის შესახებ გავიგე... რასაც ახლა ვხედავ, ესაა შენი ნილაბი, შენი ნამდვილი სახე კი ისაა, რომლისაც ბოროტმოქმედებს ეშინიათ. ადამიანი, რომელიც მიყვარდა და რომელიც გაუჩინარდა, აღარ დაბრუნებულა, მაგრამ იქნებ სადღაც, იქ, ჯერ კიდევ ცხოვრობს. იქნებ ერთხელაც გოტემს ბეტმენი აღარ დასჭირდეს და ისევ შევხვდეთ ერთმანეთს... მამაშენი შენით იამაყებდა... ჩემსავით.

1

III

მინდა ხალხს ვაჩვენო, რომ გოტემი დამნაშავეთა ქალაქი არაა. საკუთარი გულ-გრილობის დასაძლევად ხალხს მისაბაძი მაგალითი სჭირდება. ბრიუს ვეინის სახელით ამას ვერ გავაკეთებ – ჩემი ფიზიკურად განადგურება შესაძლებელია, მაგრამ, როგორც სიმბოლო, მე მოუდრეკელი ვარ, შემოიძლია უკვდავი ვიყო!

2

პირველი თავის ბოლო კომპლექსური დავალება:

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, თავისი სურვილისამებრ აარჩიონ მითოლოგიურ თემაზე შექმნილი რომელიმე ფილმი და კომპიუტერული პროგრამის (LMMS) საშუალებით შექმნან კომპოზიცია (ვისაც ამის ტექნიკური საშუალება აქვს).

მასწავლებლის ინსტრუქცია: არჩეული ფილმის სცენარიდან ამოიღეთ ძირითადი სიუჟეტური დეტალები, ამოჭერით მუსიკალური ფრაგმენტები (გამოიყენეთ ფილმის საუნდტრეკი) და მიაბით შესაბამის სიუჟეტურ სვლებს. დავალების პრეზენტაციისას ისაუბრეთ: რატომ აარჩიეთ ეს ფილმი; რა ფასეულობებზეა გამახვილებული ყურადღება ფილმში; რა მუსიკალურ-გამომსახველობითი მახასიათებლების მიხედვით მიუსადაგეთ ესა თუ ის მუსიკალური ფრაგმენტი ამა თუ იმ სიუჟეტურ სვლას; მიუთითეთ და დაასაბუთეთ, XX-XXI საუკუნეების მუსიკის რომელი მახასიათებელი იჩენს თავს მოცემულ ფრაგმენტებში; პრეზენტაციისას ისაუბრეთ, რა სირთულეები შეგხვდათ მუშაობის პროცესში.

კომპლექსური დავალებები

1

**პირობა:**

დანერეთ მოკლე ესე თემაზე: „რატომაა მითოლოგიური თემატიკა ჩვენს დროშიც ასეთი აქტუალური“.

ინსტრუქცია:

შეაჯამეთ თქვენი ცოდნა შესწავლილი თემის მიხედვით, მიჰყევით ინსტრუქციის მოცემულობას და თქვენი სიტყვებით მოკლედ ჩამოაყალიბეთ:

- რა არის მითოსი;
- რით განსხვავდება ის ზღაპრებისა და ლეგენდებისგან;
- მოიძიეთ ინფორმაცია და ჩართეთ თქვენს ნაშრომში სხვადასხვა ეროვნების ხალხთა, და მათ შორის, ქართული მითები;
- დაასახელეთ მითოლოგიურ თემაზე შექმნილი ფილმები, რომლებიც მოგწონთ;
- გამოთქვით თქვენი მოსაზრება, როგორ აისახება მითოლოგიური თემატიკა თანამედროვე ხელოვნებაში და, კერძოდ, მუსიკაში;
- შეარჩიეთ მითოლოგიურ თემაზე გადაღებული რომელიმე ფილმი და გამოთქვით თქვენი აზრი მის მუსიკალურ გაფორმებაზე – რომელი მუსიკალური ხერხებით აქვს კომპოზიტორს აღწერილი პერსონაჟები და სიუჟეტური დეტალები; გამოიყენეთ გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნა, განსაზღვრებები, მუსიკის მახასიათებლები, მუსიკალური ტერმინები.

დასკვნის სახით განაზოგადეთ აზრი, რატომაა მითოლოგიური თემატიკა ჩვენს დროში საინტერესო და აქტუალური; მოიყვანეთ არგუმენტები.

2



„თორი“ მითოლოგიურ თემაზე აგებული „სათავგადასავლო ფენტეზის“ ჟანრის ფილმია. სემპლებად ამოჭერით მუსიკალური თემები ჩვენ მიერ შემოთავაზებული ფილმის საუნდტრეკიდან (მე-40 გაკვეთილის აუდიომასალა), მიუსადაგეთ თქვენ მიერ შერჩეულ რამდენიმე სიუჟეტურ დეტალს, ლაიტმოტივად შეარჩიეთ რომელიმე ნაწყვეტი, რომელსაც ფონად დაურთავთ და LMMS პროგრამის მეშვეობით შექმენით კომპოზიცია.

პრეზენტაციისას ისაუბრეთ, რა სირთულეები შეგხვდათ მუშაობისას, რატომ აირჩიეთ კონკრეტული ლაიტმოტივი ფონისთვის; რისი გადმოცემა გინდოდათ ამ კომპოზიციით.

თავი II

სოციალური კატაკლიზმები მუსიკაში

მატრიცა

თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

თემა: სოციალური კატაკლიზმები მუსიკაში

საათების რაოდენობა – 5

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:

- სამყაროში მომხდარი ბუნებრივი და სოციალური კატაკლიზმები მუსიკაშიც აისახება;
- გლობალური კატაკლიზმები მუსიკაში, როგორც ხელოვნების სხვა დარგებში ან ლიტერატურაში, ხშირად შეიძლება ერთეული შემთხვევების, სოციალური კატაკლიზმების წარმოჩენით იყოს ასახული;
- მუსიკაში, როგორც ხელოვნების სხვა დარგებში ან ლიტერატურაში, ერთეული კატაკლიზმი შეიძლება იყოს ასახული მისი უბრალო აღწერით (ბგერწერა), სოციალური კატაკლიზმის დროს ან მის შემდეგ დაუფლებული განცდების გადმოცემით (ემოციური კავშირი), სიმბოლოებით (შეფასება);
- კატაკლიზმის აღსაწერად ან მის დროს დაუფლებული განცდების გადმოსაცემად კომპოზიტორები, ხშირ შემთხვევაში, მსხვილ მუსიკალურ ფორმებს მიმართავენ, როგორც ბიცა კანტატა, ორატორია, სიმფონია;
- სოციალური კატაკლიზმის შემდეგ ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გადმოცემისას, უკვე ჩამოთვლილი მსხვილი ფორმების გარდა, კომპოზიტორები მიმართავენ სასიმღერო ჟანრებს, გოსპელს, ჰიმნებს და ა. შ.;
- სოციალური კატაკლიზმების სიმბოლურად გადმოსაცემად გამოიყენება სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლები, ისეთები, როგორებიცაა მესა, რეკვიემი და სხვ.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები:

- ჟანრის მახასიათებლები მუსიკაში სოციალური კატაკლიზმების გადმოცემის დროს;
- სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, როგორც სოციალური კატაკლიზმის სიმბოლური მუსიკალური სახე.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები:

რიტმი – რიტმის სახეობები რიტმულ ფიგურაციებში, რიტმული რიფები;

მელოდია – ინტონაციური ფორმულები;

ჰარმონია – ჰარმონიული ფორმულები, ჰარმონიული სვლები;

ფორმა – მუსიკალური ციკლი;

ჟანრი – მესა, რეკვიემი; გოსპელი, სიმღერა, კანტატა, ორატორია, როკკომპოზიცია.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
- ჰარმონიის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოქალაქის, ადამიანის, საგნის დახასიათებაში; - ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსიკით გარემოს შექმნის დროს; მულოდიაჲ ჰარმონიის ნაწილია. ფორმა - ფორმა გვიჩვენებს, თუ როგორ არის აგებული მუსიკალური ნაწარმოები; - მუსიკალური ფორმა ეხმარება კომპოზიტორს, გააერთიანოს სხვადასხვა მუსიკალური ელემენტები ერთ სრულყოფილ მუსიკალურ ნაწარმოებად; - ფორმის საბუღალბო გადმოცემა მთლიანი მუსიკალური ნაწარმოების მხატვრული შინაარსი; - მუსიკალური ფორმის საშუალებით გადმოცემა მუსიკალური ნაწარმოების მთავარი იდეა; - მუსიკალური ფორმის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური აზრის განვრცობა. ჟანრი - მუსიკალური ნაწარმოების სახეობა, რომელსაც გარკვეული სტილისტური, სიუჟეტური, კომპოზიციური მახასიათებლები გააჩნია; - მუსიკალური ჟანრის წარმოქმნის ხშირ შემთხვევაში ისტორიული მოვლენები განაპირობებენ; - ხშირად ჟანრის წარმოქმნას გარკვეული ეპოქის ესთეტიკური შეხედულებებიც უწყობს ხელს.	სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, როგორც სოციალური კატაკლიზმის სიმბოლური მუსიკალური სახე რიტმი – რიტმული ფიგურაციები, როგორც მუსიკალური ნიშანი; მელოდია – ინტონაცია, რიტონაციური ფორმოლა, როგორც სიმბოლო; ჰარმონია – ინტერვლები ფორმა – კუბლექტური, ციკლი, სამწინდლიანი ფორმა; ჟანრი – სიმფონია, კანტატა, ტრადიციული მუსიკა; ორატორია, სიმღერა, გოსპელ (შავი, თეთრი).	- როგორ გადმოცემა კატაკლიზმების მახასიათებლები ინსტრუმენტულ მუსიკაში? - როგორ ამოვიცნოთ მსხვილი ფორმის ნაწარმოებში კატაკლიზმების სახეები მუსიკალურ-გამომსხველბითი ხერხებით? - როგორ გამოვიყენოთ მუსიკის გამომსხველბითი ხერხები კატაკლიზმების ნიშნების გადმოცემაში?	- შეთავაზებულ ტექსტში კატაკლიზმის ნიშნების ამოცნობა მუსიკის მახასიათებლების საშუალებით; სქემის შედგენა მოცემული ინსტრუქციის გათვალისწინებით. - შეთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტების გამოყენებით LMMS პროგრამაში კატაკლიზმის სიუჟეტის გადმოსაცემად მუსიკალური კომპოზიციის შექმნა.
- ფორმის საბუღალბო გადმოცემა მთლიანი მუსიკალური ნაწარმოების მხატვრული შინაარსი; - მუსიკალური ფორმის საშუალებით გადმოცემა მუსიკალური ნაწარმოების მთავარი იდეა; - მუსიკალური ფორმის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური აზრის განვრცობა.	ეტაპი 1. კომპლექსური დავალები არის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია) - რატომ გამოიყენება ჟანრის სხვადასხვა მახასიათებლები კატაკლიზმის გადმოსაცემაში? - როგორ ამოვიცნო სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის მახასიათებლები? - როგორ ავხსნა, თუ როგორ უკავშირდება კატაკლიზმის მახასიათებლები? ეტაპი 2. კომპლექსური დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/კნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება - კატაკლიზმის გამოხატვის რა ფორმებს იყენებენ მუსიკაში? - მუსიკალური ჟანრის რა მახასიათებლებს იყენებენ მუსიკაში? - როგორ ამოვიცნო ჟანრების მახასიათებლები? - როგორ უკავშირებენ კომპოზიტორები მუსიკალური ჟანრის გამოხატვის ფორმებს? - რა შინაარსობრივი დატვირთვა ეძლევა სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლებს მუსიკაში კატაკლიზმის წარმოჩენის დროს? - როგორ ავხსნა ყოველივე ეს სიტყვებით? - როგორ გამოვიყენო სხვადასხვა ჟანრის მახასიათებლები მუსიკით კატაკლიზმის გადმოცემის დროს?	რესურსები: მოსწავლის ნიგნი, აუდიო-ვიდეო ფრაგმენტები.	შეფასების კრიტერიუმები: განმავითარ./ განმსაზ. - განაზოგადებს, რა ინფორმაციას აწვდით მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტები; როგორ დაეხმარა მუსიკა ამ ინფორმაციის ამოკითხვაში. - ამოცნობს განსხვავებას კატაკლიზმებისა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის; სწორად განსაზღვრავს კატაკლიზმის მახასიათებლებისა და მუსიკის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირს.

ქანრის მახასიათებლები მუსიკაში სოციალური კატაკლიზმების გადმოცემის დროს

1 კითხვები მოსწავლის წიგნში:

➤ გადახედეთ ჩამონათვალს. „ატომური აფეთქება“ რაიმეს გამომწვევი მიზეზია თუ – შედეგი? პასუხები შეიძლება განსხვავებული მივიღოთ. ერთ-ერთ ვარიანტად მოსწავლემ შეიძლება უპასუხოს, რომ ატომური აფეთქება შეიძლება მოწინააღმდეგე მხრიდან რაიმე ქმედებით გამოწვეულ შედეგად მივიჩნიოთ, რომელსაც წარმოუდგენლად ნეგატიური შედეგი მოჰყვება და, ამავე დროს, მიზეზადაც (რადგან ატომურ აფეთქებას შეიძლება საპასუხო მოქმედება მოჰყვეს და მაშინ ეს მიზეზად ჩაითვლება).

➤ რით შეცვლიდით მაგალითს – „თვითმფრინავის შეჯახება ცათამბჯენთან“? მოსწავლეებს ამ კითხვაზე პასუხი არ გაუჭირდებათ. თვითმფრინავის ცათამბჯენთან შეჯახება ტერორისტული აქტია და ამგვარი მაგალითები, სამწუხაროდ, მრავლად მოიძიება (თუმცა შედარებით ნაკლები დანაკარგით), მაგალითად, ტერორისტული აქტები ხალხმრავალ ადგილებში – ბაზრობაზე, სტადიონზე, სუპერმარკეტში, სასწავლო დაწესებულებაში, რესტორანში, სპორტულ დარბაზში ან დისკოთეკაზე.

➤ არის თუ არა ამ ჩამონათვალში ისეთი ერთეული შემთხვევა, რომელიც ერთზე მეტი გლობალური კატაკლიზმის მომასწავებელია?

ერთ-ერთი სავარაუდო პასუხი: III – ატომური აფეთქება შეიძლება როგორც ტოტალური კატასტროფის, ასევე კლიმატური ცვლილებების მომასწავებელიც იყოს.

სახელმძღვანელოში მოსწავლეებს ვთავაზობთ გაეცნონ ქვემოთ მოცემულ კატაკლიზმის ერთეული შემთხვევის რამდენიმე სახეობას:

I	თვითმფრინავის შეჯახება ცათამბჯენთან
II	ადამიანის საზოგადოებიდან გარიყვა, ხალხის მტრად გამოცხადება
III	ატომური აფეთქება
IV	რევოლუცია

მოსწავლეები შეეცადებიან, ამ სახეობებს დაუკავშირონ მათი გამომწვევი გლობალური კატაკლიზმები, რომელთა ჩამონათვალიც ქვემოთაა მოცემული. ისინი ცარიელ უჯრებში ჩასვამენ სათანადო რიგით ნომრებს, შემდეგ კი უპასუხებენ მოსწავლის წიგნში დასმულ კითხვებს. იხილეთ პირობითი ნიმუში:

ა	ტოტალიტარიზმი	II
ბ	კლიმატური ცვლილება	III
გ	სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ნგრევა	IV
დ	ტერორიზმი	I

შემდეგი დავალება: მოსწავლეები ეცნობიან მუსიკაში მათი გამოხატვის ფორმების აღ-
წერებს და ცარიელ კვადრატებში ჩაწერენ ერთეული შემთხვევის აღმნიშვნელ ლიტერს.
იხილეთ პირობითი ნიმუში:

- 1) გუნდის პარტიაში კვინტების ეფემერული (თითქოსდა არარეალურის, მოჩვენებითის აღმნიშვნელი) ჟღერადობის ფონზე მშრალი მელოდეკლამაციური წამოძახილები არაამქვეყნიური სამყაროს არსებობის განცდას გვითვებს;

II
- 2) რიგრიგობით აღებული ბგერები ერთ შემზარავ კლასტერში ერთიანდება, რომლის ჟღერადობა საშინელი კატასტროფის გარდაუვალობის შეგრძნებას ბადებს;

IV
- 3) სიმებიანების რბილი აკომპანემენტის ფონზე ეულად გაჟღერებული კლარ-
ნეტის სოლოს სასონარკვეთილებით დამუხტულ ინტონაციებს ფლეიტის ვედრების
ინტონაციები ენაცვლება;

I
- 4) ოსტინატური საორკესტრო თანხლების ფონზე უხეში მელოდეკლამაციური წამოძახილი, ქალთა და მამაკაცთა გუნდების მოკლე ფრაზების მონაცვლეობა ერთიანდება შეუჩერებელ ნაკადში, რომელიც, დიდი ურჩხულის მსგავსად, ვეებერთელა ნაბიჯებით უფსკრულისკენ მიემართება.

III

2 ამ აქტივობაში მოსწავლეები მოისმენენ მუსიკალურ ფრაგმენტებს:

- 1) კშიშტოფ პენდერეცკი – „ჰიროსიმაში დაღუპულთა დატირება“;
- 2) სერგეი პროკოფიევი – კანტატა „ოქტომბერი“;
- 3) ჯონ ადამსი – „სულთა გადასახლების შესახებ“;
- 4) დიმიტრი შოსტაკოვიჩი – ფრაგმენტი სიმფონიიდან №10.

მოსმენის შემდეგ მოსწავლეები შეავსებენ ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მუსიკალური ფრაგმენტების დასახელებებს ისინი გაეცნობიან ცხრილის შევსების შემდეგ):

შევაჯამოთ მიღებული ცოდნა. რვეულში ცხრილის შევსებისას მოსწავლეები იხელ-
მძღვანელებენ პასუხებით, რომლებიც პირველ აქტივობაში დააფიქსირეს. პირობითად
შევსებული ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

კატაკლიზმი (გლობალური პრობლემა):		
ტოტალიტარიზმი		
კატაკლიზმის მომასწავებელი ერთეული შემთხვევა	გამოხატვის ფორმა	მუსიკალური ფრაგ- მენტი
ა	II	3
კატაკლიზმი (გლობალური პრობლემა):		
კლიმატური ცვლილება		
კატაკლიზმის მომასწავებელი ერთეული შემთხვევა	გამოხატვის ფორმა	მუსიკალური ფრაგ- მენტი
ბ	III	1
კატაკლიზმი (გლობალური პრობლემა):		
სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ნგრევა		
კატაკლიზმის მომასწავებელი ერთეული შემთხვევა	გამოხატვის ფორმა	მუსიკალური ფრაგ- მენტი
გ	IV	2
კატაკლიზმი (გლობალური პრობლემა):		
ტერორიზმი		
კატაკლიზმის მომასწავებელი ერთეული შემთხვევა	გამოხატვის ფორმა	მუსიკალური ფრაგ- მენტი
დ	I	4

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ცხრილში მახასიათებლებს ვერ მიუსადაგებს ერთმანეთს, იმ გრაფას ცარიელს დატოვებს და ახსნის თავის გადანწყვეტილებას.

მასწავლებელი მოსწავლეებს გა-
აცნობს მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტების დასახელებებს და ეკითხება მათ: რამდენად დაემთხვა თქვენი მოსაზრებები მიღებულ ინ-
ფორმაციას? შეცვლიდით თუ არა რომელიმე პასუხს თქვენ მიერ შევ-
სებულ ცხრილში? კერძოდ, რას შეცვლიდით და რატომ?

სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, როგორც სოციალური კატაკლიზმის სიმბოლური მუსიკალური სახე

1 მასწავლებელი: წინა აქტივობებში შემოგთავაზეთ აკადემიური მუსიკის ნიმუშები. ამ გაკვეთილზე მოსწავლეები ისმენენ პოპმუსიკის ნიმუშებს და მითითებული ერთეული შემთხვევის სათანადო უჯრაში ჩასვამენ მათ რიგით ნომერს. შევსებული უჯრები ასეთ სახეს მიიღებს:

1. ანსამბლი „აბბა“, „ვიზიტორები“ („Visitors“)	3	ბირთვული იარაღის წარმოება
2. მაიკლ ჯექსონი, „ისინი ჩვენზე არ ზრუნავენ“ („They Don't Care About Us“)	2	რეპრესიები
3. სტინგი, „რუსები“ („Russians“)	4	რასიზმი
4. ანსამბლი „ქილერს“ „თავისუფლების მიწა“ (The Killers“, „Land of the Free“)	1	კლასობრივი დაპირისპირება

მოსწავლეები ცხრილს გადაიტანენ რვეულში/ფურცელზე და შეავსებენ. მოზარდები ახსნიან, რის მიხედვით შეავსეს ცხრილი ასე.

იხილეთ შევსებული ცხრილის პირობითი ნიმუში:

	კატასტროფის დროს დაუფლებული განცდებისა და ემოციების გადმომცემი	კატასტროფის შემ- დეგ დაუფლებული განცდებისა და ემო- ციების გადმომცემი	კატასტროფის აღმწერი	კატასტროფის ალეგორიულად გადმომცემი
ფრაგმენტი 1	✓			
ფრაგმენტი 2				✓
ფრაგმენტი 3			✓	
ფრაგმენტი 4		✓		

2 კითხვაზე – განვლილი მასალიდან გაიხსენეთ, რა ნიშნის სტატუსი ენიჭება მუსიკალურ ციტატას? – მოსწავლეები გაიხსენებენ, რომ მუსიკალური გამონათქვამი შეიძლება მუსიკალურ **სიმბოლოდ** ჩაითვალოს, თუკი იგი გამოყენებულია, როგორც მუსიკალური ციტატა. ამ შემთხვევაში ციტატა სერგეი პროკოფიევის სიმფონიური სიუიტიდან – „ლეიტენანტი კიჟე“ – გამოყენებული აქვს სტინგს.

სახელმძღვანელოში მოცემულია სანოტო ჩანაწერები, რომელთა მიხედვით მოსწავლეები უპასუხებენ დასმულ კითხვებს:



- რომელ მაგალითშია მხოლოდ ოთხი განსხვავებული ნოტი? (პასუხი: დ-ში)
- რამდენი მელოდია იწყება დაღმავალი სვლით? (პასუხი: ბ და დ)
- დაღმავალი სვლით დაწყებული ორი სანოტო მაგალითიდან მოუსმინეთ ერთ-ერთის აუდიოვერსიას. ამოიცანით რომელი სანოტო მაგალითია? (დ – მაიკლ ჯექსონი – აქტივობა 1-ის აუდიოფაილიდან №2).

3 მოსწავლეები ისმენენ სამ აუდიოფრაგმენტს; განსაზღვრავენ, რა ჟანრის ნაწარმოებები მოისმინეს და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებას, რომელ ჟანრს ან ჟანრის მახასიათებელს გამოიყენებდნენ კატაკლიზმით გამონვეული განცდის გადმოსაცემად; ახსნიან თავიანთ მოსაზრებას. შევსებული ცხრილი, სავარაუდოდ, ასეთი იქნება:

ა) გოსპელი (რელიგიური ჰიმნებისა და ხალხური მელოდიების შერწყმის შედეგად შექმნილი ჟანრი);	1 კატასტროფის დროს დაუფლებული განცდებისა და ემოციების გადმომცემი;
ბ) რეკვიემი (სამგლოვიარო ორატორიის ერთგვარი სახეობა);	3 კატასტროფის შემდეგ დაუფლებული განცდებისა და ემოციების გადმომცემი;
გ) ხალხური ან საესტრადო სიმღერა (სიმღერა მარტივი მელოდიით, რომლის შესრულება ბევრ ადამიანს შეუძლია).	2 კატასტროფის ალეგორიულად გადმომცემი.

- რომელ ფრაგმენტში ჟღერს მხოლოდ გუნდი?
- რომელ ფრაგმენტში მონაცვლეობს სოლისტი და ანსამბლი?
- რა როლს ასრულებს ამ ფრაგმენტში გუნდი – ის თანხლებას უწევს სოლისტს თუ ერთვება სოლისტის სიმღერაში?
- რომელ ფრაგმენტში ენაცვლება ერთმანეთს სოლისტი და გუნდი?
- როგორ ფიქრობთ, რა გრძნობაა გადმოცემული გოსპელში – სევდა, ნუხილი, ვედრება, მაღლიერება თუ კიდევ სხვა რამ?

- რომელ ფრაგმენტშია დიალოგის, კითხვა-პასუხის ინტონაციები სოლისტსა და გუნდს შორის?
- თქვენი აზრით, რა ფუნქციის მატარებელია ამ შემთხვევაში გუნდი – ხაზს უსვამს სოლისტის პარტიის განსაკუთრებულობას თუ დამატებით ჟღერადობას სძენს კომპოზიციას? შეადარეთ ეს სამივე ჟანრი ერთმანეთს – რა მახასიათებლებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

4

მოსწავლეები ისმენენ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს მე-4 აქტივობის აუდიოფაილებიდან:

1. ს. პროკოფიევი – კანტატა „ოქტომბერი“;
2. ბულგარული ხალხური სიმღერა;
3. ანსამბლი „ქილერს“ (The Killers – „თავისუფლების მიწა“ („Land of the Free“)).

კითხვა: მოსმენილი აუდიოფაილებიდან რომელშია გადმოცემული დაძაბული ემოციური მუხტი – დიდი ტრაგედიის, შინაგანი განცდების, შიშისა და მწუხარების ინტონაციები? რის მიხედვით მიხვდით ამას – ტექსტის, ინტონაციის თუ მუსიკალურ-გამომსახველობითი მახასიათებლების მიხედვით? დაასახელეთ, რომელ მუსიკალურ ჟანრს მიეკუთვნება ის.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ეს მუსიკალური ფრაგმენტები რომელიმე მახასიათებლებით დაუკავშირონ ცხრილში მოცემულ მუსიკალურ ჟანრებს (განმეორებით მოასმენინეთ მე-3 აქტივობის აუდიოფაილები).

თუ მოსმენილ მუსიკალურ ფრაგმენტს ვერანაირი მახასიათებლით ვერ დაუკავშირებთ რომელიმე ჟანრს, ის უჯრა ცარიელი დატოვეთ და ახსენით თქვენი მოსაზრება.

	გოსპელი	რეკვიემი	ხალხური სიმღერა
ფრაგმენტი 1			
ფრაგმენტი 2			✓
ფრაგმენტი 3	✓		

მოსწავლეები საუბრობენ, რატომ შეაფასეს ცხრილი ამგვარად, რომელი ჟანრი დაუკავშირეს მოსმენილ ფრაგმენტს შინაარსის მიხედვით და რომელი – მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით.

მოსწავლეები საუბრობენ მოსმენილი ნაწარმოებების განწყობაზე, ხასიათზე, ინტონაციაზე, ემოციურ მუხტზე.

სავარაუდო პასუხი: მუსიკის გამომსახველობითი ხერხებით ერთმანეთს მიესადაგება გოსპელი და მე-3 ნომრად მოსმენილი ფრაგმენტი (ანსამბლი „ქილერს“ – „თავისუფლების მიწა“), რომელშიც შეიძლება ამოვიცნოთ კათოლიკური საეკლესიო მუსიკის ჟანრის – გოსპელის – ინტონაციები. „თავისუფლების მიწის“ სასიმღერო მელოდია კუპლეტური ფორმისაა, დიდ ინტერვალებზე ნახტომების გარეშე, ტემპი ზომიერია, ჰარმონია – კონსონანსური, მკვეთრად გამოხატული მეტრო-რიტმული ფიგურაციით, რაც გოსპელის ჟანრის მუსიკასაც ახასიათებს.

➤ გაიხსენეთ და განმარტეთ, რა არის კანტატა და რა არის რეკვიემი. შეადარეთ ერთმანეთს სერგეი პროკოფიევის კანტატა „ოქტომბერი“ და რეკვიემი. კიდევ ერთხელ მოისმინეთ ფრაგმენტები ამ ნაწარმოებებიდან და გამოთქვით თქვენი აზრი, შეიძლება თუ არა რაიმე მახასიათებლებით მივუსადაგოთ ერთმანეთს (ემოციური მუხტით, შინაარსობრივი ან მუსიკალურ-გამომსახველობითი ელემენტებით)?

ახსენით თქვენი მოსაზრება.

პირობა:

დანერეთ ესე „სოციალური კატაკლიზმები სხვადასხვა დროის მუსიკაში“ შემდეგი მუსიკალური ნაწარმოებების მიხედვით:

დ. შოსტაკოვიჩი – კვარტეტის N8;

ჯგუფი „ოთხი სერჟანტი“ („The Four Sergeants“) და როზმარი ჯიუნი – „ჩვენ ეს ადრეც გავაკეთეთ და შეგვიძლია ისევ გავაკეთოთ“ („We Did It Before And We Can Do It Again“);

რიჰარდ შტრაუსი – „მეტამორფოზები“;

ამერიკული სიმღერა „შენანდოა“ („Shenandoah“).

ინსტრუქცია:

იმისათვის, რომ გაგიადვილდეთ ესეს დანერა, შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

- მოისმინეთ ფრაგმენტი ბეთჰოვენის სიმფონიიდან N3 – „გმირული“ და დაადგინეთ, პირობაში ჩამოთვლილი ნაწარმოებებიდან რომელში უღერს ამ თემის ინტონაციები. აღნიშნეთ ✓ ნიშნით სათანადო ნაწარმოების უჯრა.
- დააფიქსირეთ თქვენი აზრი, რა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს მოსმენილ ფრაგმენტს ბეთჰოვენის სიმფონიიდან (სამგლოვიარო მარში) და შეადარეთ თქვენ მიერ მასთან მისადაგებულ ნაწარმოებში გაჟღერებულ ინტონაციას – რისი ინტონაცია ამოიცანით ამ ნაწარმოებში. ახსენით, რის მიხედვით ივარაუდეთ ასე.

1. დ. შოსტაკოვიჩი – კვარტეტი N8;

☐

2. ჯგუფი „ოთხი სერჟანტი“;

☐

3. რ. შტრაუსი – „მეტამორფოზები“;

☒

4. „შენანდოა“.

☐

➤ შეავსეთ ცხრილი. შევსებისას გაითვალისწინეთ წინა დავალებების პასუხები.

	კატასტროფის დროს დაუფლებული განცდებისა და ემოციების გადმომცემი	კატასტროფის შემდეგ დაუფლებული განცდებისა და ემოციების გადმომცემი	კატასტროფის აღმწერი	კატასტროფის ალეგორიულად გადმომცემი	კატასტროფით დაზარალებულების გამხსნეველები
1			✓		
2					✓
3	✓	✓			
4				✓	

- ცხრილის მიხედვით მიუთითეთ, რა სტატუსი მიანიჭეთ თითოეულ ნაწარმოებს;
- აღნიშნეთ თითოეული ნაწარმოების მახასიათებლები და მათი როლი ცხრილში მოცემული შინაარსის გადმოცემაში;
- მიუთითეთ, ჟანრის რომელ მახასიათებლებს აქვს გადამწყვეტი როლი კონკრეტული შინაარსის გამოცემაში;
- ამ მაგალითებზე დაყრდნობით ახსენით, რა შემთხვევაში იყენებენ ამა თუ იმ ჟანრს გარკვეული შინაარსის გადმოსაცემად.

შეფასების კრიტერიუმები:

აღწერა	
განწყობის მიხედვით აკავშირებს აუდიოჩანაწერს კონკრეტულ შინაარსთან.	2
ამოიცნობს ცალკეულ მუსიკალურ მახასიათებლებს და მათ ფუნქციებს.	2
მუსიკალურ მახასიათებლებს აკავშირებს ჟანრობრივ მახასიათებლებთან.	2
ახსნა	
ხსნის თავის არჩევანს (არგუმენტირებული მსჯელობის დროს მიზნობრივად იყენებს ტერმინებს, სათანადო ლექსიკას).	1
შეფასება	
ადგენს ჟანრობრივი მახასიათებლების გამოყენების კანონზომიერებას.	2
პრეზენტაციის დროს გასაგებად და თანმიმდევრულად გამოთქვამს მოსაზრებებს.	1

თავი III

გმირი და ანტიგმირი მუსიკაში

მატრიცა

თემატური ბლოკი: მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში თემა: გმირი და ანტიგმირი მუსიკაში საათების რაოდენობა – 5
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: • მუსიკის საშუალებით შესაძლებელია გადმოიცეს გმირისა და ანტიგმირის სახე. • გმირისა და ანტიგმირის სახე სხვადასხვა ეპოქის კომპოზიტორებმა სხვადასხვაგვარად გამოხატეს მუსიკაში. • მუსიკაში გმირისა და ანტიგმირის გადმოცემა შესაძლებელია ფორმით, მხატვრულ სახეთა კონტრასტით. • გმირისა და ანტიგმირის წარმოსაჩენად გამოიხატება ლაიტმოტივები, ლაიტჰარმონიები, ინტონაციური ფორმულები. • შესაბამისი რიტმის, ჰარმონიის, ფორმის შერჩევა გმირისა და ანტიგმირის სახის შესაქმნელად. • გმირისა და ანტიგმირის დაპირისპირების მუსიკალური ფორმის საშუალებით ტრანსფორმირება.
თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები: • როგორ ამოვიცნოთ გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლები ინსტრუმენტულ მუსიკაში? • როგორ გადმოიცემა გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლები ინსტრუმენტულ მუსიკაში? • როგორ შეიძლება გადმოვცეთ გმირისა და ანტიგმირის შორის კონფლიქტი ინსტრუმენტულ მუსიკაში? • როგორ გადმოიცემა გმირისა და ანტიგმირის სახე ვოკალურ მუსიკაში? • როგორი ინტონაციური დატვირთვა აქვს გმირსა და ანტიგმირს ვოკალურ მუსიკაში?
თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები: გმირისა და ანტიგმირის სახე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში.

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები:

რიტმი – რიტმის სახეობები რიტმულ ფიგურაციებში;

მელოდია – ინტონაციური ფორმულები;

ჰარმონია – ჰარმონიული ფორმულები, ჰარმონიული სვლები;

ფორმა – მუსიკალური თემები, მოტივი;

ჟანრები – ოპერა, უვერტიურა, სიმფონია, სიმფონიური სიუიტი.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
რიტმი • რიტმი გრძლიობის მიხედვით ხმებს, ბგერებს გარკვეული თანმიმდევრობით ალაგვებს და მუსიკაში ერთდროულ წესრიგს ამყარებს; • მუსიკაში მელოდია ვერ არსებობს რიტმის გარეშე, თუმცა რიტმს მუსიკაში დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია; • რიტმი მელოდიას და ზოგადად მთლიან მუსიკალურ ნაწარმოებს სხვადასხვა ხასიათს სძენს; • რიტმი მუსიკას ემოციის, ემოციური ცვალებადობის გადმოცემაში ეხმარება. მელოდია • მელოდია არის ერთ ხმაში გადმოცემული მუსიკალური აზრი; • მელოდიაში მუსიკალური აზრი დროში ხმის სიმაღლეების ცვლით გადმოიცემა; • ინტონაცია მელოდიის ის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც მას შინაარსს სძენს და სიმაღლის მიხედვით უზრალო ბგერათა ცვლიდან განსხვავებს; • ინტონაცია ხშირ შემთხვევაში ბუნებაში არსებულ ინტონაციებს ემსგავსება, რითაც იგი განსაკუთრებულ ემოციურ გამოხატულებას ქოვებს მსმენელში;	გმირისა და ანტიგმირის სახე სხვადასხვა ფანრის ნაწარმოებებში რიტმი – რიტმული ფიგურაციები, როგორც მუსიკალური ნიშანი; მელოდია ინტონაცია, ინტონაციური ფორმულა, როგორც ნიშანი; ჰარმონია კონსონანსი, დისონანსი, ინტერვალები, აკორდები ფორმა მოტივი, თემა, ფრაზა; ფანრი ოპერა, სიმფონია, სიმფონიური პოემა, უვერტიურა.	1. როგორ წარმოიჩნდება გმირი და ანტიგმირი სხვადასხვა ფანრის ნაწარმოებში; 2. როგორ უკავშირდება შინაარსობრივად მუსიკის გამომსახველობითი ხერხები გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლებს; 3. რა ტრანსფორმაციას განიცდის გმირი ნაწარმოებში და რა ხერხებით არის გადმოცემული ყოველივე ეს?	შეთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტების გამოყენებით გმირის ცხოვრების გადმოცემა; როგორ იცვლება გმირი ცხოვრების გამოწვევების მოგვერებისა და განსაცდელების გადალახვის შემდეგ (საქმის შესება, მოხსნების გაკეთება ამ ფრაგმენტების მაგალითზე).
ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია) • როგორ ამოვიცნო გმირისა და ანტიგმირის მახასიათებელი ინტერმენტულ მუსიკაში; • როგორ ამოვიცნო ნიშნების სტატუსი; • როგორ ავხსნა გმირისა და ანტიგმირის მუსიკის მახასიათებლების განსხვავება? ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა; სამიზნე ცნებებთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება. • რითი განსხვავდება გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლები; • რა სტატუსები ენიჭება სხვადასხვა ნიშანს გმირისა და ანტიგმირის ამოცნობაში; • რა როლს თამაშობს მუსიკა გმირისა და ანტიგმირის ამოცნობაში; • როგორ უკავშირდება გმირის, ანტიგმირისა და მუსიკის მახასიათებლები ერთმანეთს? ➢ როგორ ამოვიცნო სხვადასხვა ნიშნის შინაარსობრივი დატვირთვა; ➢ როგორ იჩენს თავს ეს მახასიათებლები მუსიკაში; ➢ როგორ ავხსნა ყოველივე ეს სიტყვებით; ➢ როგორ გამოვიყენო ტრადიციული მუსიკის გამომსახველობითი ხერხები გმირისა და ანტიგმირის მუსიკით ასახვის დროს?	რესურსები: მოსწავლის წიგნი, აუდიოფრაგმენტები.	შეფასების კრიტერიუმები: განმავითარებელი/განმსაზღვრელი • განაზოგადებს, რა ინფორმაციას აწვდით მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტები; როგორ დაეხმარა მუსიკა ამ ინფორმაციის ამოკითხვაში. • ამოიცნობს და სწორად განსაზღვრავს გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლებისა და მუსიკის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირს.	

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვდარი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
• არსებობს მელოდოური ინტონაციები, რომლებსაც კონკრეტული მდგრადად შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია და სხვადასხვა ემოციის მუსიკაში ამავე შინაარსობრივი მნიშვნელობით გამოიყენება; • მელოდია ვერ არსებობს რიტმის გარეშე. ჰარმონია • ჰარმონია ცალკეულ ბეჭერებს თანახმიაზობაში აერთიანებს; • ჰარმონიაში სხვადასხვა ბეჭერებს თანახმიაზობა არსებობს: ინტერვალთა, აკორდით, კილო, ბერათონობა და ა. შ.; • ჰარმონიაში აკორდების თანმიმდევრობების მკაცრი კანონები არსებობს, რასაც ჰარმონიულ სვლებს ან ფორმულებს უწოდებენ; • ჰარმონიული სვლების სამუშაოებით ვითარდება მუსიკალური აზრი; • ჰარმონიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუსიკით განწყობის შექმნაში; • ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოვლენის ადამიანის, საგნის დახასიათებაში; • ჰარმონიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუსიკით გარემოს შექმნის დროს; • მელოდიაც ჰარმონიის ნაწილია.	გმირისა და ანტიგმირის სახე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში რიტმი – რიტმული ფიგურაციები, როგორც მუსიკალური ნიშანი; მელოდია ინტონაცია, ინტონაციური ფორმულა, როგორც ნიშანი; ჰარმონია კონსონანსი, დისონანსი, ინტერვალები, აკორდები ფორმა მოტივი, თემა, ლაიტმოტივი; ფრაზა; ჟანრი უვერტიურა.	1. როგორ წარმოჩნდება გმირი და ანტიგმირი უვერტიურაში; 2. როგორ უკავშირდება შინაარსობრივად მუსიკის გამოშვებული ხერხები გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლებს; 3. რა ტრანსფორმაციას განიცდის გმირი ნაწარმოებში და რა ხერხებით არის გადმოცემული ყოველივე ეს?	• LMMS პროგრამაში კომპოზიციის შექმნა ლ. ვან ბეთჰოვენის უვერტიურა „ეგმონტის“ მიხედვით.
			ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია) • როგორ ამოვიცნო გმირისა და ანტიგმირის მახასიათებელი უვერტიურაში; • როგორ ამოვიცნო ნიშნების სტატუსი; • როგორ ავხსნა გმირისა და ანტიგმირის მუსიკალური მახასიათებლების განსხვავება? ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა; სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება. • რა სტატუსები ენიჭება სხვადასხვა ნიშანს გმირისა და ანტიგმირის ამოცნობისას უვერტიურაში; • როგორ ამოვიცნო თითოეული ნიშნის სტატუსი; • რა როლს ასრულებს მუსიკა გმირისა და ანტიგმირის ამოცნობაში; • როგორ უკავშირდება გმირის, ანტიგმირისა და მუსიკის მახასიათებლები ერთმანეთს? ➤ როგორ ამოვიცნო სხვადასხვა ნიშნის შინაარსობრივი დატვირთვა; ➤ როგორ იჩენს თავს ეს მახასიათებლები მუსიკაში; ➤ როგორ ავხსნა ყოველივე ეს სიტყვებით; ➤ როგორ გამოვიყენო ტრადიციული მუსიკის გამოშვებულობითი ხერხები გმირისა და ანტიგმირის მუსიკით ასახვის დროს?
			რესურსები: მოსწავლის წიგნი, აუდიოფრაგმენტები. შეფასების კრიტერიუმები: განმავითარებელი/ განმსაზღვრელი • განაზოგადებს, რა ინფორმაციას აწვდის მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტები; როგორ დაეხმარა მუსიკა ამ ინფორმაციის ამოკითხვაში. • ამოიცნობს და სწორად განსაზღვრავს გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლებსა და მუსიკის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ურთიერთდაკავშირებას.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა/შეკითხვები	კომპლექსური დავალებები
ფორმა • ფორმის საშუალებით გადმოიცემა მთლიანი მუსიკალური ნაწარ-მოების მხატვრული შინაარსი; • მუსიკალური ფორმის საშუალებით გადმოიცე-მა მუსიკალური ნაწარ-მოების მთავარი იდეა; • მუსიკალური ფორ-მის მეშვეობით იქმნება მხატვრული სახე; • მუსიკალური ფორმის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური აზრის გაანერცობა; ჟანრი • მუსიკალური ნაწარ-მოების სახეობა, რომელსაც გარკვეული სტილისტური, სიუ-ჟეტური, კომპოზიცი-ური მახასიათებლები გააჩნია; • მუსიკაში ჟანრი ნაწარმოების ფორმას განაპირობებს (ხშირ შემთხვევაში ჟანრის და ფორმის სახელწოდება ემთხვევა კიდევაც) და განსაზღვრავს მის ში-ნაარსს და ხასიათს.	გმირისა და ანტიგმირის სახე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში რიტმი – რიტმული ფიგურაციები, როგორც მუსიკალური ნიშანი; მელიოდი ინტონაცია, ინტონაციური ფორმულა, როგორც ნიშანი; ჰარმონია კონსონანსი, დისონანსი, ინტერვალები, აკორდები ფორმა მოტივი, თემა, ლაიტმოტივი; ფრაზა; ჟანრი პროგრამული სიმფონია (დრამატული ლეგენდა), ბალეტი.	1. როგორ წარმოჩნდება გმირი და ანტიგმირი სიუჟეტურ სიმფონიაში, სიმფონიურ პოემაში; 2. როგორ უკავშირდება შინაარ-სობრივად მუსიკის გამომსახ-ველობითი ხერხები გმირისა და ანტიგმირის მახასიათებ-ლებს; 3. რა ტრანსფორმაციას განიც-დის გმირი ნაწარმოებში და რა ხერხებით არის გადმოცე-მული ყოველივე ეს?	შეთავაზებული მუსიკალური ფრაგმენტების გამოყენებით ცხრილის შედგენა ალექსი მაჭავარიანის ბალეტის, „ოტელოს“, მიხედვით.
	ეტაპი 1. კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია) • როგორ ამოვიცნო გმირისა და ანტიგმირის მახასიათებელი სიუჟეტური სიმფონიაში (დრამატული ლეგენდა); • როგორ ავხსნა გმირისა და ანტიგმირის მუსიკალური მახასიათებლების განსხვავება? ეტაპი 2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა; სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება. • რა სტატუსები ენიჭება სხვადასხვა ნიშანს გმირისა და ანტიგმირის ამოცნობისას სიუჟეტურ სიმფონიაში; • როგორ ამოვიცნო თითოეული ნიშნის სტატუსი; • რა როლს ასრულებს მუსიკა გმირისა და ანტიგმირის ამოცნობაში; • როგორ უკავშირდება გმირის, ანტიგმირისა და მუსიკის მახასიათებლები ერთმანეთს? ➢ როგორ ამოვიცნო სხვადასხვა ნიშნის შინაარსობრივი დატვირთვა; ➢ როგორ იჩენს თავს ეს მახასიათებლები მუსიკაში; ➢ როგორ ავხსნა ყოველივე ეს სიტყვებით; ➢ როგორ გამოვიყენო ტრადიციული მუსიკის გამომსახველობითი ხერხები გმირისა და ანტიგმირის მუსიკით ასახვის დროს?	შეფასების კრიტერიუმები: განმავითარებელი/ განმსაზღვრელი • განაზოგადებს, რა ინფორმაციას აწვდით მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტები; როგორ დაეხმარა მუსიკა ამ ინფორმაციის ამოკითხვაში. • ამოიცნობს და სწორად განსაზღვრავს გმირისა და ანტიგმირის მახა-სიათებლებისა და მუსიკის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირს.	
	რესურსები: მოსწავლის წიგნი, აუდიო-ვიდეოფრაგმენტები.		

გმირისა და ანტიგმირის სახე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში

1 ბუნებრივია, როდესაც გმირზე და ანტიგმირზეა საუბარი, საკითხის გახსნისას მოსწავლეებს უნდა წარმოვუდგინოთ, თუ რა მახასიათებლებით გამოირჩევა გმირი და ანტიგმირი. არსებობს გმირის სიტყვიერი დახასიათება და შემდეგ ამ დახასიათებისთვის მუსიკალური დახასიათებების მისადაგება სხვადასხვა ნაწარმოებიდან.

ხელოვნების ნაწარმოებებში პერსონაჟის დახასიათებისას ხშირად გამოიყენება ტერმინები – გმირი და ანტიგმირი – გმირი და ანტაგონისტი (მონინალმდეგე).

თქვენი სიტყვებით განმარტეთ, ვინ შეიძლება მივიჩნიოთ გმირად და ვინ – ანტიგმირად და, ზოგადად, რას ვუნოდებთ გმრობას.

გაეცანით გმირისა და ანტიგმირის რამდენიმე მახასიათებელს. გამოთქვით თქვენი მოსაზრება, შეცვლიდით ან დაამატებდით რაიმეს თუ არა რომელიმე აღწერაში.

გმირი:

1. რომანტიკული, მეოცნებე; ეჭვი არ ეპარება ცხოვრებისეულ ფასეულობებში, იბრძვის იდეალების დასაცავად, ისწრაფვის სრულყოფისაკენ;
2. პატრიოტია, შეუძლია თავგანწირვა სამშობლოსა და ადამიანის ღირსების დასაცავად; უანგაროდ ეხმარება ჩაგრულთ ცხოვრებისეულ გამოწვევების გამკლავებაში.
3. არასოდეს წუნუნებს; წარუმატებლობაში საკუთარი თავის გარდა, არავის ადანაშაულებს, არ გაუბრუნებს რეალობას;
4. სასოწარკვეთილობის დროსაც კი ახერხებს კეთილგონიერების შენარჩუნებას; მედგრად მიიწევს დაბრკოლებების გადასალახავად საბოლოო გამარჯვებამდე.

ანტიგმირი:

5. მზაკვრული მეთოდებით ხელს უშლის გმირს კეთილშობილური მიზნების განხორციელებაში;
6. დაუნდობელი, ცდილობს, გამართლება უბოვოს საკუთარ მზაკვრულ ქმედებას;
7. სამყაროში არსებული ფასეულობები მისთვის ღირებულებას არ წარმოადგენს;
8. ცხოვრებისეულ გამოწვევებთან ვერგამკლავების გამო განიცადა ტრანსფორმაცია და ანტიგმირად იქცა.

ვიდრე მუსიკალურ ფრაგმენტებს მოისმენენ, მოსწავლეები გაეცნობიან მუსიკის მახასიათებლების აღწერას:

ა	დაბალ რეგისტრში კონტრაბასის მოკლე მოტივს მოსდევს ჰობოის გულშიჩამწვდომი სოლო მელოდია სიმებიან საკრავთა სწრაფი, რიტმული თანხლების ფონზე, რომელიც კულმინაციას აღწევს, გონებით თითქოს სხვა სამყაროში გადაყვარტ.	1
ბ	ტუბის დრამატიზმით დამუხტული რამდენიმე ტაქტიანი მოტივი გრძელდება სწრაფ ტემპში, სიმებიან საკრავთა მზარდი დინამიკით – კულმინაციისკენ. ხის ჩასაბერი საკრავების – ფლეიტის, კლარნეტისა და ჰობოის – ერთი სიმალლის გაბმული ბგერები სიგნალის, გაფრთხილების შეგრძნებას ტოვებს	5
გ	ჰობოის სოლო არფის თანხლებით ნელ ტემპში მშვიდ, პოზიტიურ ემოციას ქმნის. მუსიკა თითქოს პერსონაჟის მეოცნებე, რომანტიკულ თვისებებზე გვიყვება.	4
დ	მაღალ რეგისტრში ვიოლინოების, ხის ჩასაბერი საკრავებისა და ფლეიტა პიკოლოს პარტიას ენაცვლება სიმებიანების დაღმავალი სვლები. ორი კონტრასტული საწყისის მონაცვლეობა დრამატული დაპირისპირებისა და მოახლოებული საშიშროების განცდას გვიტოვებს.	8

მოსწავლეები ისმენენ მოკლე ნაწყვეტებს ოთხი ნაწარმოებიდან:

1. რ. ვაგნერი – უვერტიურა „ფაუსტი“;
2. ფ. შუბერტი – დაუმთავრებელი სიმფონია;
3. რ. შტრაუსი – სიმფონიური პოემა „დონ კიხოტი“.
4. ჟ. ბიზე – ოპერა „კარმენ“.

მოსწავლეები შეეცდებიან ამოიცნონ და თითოეული ფრაგმენტი მიუსადაგონ გმირის ან ანტიგმირის რომელიმე დახასიათებას; მუსიკალური აღწერის გასწვრივ მდებარე კვადრატებში ჩანერგნ გმირის/ანტიგმირის მახასიათებლის შესაბამის ციფრს. ზემოთ იხილეთ პირობითად შევსებული კვადრატები.

- 2 განმეორებით მოისმინეთ აუდიოფრაგმენტები და თითოეული მათგანი მიუსადაგეთ გმირის/ანტიგმირის მახასიათებლებსა და მუსიკალურ აღწერას. იხილეთ პირობითად შევსებული ცხრილი:

აუდიო №	გმირის/ანტიგმირის მახასიათებელი	მუსიკალური აღწერა
1	5	ბ
2	1	ა
3	4	გ
4	8	დ

სახელმძღვანელოში დასმულ შეკითხვებზე მოსწავლეთა პასუხები ინდივიდუალურია.

3

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება: გადახედეთ ქვემოთ მოცემულ სანოტო ჩანაწერს. სანამ მუსიკალურ ფრაგმენტებს მოისმენდეთ, გამოთქვით თქვენი მოსაზრება, გმირის მახასიათებელს შეიძლება მივუსადაგოთ თუ – ანტიგმირისას? ახსენით, რის მიხედვით დაასკვნით ასე.



პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს (დასახელებებს ჯერ არ გააცხადებს) ორ აუდიოფაილს და სთხოვს მათ, სანოტო ჩანაწერში ამოიცნონ ერთ-ერთი მათგანი:

1. ფ. შუბერტი – დაუმთავრებელი სიმფონია (№8);
2. რ. შტრაუსი – სიმფონიური პოემა „დონ კიხოტი“.

სწორი პასუხი იქნება: სანოტო მაგალითი მიესადაგება შტრაუსის „დონ კიხოტს“.

კითხვა: რა სტატუსს მიანიჭებდით ამ ფრაგმენტს – აიკონს, ინდექსს თუ სიმბოლოს? ახსენით თქვენი პასუხი.

კითხვები:

- თქვენი სიტყვებით დაახასიათეთ ორივე მუსიკალური ფრაგმენტის მუსიკალური მახასიათებლები; ახსენით, რომელი მუსიკალურ-გამომსახველობითი ელემენტების მიხედვით მიუსადაგეთ მუსიკა გმირის/ანტიგმირის მახასიათებლებს;
- გადახედეთ გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლების აღწერებს; ისაუბრეთ, რა წარმოიდგინეთ თითოეული ფრაგმენტის მოსმენისას; რის მიხედვით დააკავშირეთ მუსიკა ამ აღწერებს?

შეეცადეთ მოსწავლეებს დაუსვათ დამატებითი კითხვები, რათა მათ რაც შეიძლება მეტი ისაუბრონ განხილული საკითხის ირგვლივ.

- თქვენი აზრით, რისი/ვისი სახის შექმნა სურდა კომპოზიტორს ამგვარი ბგერათწყობით?
- როგორი პერსონაჟი წარმოიდგინეთ – სერიოზული, მხიარული, თვალთმაქცი, კეთილი თუ ფლიდი, მატყუარა?
- რის მიხედვით ივარაუდეთ ასე? დაასახელეთ, რა გრძლიობის ნოტებს ხედავთ სანოტო ჩანაწერზე; აქედან გამომდინარე, როგორია ტემპი? გაიხსენეთ მუსიკალური ტერმინი – რას აღნიშნავს წერტილები ნოტების თავზე? (სტაკატო);
- პერსონაჟის როგორ ხასიათზე უნდა მიაწინებდეს ამგვარი ბგერათწყობა?
- რა ინტერვალებია გამოყენებული?
- ჰარმონიის მიხედვით, ფრაგმენტი კონსონანსურია თუ დისონანსური? რატომ?
- თქვენ რომ კომპოზიტორი იყოთ, როგორი პერსონაჟის დასახასიათებლად გამოიყენებდით ამგვარ მუსიკალურ მახასიათებლებს?
- რომელ ნიშანს მიაკუთვნებდით თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს – აიკონს, ინდექსს თუ სიმბოლოს?

ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს მუსიკალური ფრაგმენტების დასახელებებს და სთხოვს მოსწავლეებს, ისაუბრონ, რამდენად სწორად ამოიცნეს კომპოზიტორის ჩანაფიქრი. ინფორმაციის მიღების შემდეგ შეცვლიდნენ თუ არა თავიანთ პასუხებს და კერძოდ, რას.

1

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენმა ვენის სასამართლოს თეატრის ხელმძღვანელობისგან მიიღო შეკვეთა, დაეწერა მუსიკა გოეთეს ტრაგედიისთვის – „ეგმონტი“. კომპოზიტორის თქმით, ამ ნაწარმოებზე ის მუშაობდა „ექსკლუზიურად პოეტის სიყვარულის გამო“ (ბეთჰოვენმა გასამრჯელოზე უარი თქვა).

გოეთეს ტრაგედიის გმირი, ეგმონტი, გრაფი ლამორალი, ლე ჰაერის პრინცი – ისტორიული პიროვნებაა. მე-16 საუკუნეში მისი სამშობლო ესპანეთის მმართველობაში იმყოფებოდა და მისი ბატონობისგან გათავისუფლებას ცდილობდა.

„ეგმონტი“, პირველ რიგში, არის აქტუალური პიესა ომზე, ძალადობასა და ეროვნულ თვითგამორკვევაზე, ძალაუფლებასა და ძალმომრეობაზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე.

ბეთჰოვენის უვერტიურა გოეთეს დრამისათვის „ეგმონტი“ გვევლინება, როგორც პროგრამული მუსიკის დამოუკიდებელი ინსტრუმენტული ჟანრი, რომელმაც თავისთავად საფუძველი მოუმადა სიმფონიური პოემის ჟანრს. უვერტიურის ფორმა სონატურია, ნელი, გამლილი შესავლითა და ვრცელი კოდით.

პირქუშ, დრამატულ შესავალში (პირველი ხუთი ტაქტი) ექსპონირებულია ორი კონტრასტული თემა: 1. ესპანელთა ძალადობრივი სახე, რომელსაც მძიმე აკორდული სვლებით, პირქუშში ხმოვანებითა და სინკოპირებული რიტმით სიმებიანთა ჯგუფი გადმოსცემს; 2. მეორე თემის (ხის საკრავები, ჯერ ჰობოი, შემდეგ კლარნეტი და ფაგოტი) მწუხარე, ოხვრითი ინტონაციები კი ჭირვარამგადატანილი ხალხის გმინვას გამოხატავს.

პირველივე აკორდულ წყობაში მარტივად შეიძლება ამოვიცნოთ „მონობის“ თემა. აქ მოცემულია ორი, მკვეთრად კონტრასტული საწყისი – ანტიგმირისა და გმირის – ესპანელ დამპყრობთა ძალმომრეობითი და ჩაგრული ხალხის გმინვითა და წუხილით სავსე მხატვრული სახე, რომლის თემა აღიქმება, როგორც თხოვნა, ჩივილი.

მთავარ პარტიაში კომპოზიტორს მოცემული აქვს ურთიერთდაპირისპირებული მხარეების მხატვრული სახეები. დამხმარე თემა განასახიერებს ესპანელებს, ხოლო თემის მეორე ნაწილი გადმოსცემს ნიდერლანდელების გოდებას.

კოდის დასაწყისი ემსგავსება მოახლოებული ხალხის ღრიალს, რომელიც სწრაფად იზრდება. მისი საზეიმო და მხიარული ხასიათი ხალხის გამარჯვებაზე მეტყველებს. ეს არის „გამარჯვების სიმფონია“, რომელიც ასრულებს არა მხოლოდ უვერტიურას, არამედ მთელ ტრაგედიას. იგი გადაიქცევა გრანდიოზულ, დიდებულ აპოთეოზად, თავისუფლების ნამდვილ ჰიმნად.

მოსწავლეები 47-ე გაკვეთილის აუდიოფაილებიდან ისმენენ ოთხ მუსიკალურ ფრაგმენტს „ეგმონტიდან“ და უპასუხებენ მოსწავლის წიგნში დასმულ კითხვებზე (პასუხები ინდივიდუალურია).

დაასახელეთ, რა ნომრებად მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტები, რომელთაც ქვემოთ მოცემული აღწერები მიესადაგება.

1

ჰობოის თემა გამოხატავს ნიდერლანდელების ტანჯვას, მის პარტიკაში ჟღერს ჩივილის, კენესის ინტონაციები (დაღმავალი მოძრაობა პატარა სეკუნდაზე).

2

2

სიმებიან საკრავთა მიძიმე აკორდული სვლები, პირქუში ხმოვანება მძაფრი კონფლიქტის მომასწავებელ გრძნობას ტოვებს.

1

მოსწავლეები პირველ დახასიათებას მიუსადაგებენ №2 აუდიოფაილს. მეორე დახასიათებაში ამოიცნობენ აუდიოფაილში პირველ ნომრად გაჟღერებულ ფრაგმენტს.


➤ მოსმენილი ფრაგმენტებიდან რომელს მიეკუთვნება ქვემოთ მოცემული განმარტება?

მგმინავი, ოხვრითი ინტონაციები გმირული პათოსით იმსჭვალება და ვაჟკაცურ სულისკვეთებას გამოხატავს.

პასუხი: ეს განმარტება მიესადაგება მე-4 ნომრად მოსმენილ ფრაგმენტს.

2

➤ ქვემოთ მოცემული ორი რიტმული მაგალითიდან რომელი მიესადაგება ამ ფრაგმენტს? გაიხსენეთ, როგორი რიტმი ეწოდება ასეთ ფიგურაციას.



პასუხი: მოსმენილი აუდიოფაილებიდან პირველ ნომრად გაჟღერებული ვერსია მიესადაგება მეორე ნომრად მონიშნულ რიტმულ ფიგურაციას (რიტმი პუნქტირულია).

კითხვები:

➤ რომელ ფრაგმენტში აქვს კომპოზიტორს ასახული ეგმონტის სიკვდილით დასჯა? განმარტეთ, რის მიხედვით დაასკვნით ასე;

ერთ-ერთი სავარაუდო პასუხი: პირველ ფრაგმენტში ინტონაციების მონაცვლეობაა, ვიოლინოების ტირილისმაგვარ, სევდიან ინტონაციას უცბად ვალტორნების ფანფარული სასიგნალო ხმები მოსდევს, მუსიკა უცბად წყდება. ეს ყველაფერი გმირის სიკვდილზე უნდა მიგვანიშნებდეს, თითქოს ყველაფერი დამთავრდა.

➤ დაახასიათეთ მეორე მუსიკალური ფრაგმენტი (აუდიოფაილი №4); რა წარმოიდგინეთ მოსმენისას?

მოსწავლეთა სავარაუდო პასუხი: მართალია, გმირი დაიღუპა, მაგრამ მისი დაღუპვა ხალხის დამარცხებას არ ნიშნავს. კოდის დასაწყისი ემსგავსება მოახლოებული ხალხის ღრიალს, რომელიც სწრაფად იზრდება და გრანდიოზული მასობრივი მსვლელობის შთაბეჭდილებას ქმნის. უვერტიურის ბოლოს ჟღერს საყვირებისა და პიკოლოს მონოდებითი ინტონაციები, რაც სამხედრო მარშს მოგვაგონებს.

ჰექტორ ბერლიოზი სამართლიანად ითვლება პროგრამული რომანტიკული სიმფონიზმის შემქმნელად. როცა ის გოეთეს „ფაუსტს“ გაეცნო, თავად კომპოზიტორის თქმით, ამ ნაწარმოებმა სულით ხორცამდე შეძრა.

მართალია, „ფაუსტის გაკიცხვა“ შეიცავს საოპერო ფორმებს – საცეკვაო, საგუნდო და სოლო ნომრებს, მაგრამ სრულდება, როგორც ორატორია, და არა – როგორც საოპერო სპექტაკლი.

„ფაუსტის გაკიცხვა“ შედგება 4 ნაწილის, 7 სურათისა და ეპილოგისგან, რომლის ლიბრეტო თავად კომპოზიტორმა შეადგინა.

ღმერთისა და მეფისტოფელის საუბარში უფალს დოქტორი ფაუსტი მოჰყავს თავისი ერთ-გული მსახურის მაგალითად. მეფისტოფელიც აღიარებს, რომ ეს „დოქტორი“

„მინიერ საზრდოს არ სჯერდება, სურს არნახული,
სადღაც, სულ სხვაგან მიაბორგებს ფიქრი ჩმახური...
ცისგან სხვა არა, უნათლესი ვარსკვლავი ნებავს,
მინისგან ყველა უამესი სიამე სოფლის“.
(თარგმანი დავით წერედიანის)

ასე აღწერს მეფისტოფელი მეცნიერის წინააღმდეგობრივ, ორმხრივ ბუნებას. უფალი ნებას რთავს მეფისტოფელს, ნებისმიერი ცდუნებით გამოსცადოს ფაუსტი, ჩაიყვანოს ნებისმიერ უფსკრულში, რადგან სჯერა, რომ ფაუსტი „ნათლამდე გამოაღწევს თავის დროისთვის“.

მეფისტოფელი, როგორც უარყოფის ჭეშმარიტი სული, მიიღებს სანაძლეს და პირობას დებს, რომ აიძულებს ფაუსტს მუცელზე იხობოს, – „მინას დამიღრღნის, თან ისეთი სიამით სავსე, პაპიდაჩემიც უკან დარჩეს, განთქმული გველი“, – ამბობს ის.

გოეთეს ტრაგედიის სიუჟეტში ამის შემდეგ იწყება სიკეთისა და ბოროტების, დიდებულებისა და არარაობის, ამაღლებულისა და მდაბლის არნახული, გრანდიოზული მასშტაბის ბრძოლა.

„ფაუსტის გაკიცხვა“ შეიცავს ბევრ ნათელ ეპიზოდს, როგორიცაა, მაგალითად, I მოქმედების (და მთელი ნაწარმოებისაც) ყველაზე პოპულარული ნომერი „რაკოცი მარში“ (რომელიც ხშირად სრულდება, როგორც დამოუკიდებელი სიმფონიური პიესა. ის უნგრეთის არაოფიციალურ ჰიმნადაც კი მოიხსენიება). ჯოჯოხეთის ცხენებზე ამხედრებული ფაუსტისა და მეფისტოფელის „ნახტომი უფსკრულში“ ერთ-ერთი ყველაზე დრამატული სცენაა; ქალების ლოცვითი ლიტანიობა და უეცრად შეწყვეტილი ჭენება გმირის ცხოვრების ტრაგიკული დასასრულის დაძახებულ ემოციურ ატმოსფეროს ქმნის.

1 პირველ აქტივობაში მოსწავლეები ისმენენ სამ აუდიოფაილს (მათი ნუმერაცია ემთხვევა სახელმძღვანელოში დახასიათებების აღწერის ნუმერაციას); დაუკავშირებენ მათ ერთმანეთს და ახსნიან, მუსიკის რომელი მახასიათებლების მიხედვით ამოიცნეს ტექსტური დეტალები მუსიკაში.

ერთ-ერთი კითხვა სახელმძღვანელოდან: მოისმინეთ კიდევ ერთი ფრაგმენტი. რის ასოციაციას გიქმნით ქვემოთ მოცემული მუსიკის მახასიათებლები? მუსიკის რომელ ჟანრს მიაკუთვნებთ ამ ფრაგმენტს?

პასუხი: მოსმენილი ფრაგმენტი მარშია.

➤ ფაუსტის დახასიათებებიდან რომელ დეტალს მიუსადაგეთ ეს ფრაგმენტი?

სავარაუდო პასუხი: რადგან მოსმენილი ფრაგმენტი წარმოადგენს სამხედრო მარშს, ეს ფრაგმენტი შეიძლება მივუსადაგოთ დახასიათებას №2: ფაუსტს გული შესტივია სამყაროში გაბატონებულ უსამართლობაზე, ვერ ეგუება ძალმომრეობას, ქაოსს.

2 მოსმენა: 49-ე გაკვეთილის II აქტივობიდან. პირველ სიუჟეტურ დეტალს მიესადაგება მეორე ნომრად გაჟღერებული აუდიოფაილი, მეორე სიუჟეტს – პირველი აუდიოფაილი. მოსწავლეები ახსნიან, მუსიკის რომელი მახასიათებლების მიხედვით დააკავშირეს ტექსტი და მუსიკა ერთმანეთთან.

კლასში გაიმართება მსჯელობა, დისკუსია – როგორ განიცადა პერსონაჟმა ტრანსფორმაცია; რა უნდა გამხდარიყო იმისი მიზეზი, რომ ერთ დროს ეს მეოცნებე, განსწავლული, რომანტიკული ადამიანი სიჭარმაგეში ეშმაკის საკბილო გახდა?

მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“ ეგრეთ წოდებულ „სიმფონიური ბალეტის“ ჟანრს მიეკუთვნება (ტერმინი „სიმფონიური ბალეტი“ ნიშნავს სიმფონიურ მუსიკაზე დადგმულ ბალეტს). ქორეოგრაფიის ისტორიაში იშვიათია ბალეტისა და მუსიკის ასეთი ჰარმონია, როცა საბალეტო სპექტაკლისთვის სპეციალურად დაწერილი მუსიკა აღიქმება არა როგორც ქორეოგრაფიის უბრალო აკომპანემენტი, „დამატება“, არამედ როგორც სრულფასოვანი მუსიკალური ნაწარმოები.

დამდგმელი ქორეოგრაფი და ოტელოს როლის შემსრულებელი – ვახტანგ ჭაბუკიანი, მხატვარი – სოლიკო ვირსალაძე, დირიჟორი – ოდისეი დიმიტრიადი. შემსრულებლები: იაგო – ზურაბ კიკალეიშვილი, დეზდემონა – ვერა ნიგნაძე.

1

მოსმენა – აუდიოფაილი №1. ამ ასაკის მოზარდებმა მეტ-ნაკლებად იციან შექსპირის „ოტელოს“ სიუჟეტი. მოსმენისას აღწერენ მუსიკის მახასიათებლებს – ინტონაციას, რეგისტრს, ხასიათს, ჰარმონიას, ბგერათა მოძრაობას, ტემპს, რიტმს; ისაუბრებენ, რამდენად ემთხვევა მათი წარმოდგენა მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილის შინაარსს. ასაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს.

2

ტექსტის ყურადღებით გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ისმენენ აუდიოფაილებს (49 გაკვ.) აუდიო №№2-10 და გამოტოვებულ ადგილებში ჩასვამენ იმ ფრაგმენტის ნუმერაციას, რომელ ნომრადაც მოისმინეს ამ კონკრეტულ მონაკვეთთან მისადაგებული მუსიკა. ბოლოს ახსნიან, რის მიხედვით მიუსადაგეს აუდიოფაილები ტექსტს. იხილეთ შევსებული ნიმუში (ციფრები ტექსტში ჩანერილია აუდიოფაილების ნომრების მიხედვით, არეული თანმიმდევრობით მოსმენის შემთხვევაში, ტექსტში ციფრებიც შეიცვლება).

ოტელო წარჩინებული და კეთილშობილი მავრია, ვენეციის სახელმწიფოს გენერალი, კვიპროსის გუბერნატორი, მამაცი და შეუდრეკელი მეომარი. სენატორ ბრახანციოს ასულ დეზდემონასა და ოტელოს ერთმანეთი თავდავინწყებით შეუყვარდათ და, წინააღმდეგობების მიუხედავად, საიდუმლოდ დაქორწინდნენ.

...ქვეყანაში აურზაურია – თურქული ფლოტი კვიპროსის დასაპყრობად მოეშურება. ოტელოს თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად აგზავნიან –2–.

ოტელოს მეთაურობით მისმა ლაშქარმა მტერი დაამარცხა. ბრწყინვალე გამარჯვება კვიპროსის მცხოვრებლებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს –3–.

იაგო, ოტელოს ასისტავი, ვერ იტანს „თავისნათქვამა აფრიკელს“ იმის გამო, რომ მან იაგოს ნაცვლად, რომელიც პროფესიონალი სამხედროა, თავის თანაშემწედ კასიო დანიშნა. იაგო გადაწყვეტს, რომ შური იძიოს. იაგო გენერალს ნელ-ნელა შხამს აწვეთებს დეზდემონასა და კასიოს სასიყვარულო ურთიერთობაზე –4–. ოტელო დაავალეს იაგოს, მისი რწმენით, „ამ კრისტალურად პატიოსან კაცს“, წარმოუდგინოს ლალატის დამამტკიცებელი საბუთი. იაგო მოიპოვებს დეზდემონას ცხვირსახოცს, რომელიც მას მეუღლემ აჩუქა და ოტელოს ეტყვის, რომ ის კასიოს ჰქონდა. მავრი ეჭვიანობით სიგიჟედ მიდის –6–. იაგო ურჩევს ოტელოს, რომ ლოგინში დაახრჩოს მოღალატე ცოლი. ოტელო მწუხარებისგან თავის თავს აღარ ეკუთვნის. იაგო გამარჯვებას ზეიმობს –5–.

დეზდემონა ვერ ხვდება მეუღლის ხასიათის ცვლილებას, მას სევდა შეიპყრობს –7–. ეჭვიანობით დატანჯულ მავრს არ უნდა დაიჯეროს საყვარელი ცოლის ლალატი, მაგრამ ვერ უმკლავდება თავის ეჭვებს. იაგო დაჟინებით ურჩევს ოტელოს, რაც შეიძლება მალე განახორციელოს თავისი შურისძიება.

ოტელო საძინებელში ჩუმად შედის და კოცნის მძინარე დეზდემონას. იცის, რომ ჭკუიდან შეიშლება, თუ საყვარელ მეუღლეს მოკლავს, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავს –8–. დეზდემონა იღვიძებს. ...ქალი უნდა მოკვდეს და ქმარს არ სურს, საყვარელი მეუღლის სულიც დაიღუპოს; ოტელო ეკითხება მას, ილოცა თუ არა ძილის წინ; დეზდემონა ღმერთს წყალობას შესთხოვს თავისთვის და თავისი ქმრისთვის. ოტელო ბრალს სდებს, რომ მას კასიო უყვარს და ამიტომ უნდა მოკვდეს. საბრალო ქალი ვერ ამტკიცებს თავის უდანაშაულობას, ის შეწყალებას ითხოვს, მაგრამ ოტელო ეუბნება, რომ უკვე ძალიან გვიანია... და ახრჩობს მას –9–.

მალევე გაცხადდება იაგოს ვერაგობა და ისიც, რომ დეზდემონა უდანაშაულო ყოფილა. სასონარკვეთილი ოტელო დანას ჩაიცემს. – „ერთი კოცნა... კიდევ ერთი... და კვლავაც ერთი“, – ამ სიტყვებით იგი დეზდემონას გვერდით კვდება –10–.

3 მესამე აქტივობაში მოსწავლეები ისმენენ ორ აუდიოფაილს, რომლებშიც ამოიცნობენ იაგოსა და დეზდემონას ლაიტმოტივებს, ისაუბრებენ მათ მუსიკალურ მახასიათებლებზე. მაგალითად, იაგოს ლაიტმოტივზე შეიძლება თქვან, რომ მასში წყვეტილი, გამოკვეთილი რიტმული ინტონაციებია, რომელიც მის მზაკვრულ, ფლიდ ბუნებაზე მიგვითითებს. სრული კონტრასტია დეზდემონას ლაიტმოტივი, მასში უაღრესად ლირიული სახეა გადმოცემული; მშვიდი, ლამაზი, ოდნავ სევდიანი მელოდია მის კეთილშობილურ ბუნებაზე მიგვითითებს.

კითხვები:

- რომელ პერსონაჟს მიესადაგება ქვემოთ მოცემული მუსიკალური დახასიათება: „ბგერების დაღმავალი მოძრაობა, განმეორებადი თანმიმდევრობა (ოსტინატო), წყვეტილი, გამოკვეთილი რიტმული ინტონაციები“.

სავარაუდო პასუხი: ბგერათა ამგვარ თანმიმდევრობაში შეიძლება ვიგულისხმოთ იაგოს შემპარავი, ეშმაკური განზრახვა.

4 მოსწავლეები ისმენენ მე-4 აქტივობის სამ აუდიოფაილს და უპასუხებენ სახელმძღვანელოში დასმულ კითხვებს:

- რომელ აუდიოფაილში შეიმჩნევა დრამატიზმით განმსჭვალული მაჯისცემის ინტონაცია, რომელიც ოტელოს შინაგან ვნებათაღელვაზე მიგვანიშნებს? (**აუდიო №1**);
- რომელ ფრაგმენტში ვხედავთ ნაზი გრძნობების მქონე, შეყვარებულ ოტელოს? (**აუდიო №2**);
- რომელ ნომრად მოსმენილ აუდიოფრაგმენტში გამოიკვეთება ორი სანყისი, ორი სახე – გმირისა და ანტიგმირის – ერთდროულად? (**აუდიო №3**).

შემდეგ მოსწავლეები ნახავენ ვიდეოჩანაწერებს ნუმერაციის მიხედვით.

ვიდეოფირზე (**№1**) ნაჩვენებია იაგოსა და ოტელოს სცენა, როდესაც იაგო ეჭვს უღვივებს ოტელოს და ურჩევს მოლაღატე ცოლის დახრჩობას და ოტელოს რეაქცია ამაზე. სთხოვეთ მოსწავლეებს, მუსიკისა და ცეკვის მეშვეობით შემსრულებელთა მოძრაობებში, ჟესტებში შეძლებისდაგვარად ამოიცნონ, „ამოიკითხონ“ ეს სიუჟეტური დეტალები. შევთავაზოთ მოზარდებს, მოკლედ დაწერონ ამ სცენის შინაარსი და აღნიშნონ, რომელი მუსიკალური ელემენტები აქვს გამოყენებული კომპოზიტორს იაგოსა და ოტელოს მხატვრული სახის გამოსაცემად.

- რომელ ნომრად მოსმენილ აუდიოფრაგმენტს მიუსადაგებთ ქვემოთ მოცემულ ტექსტს: „ვის ძალუძს ახლა დაუბრუნოს მას მშვიდი ძილი, რითაც ტკბებოდა შვებით მოსილი!“

პასუხი: ამ ფრაზას შეიძლება მიესადაგოს **№1 აუდიოფრაგმენტი და მიმართულია ოტელოსადმი.**

ვიდეოკადრები საფინალო სცენიდან (**№№2, 3**). მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრს, უპასუხებენ სახელმძღვანელოში დასმულ კითხვებს და ახსნიან თავიანთ მოსაზრებებს.

- გამოთქვით თქვენი აზრი, რამ შეიძლება გამოიწვიოს პერსონაჟის ტრანსფორმაცია (გმირის ანტიგმირად გარდაქმნა) ზოგადად, და რა გახდა ამის მიზეზი „ოტელოს“ მაგალითზე.

პასუხი: „ოტელოს“ მაგალითზე გმირის ტრანსფორმაციის მიზეზი გახდა ეჭვიანობა – ოტელო საყვარელი მეუღლის მკვლელად იქცა.

5 ილუსტრაციები სიუჟეტის მიხედვით ასეთი თანმიმდევრობით დაენწყობა:



მივცეთ მოსწავლეებს საშუალება, თავად ამოარჩიონ, რომელ კომპლექსურ დავალებას შეასრულებენ (სურვილის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ ორივე დავალება გააკეთონ).

მოსწავლე, რომელსაც არ აქვს ტექნიკური საშუალება, იმუშაოს LMMS პროგრამაში, ის დანერს ესეს (კომპლექსური დავალება 2).

მოსასმენად გამოიყენეთ 47-ე და 49-ე გაკვეთილების ელექტრონული რესურსები.



კომპლექსური დავალება 1

პირობა:

LMMS პროგრამაში შექმენით კომპოზიცია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სიმფონიური უვერტიურის, „ეგმონტის“, მიხედვით.

ინსტრუქცია:

უვერტიურაში, „ეგმონტი“, რომელიც შექმნილია გოეთეს ამავე დასახელების ტრაგედიის მიხედვით, ასახულია XVI საუკუნის ისტორიული მოვლენები – ნიდერლანდელთა განმათავისუფლებელი ბრძოლა ესპანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. აჯანყებულთა ბელადი იყო ეგმონტი.

მოუსმინეთ შემოთავაზებულ მუსიკალურ ფრაგმენტებს ამ უვერტიურიდან და სემპლებად დაჭრილი ნაწყვეტების მიხედვით ააწყვეთ კომპოზიცია (მუსიკით გადმოცემით ისტორიის თანმიმდევრობა), გეგმად გამოიყენეთ შემდეგი მოცემულობა:

1. ესპანელთა ძალადობისა და ბატონობის სახე უპირისპირდება ჭირვარამგადატანილი ხალხის წუხილსა და გმინვას;
2. აჯანყებული ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ჟინით აღტკინება;
3. მოწინააღმდეგე მხარეების მწვავე შეტაკება, დაძაბული ბრძოლა;
4. გმირის – ეგმონტის – დაღუპვა;
5. სახალხო დღესასწაული – გამარჯვების გმირული საწყისის აპოთეოზი, თავისუფლებისათვის თავგანწირვის ხოტბა.

სასურველია, თავად დაჭრათ უვერტიურის მთლიანი ჩანაწერი, რომლის ფრაგმენტებსაც ინტონაციურად დაუკავშირებთ გეგმაში მოწოდებულ დეტალებს. შემოთავაზებული აუდიო-ფაილიდან რომელიმე ფრაგმენტი გამოიყენეთ ლაიტმოტივად (მოტივი, თემა, რომელიც კომპოზიციაში დროდადრო გამეორდება).

თქვენი ნაშრომის პრეზენტაციისას ისაუბრეთ, რატომ აირჩიეთ დაწყებისას ან დამთავრებისას ესა თუ ის მოტივი, კომპოზიციის შესაკრავად რომელი მოტივი გამოიყენეთ ფონად და რატომ; რა პრინციპით აარჩიეთ ფრაგმენტი კულმინაციისთვის.

პრეზენტაციისას ხაზი გაუსვით:

- რამდენ ფრაგმენტად დაანაწილეთ ნაწარმოები, როგორ დაასათაურეთ თითოეული ფრაგმენტი და ა.შ.;
- რომელ ფრაგმენტს რომელი ტექსტი მიუსადაგეთ, და ახსენით, რის მიხედვით გააკეთეთ ასე;
- უვერტიურაში გამოყენებულ მუსიკალურ ხერხებზე დაყრდნობით იმსჯელეთ, რა სიმბოლურ დატვირთვას ანიჭებს კომპოზიტორი ორი საწყისის – გმირისა და ანტიგმირის (ამ შემთხვევაში ორი მოწინააღმდეგე მხატვრული სახის (ნიდერლანდელებისა და ესპანელების)) დაპირისპირებას. არგუმენტებად მოიყვანეთ მაგალითები იმ აქტივობებიდან, რომლებიც განხილული გაქვთ წინა გაკვეთილებზე.



კომპლექსური დავალება 2

პირობა:

დაწერეთ ესე. არეული თანმიმდევრობით მოისმინეთ აუდიოფრაგმენტები ალექსი მაჭავარიანის ბალეტიდან „ოტელო“; თქვენი შეხედულებისამებრ შეადგინეთ ცხრილი სიუჟეტური დეტალების თანმიმდევრობით.

ინსტრუქცია:

- დაყავით ნაწარმოები ფრაგმენტებად, რომლებშიც ასახული იქნება ამ ფრაგმენტის თქვენეული მოკლე სიუჟეტური აღწერა;
- მიუთითეთ, თქვენი აზრით, რომელ მუსიკალურ ფრაგმენტშია ასახული გმირის სულიერი სამყარო და რომელში ამოიცანით ანტიგმირის მხატვრული სახის გადმოცემა ინტონაციები;
- თითოეულ აღწერას მიუსადაგეთ ის მოსმენილი ფრაგმენტი, რომელსაც თავად შეარჩევთ, და დაასათაურეთ; აღწერეთ, მუსიკის რომელი მახასიათებლებით შეიძლება გმირისა და ანტიგმირის მხატვრულ სახის ამოცნობა მუსიკაში.

პრეზენტაცია:

- თანაკლასელებს გააცანით თქვენი ნაშრომი; ახსენით, რატომ შეადგინეთ ცხრილი ამ სახით;
- რამდენ ფრაგმენტად დაანაწილეთ ნაწარმოები, როგორ დაასათაურეთ თითოეული ნაწილი და ა.შ.;
- რომელ ფრაგმენტს რომელი ტექსტი მიუსადაგეთ და რის მიხედვით;
- ბალეტში გამოყენებულ მუსიკალურ ხერხებზე დაყრდნობით იმსჯელეთ, რა დატვირთვას ანიჭებს კომპოზიტორი თითოეულ ეპიზოდს; რომელი მუსიკალური მახასიათებლების მიხედვით შეიძლება ამოიცნო მუსიკაში გმირისა და ანტიგმირის მხატვრული სახე. არგუმენტებად მოიყვანეთ მაგალითები იმ აქტივობებიდან, რომლებიც გაკვეთილზე გაიარეთ.

შეფასების კრიტერიუმები:

მოსწავლე ფასდება			
ვერ ამოიცნობს მუსიკალურ გზავნილს, ვერ ამოიცნობს მუსიკის ემოციურ მუხტს; ვერ ამყარებს ადეკვატურ ასოციაციურ კავშირს.	გამოხატავს თავის ემოციებს, ვერ ამოიცნობს ნაწარმოებში მუსიკალურ მახასიათებლებს, ამ ელემენტებით მიღწეულ ემოციურ მუხტს და ვერ უკავშირებს ვერცერთ შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას.	გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნაწახი ცეკვებისადმი; განსაზღვრავს მუსიკის თითოეული მახასიათებლის როლს, თუმცა უჭირს დაკავშირება შინაარსთან; პასუხობს კითხვებს, მაგრამ ვერ ასაბუთებს.	პასუხები დამაჯერებელია, ასაბუთებს, მოჰყავს არგუმენტები; ამოიცნობს შემოთავაზებული ინტერპრეტაციებიდან მუსიკალურ მახასიათებლებს (რიტმი, მელოდია, ჰარმონია), აკავშირებს მათ მხატვრულ სახესთან და განიხილავს მათ სხვადასხვა შინაარსობრივ კონტექსტში.
ქულა 0-1	2-4	5-7	8-10

მოსწავლე ფასდება (ესე)	ქულები
იცავს ცხრილის აგების პრინციპებს;	1
ხსნის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც აქვს აგებული აქვს ესე;	2
მართებულად მოჰყავს თითოეული კომპონენტის მუსიკალური მაგალითები;	2
მოჰყავს არგუმენტები საკუთარი ინტერპრეტაციის დასაცავად;	3
იცავს რეგლამენტს და მიჰყვება პრეზენტაციის გეგმას.	2

გამოყენებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

ალიტერაცია (ლათ. alliteratio) – სალექსო სტრიქონში ერთი და იმავე მსგავსი თანხმოვანი ბგერების გამეორება; გამოსახვის პოეტური ხერხი, ემოციური ზეგავლენის საშუალება, ბგერების მუსიკალური ორგანიზაციის ფორმა. ქმნის ლექსის კეთილხმოვნებას, სიტყვის შინაარსის აკუსტიკურ თვალსაჩინოებას. ბგერების გამეორება მაშინაა პოეტური, ესთეტიკური, როდესაც მას თან ახლავს გამომსახველობითი ემოციური ძალა. ბგერების უაზრო, ფორმალური თამაში მოკლებულია მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას.

გოსპელი (ინგლ. Gospel music) – სასულიერო ქრისტიანული მუსიკის ჟანრი, რომელიც აშშ-ში განვითარდა XX საუკუნის პირველ მესამედში.

კანტატა – ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები სოლისტების, გუნდისა და ორკესტრისათვის.

კოდა – მუსიკალური ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი, რომელიც ავსებს და ასრულებს ნაწარმოებს. კოდა მდგრადია, მასში შეიძლება გამოიყენებოდეს ტონიკური საორგანო პუნქტი, მელოდიკურ-ჰარმონიული შებრუნებები, ნაწარმოების განმაზოგადებელი თემატური მასალა. კონტრასტული თემების მქონე რთული პიესების კოდაში ხშირად შედის პიესის შუა ნაწილის თემა, როგორც გახსენება.

ლაიტმოტივი (გერმ. Leitmotiv, ინგლ. leitmotif, leitmotiv): 1. ძირითადი მოტივი (თემა), რომელიც დროდადრო მეორდება მუსიკალურ ნაწარმოებში (მაგ., ოპერაში); 2. ნათლად ჩამოყალიბებული, მოკლე, ხშირად გამეორებული მუსიკალური ფრაზა, გამომსახველი მელოდია, თემა, რომელიც გამოიყენება რომელიმე პერსონაჟის, იდეის, მოვლენის, თუნდაც გრძნობის ან სიუჟეტის სხვა ელემენტების დასახასიათებლად და არაერთგზის მეორდება მუსიკალურ ნაწარმოებში.

მოტივი (იტ. Motivo – მოტივი; ლათ. motus – მოძრაობა) – უმცირესი მუსიკალურ-თემატური მონაკვეთი, რომელსაც, როგორც წესი, გააჩნია ერთი მეტრული ძლიერი დრო, რომლის რიტმული საფუძველი ნარჩუნდება მისი გამეორების დროსაც. მოტივის ხანგრძლივობის პირობით ნორმად მიიჩნევა ერთი ტაქტი (თუმცა კლასიკურ მუსიკაში მთლიან ტაქტზე ნაკლები ან მეტი – ტაქტნახევარი და ორტაქტიანი მოტივებიც გვხვდება). ეს დაკავშირებულია მუსიკის ხასიათთან, მელოდიასთან, ზომასთან, რიტმულ ხანგრძლივობასთან.

მუსიკალური თემა – ეს არის განვითარებას დაქვემდებარებული მუსიკალური აზრი, გამოსახული ადვილად დასამახსოვრებელ მელოდიაში.

მუსიკალური ფორმა – ესაა მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურა, გამომსახველობითი საშუალებების კომპლექსი, რომელიც აერთიანებს მუსიკალური ნაწარმოების გარკვეულ მხატვრულ შინაარსს.

ოსტინატო – (იტალ. ostinato – „ჯიუტად“, „დაჟინებით“) – მუსიკალურ ნაწარმოებში ერთი და იმავე მელოდიური ფრაზის, რიტმული ფიგურაციის ან ჰარმონიული ბრუნვის მრავალჯერადი გამეორება. **ბასო ოსტინატო** (იტალ. Basso ostinato) – „ურყევი, მუდმივი ბანი“; თემა, რომელიც უცვლელად მეორდება ბანის პარტიაში.

პატერნი (ინგლ. pattern) – ნიმუში, შაბლონი – სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის პარტიების წინასწარ დაპროგრამებული, თანმიმდევრული (განმეორებადი) ჟღერადობის ერთიანობა (დაჯგუფება). სემპლისგან განსხვავებით, პატერნი მუსიკალური ტრეკის უფრო რთული მონაკვეთია. ის შეიძლება მრავალი სემპლისგან შედგებოდეს და მისი ხანგრძლივობა შეზღუდული არაა.

რაციონალიზმი – 1. ფილოსოფიური რწმენა იმისა, რომ შემეცნებისათვის ყველაფერი მისაწვდომია; დარწმუნებულობა ადამიანის გონების უსაზღვრო ძალაში. 2. შემეცნების თეო-

რიის მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტი ცოდნის ერთადერთ წყაროდ გონებას მიიჩნევს.

რეპრიზა – მუსიკალურ ნაწარმოების რომელიმე მონაკვეთის გამეორება. რთული სამნაწილიანი ფორმის მესამე ნაწილის სახელწოდება ან ძირითად ტონალობაში პირველი ნაწილის (სონატის, სიმფონიის, არიის და სხვ.) გამეორება.

რესპონსორული მღერა – ვოკალური მუსიკის შესრულება სოლისტისა და გუნდის (ანსამბლის) მონაცვლეობით.

რიფი – რიტმული ფიგურაცია, მელოდიური სვლა (მუსიკალური ფრაზა), ან ჰარმონიული (აკორდული) თანმიმდევრობა, ან ამ სამივე კომპონენტის ერთობლიობა, რომელიც მრავალჯერ მეორდება (ოსტინატო). თანამედროვე მუსიკის ჟანრებში რიფს ხშირად იყენებენ როგორც სიმღერის შესავალს, მაგალითად, გიტარის (ან სხვა საკრავებების სოლო).

საწყისი – 1. დედააზრი, არსი, მთავარი ფასეულობა, რაზედაც ყველაფერი დანარჩენი დაშენდება; 2. რაღაც ნაწილი, რომელიც შემდგომი განვითარების პრინციპს ემორჩილება. მაგალითად, სასიმღერო საწყისი ემორჩილება სიმფონიური განვითარების პრინციპს და ვოკალიორკესტრის ერთგვარი დანამატი ხდება.

სონატური ალეგრო – სონატურ-სიმფონიური ციკლის მთავარი ნაწილის კლასიკური სტრუქტურა; სონატური, სამნაწილიანი ფორმა – ექსპოზიცია, დამუშავება, რეპრიზა.

ტეტრალოგია – ოთხი ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები, რომლებსაც ერთი დედააზრი აერთიანებს.

ტრემოლო – ორი არამეზობელი ბგერის სწრაფი მონაცვლეობა ან ერთი და იმავე ბგერის ძალიან სწრაფად გამეორება.

უვერტიურა – ოპერის, ბალეტის, ორატორიის, დრამის, შესავალი საორკესტრო პიესა, რომელიც ახდენს მსმენელის, მაყურებლის ყურადღების კონცენტრაციას, შეჰყავს სპექტაკლის ემოციურ ატმოსფეროში. უვერტიურა გადმოსცემს ნაწარმოების იდეურ ჩანაფიქრს, კოლორიტს; 1. ოპერის, ბალეტის, ოპერეტის და სხვ. საორკესტრო შესავალი; 2. ერთნაწილიანი საორკესტრო ნაწარმოები.

ციტატა – მუსიკალური ნაწარმოებიდან ფრაზის, წინადადების, მოტივის პირდაპირი ციტირება (გამეორება). კომპოზიტორმა ციტატა შეიძლება გამოიყენოს თავისივე ან სხვა კომპოზიტორის ნაწარმოებიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ანთელავა – „კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები“ (გვ. 19); გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017 წ.
2. ნ. კუნი – ძველი ბერძნული მითოლოგია; გამომცემლობა „პეგასი“, 2011 წ.
3. ზ. კიკნაძე, ნ. ტონია – „რა არის მითოსი და რა არის მითოლოგია“; გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2001 წ.
4. რ. ქუთათელაძე – დასავლეთ ევროპის მუსიკის ისტორია – ვენის კლასიკური სკოლა – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი; გამომცემლობა „ნეკერი“, 2013 წ.
5. ი. ბარამიძე – სტატია „უვერტიურის ჟანრის ევოლუცია და ბეთჰოვენის მუსიკა დრამისთვის – „ეგმონტი“, 2018, 12 მარტი. <http://mastsavlebeli.ge/?p=17271>
6. ა. კონიგსბერგი – სტატია „ეგმონტის შესახებ“.
7. შემდგენელი ან. თამარაშვილი, გ. ტორაძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის გამოცემა. ახალციხე, 2002 წ.
8. ვ. კონენი – საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკის ისტორია. გამომცემლობა „განათლება“, 1974 წ.
9. ი. ვ. გოეთე – „ფაუსტი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011-2012 წწ. (თარგმანი დავით წერედიანის).



IX
ჯგერა

მოსწავლის წიგნი



IX
ჯგერა

მასწავლებლის წიგნი